საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

კვლევის დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

# სელექციური აბორტი და მედია

ავტორი: თინა ცომაია

სპეციალობა: კომუნიკაცია

ხელმძღვანელი: მაია მიქაშავიძე

თბილისი, 2019

# მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული ფასდაუდებელი დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ მაია მიქაშავიძეს. მისი პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო ჩემი ცხოვრების და კარიერის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე და გადამწყვეტი იყო სადოქტორო ნაშრომის განვითარებისა და შექმნისათვის.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა დისერტაციის რეცენზენტებს -პროფესორ ჯანა ჯავახიშვილს და პროფესორ ანა ქეშელაშვილს უკუკავშირისა და მნიშვნელოვანი აზრთა გაზიარებისათვის.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ელენე ლომაძეს, ია შალამბერიძეს და დევიდ ბლოსს ნაშრომის განვითარების პროცესში თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისათვის.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა თამარ მშვენიერაძეს მასალის დამუშავებაში ღირებული წვლილის შეტანისათვის.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს, მეგობრებს, მასწავლებლებს, კოლეგებს და სტუდენტებს სიყვარულის, მოთმინების, ნდობისა და მხარდაჭერისათვის.

## სარჩევი

**თავი 1. შესავალი ............................................................................................ 1**

**თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა ........................................................................ 10**

2.1 სელექციური აბორტი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა .... 10
2.2 სელექციური აბორტი საქართველოში ........................................................ 13
2.3 სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულება და განწყობები ...... 18
2.4 გენდერული უთანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ......................................................................................... 20
2.5 ქალთა მიმართ ძალადობა ................................................................................ 22
2.6 მედიის როლი სელექციური აბორტის კონსტრუირებაში ......................... 23
2.7 აბორტის გაშუქება მედიამფლობელობასთან, კომერციალიზაციასთან და სარედაქციო იდეოლოგიასთან კავშირში ................................................. 32
2.8 კომერციალიზაცია ........................................................................................ 33
2.9 ფრეიმინგი, ფრეიმის ჩამოყალიბების თეორია ............................................ 34
2.10 ფრეიმის შემადგენლობა ................................................................................ 35
2.11 ფრეიმის ზეგავლენა ........................................................................................ 36
2.12 ჟურნალისტებისა და რედაქტორების როლი ფრეიმის ჩამოყალიბებაში ......................................................................................................... 37
2.13 მედიატექსტი კრიტიკული თეორიის ჭრილში ........................................... 39

**თავი 3. მეთოდოლოგია ................................................................................ 41**

3.1 რაოდენობრივი კონტენტანალიზის მეთოდოლოგია (კომპონენტი 1) . 42
3.2 თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდოლოგია (კომპონენტი 2) ....... 50
3.3 ჟურნალისტებისა და რედაქტორების გამოკითხვის მეთოდოლოგია (კომპონენტი 3) ............................................................................................... 52

**თავი 4. რაოდენობრივი კონტენტანალიზის შედეგები - კომპონენტი 1 ....... 57**

4.1 აღწერითი სტატისტიკა ........................................................................................ 59
4.2 ანალიზი ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების მიხედვით ............... 65
4.3.რაოდენობრივი კონტენტანალიზის დასკვნა ................................................ 72

**თავი 5. თვისებრივი კონტენტანალიზის შედეგები - კომპონენტი 2 ............ 76**

5.1 გამამტყუნებელი ფრეიმები .................................................................................. 76
5.2 გამამართლებელი ფრეიმები ................................................................................ 93
5.3 ნეიტრალური ფრეიმები ........................................................................................ 96
5.4 ამბივალენტური ფრეიმი ........................................................................................ 101
5.5 თვისებრივი კონტენტანალიზის დასკვნა ............................................................ 103

**თავი 6. ჟურნალისტების და რედაქტორების გამოკითხვის შედეგები - კომპონენტი 3 ....................................................................................................... 106**

6.1 დემოგრაფიული მონაცემები ................................................................................ 106

6.2 ანალიზი ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების მიხედვით ............ 112
6.3 კორელაცია გენდერსენსიტიურობასა და აბორტსენსიტიურობას შორის ...................................................................................................... 121
6.4 სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულება ............................ 121
6.5 ჟურნალისტების და რედაქტორების გენდერსენსიტიურობის კვლევის დასკვნა ............................................................................................ 122

**თავი 7. დისკუსია ........................................................................... 124**

7.1 ქრონოლოგია ................................................................................ 128
7.2 ფრეიმები ....................................................................................... 129
7.3 სარედაქციო პოლიტიკა და იდეოლოგია აბორტის გაშუქებაში .......... 138
7.4 სენსაციურობა და ნეგატივიზმი აბორტის მედიაგაშუქებაში.............. 139
7.5 წყაროები ....................................................................................... 140
7.6 ჟურნალისტები და რედაქტორები .................................................. 142
7.7 გენდერსენსიტიურობა ................................................................... 142
7.8 განათლება და გენდერსენსიტიურობა ............................................ 143
7.9 აბორტის მიმართ დამოკიდებულება ............................................... 143
7.10 გენდერსენსიტიურობა და აბორტსენსიტიურობა ............................ 145
7.11 სელექციური აბორტი ................................................................... 146

**თავი 8. დასკვნა ............................................................................... 149**

8.1 რეკომენდაციები ............................................................................ 151
8.2 შემდგომი კვლევის საკითხები ......................................................... 152

**ბიბლიოგრაფია ................................................................................ 153**

**დანართი ა ........................................................................................ 170**

**დანართი ბ ........................................................................................ 175**

**დანართი გ ........................................................................................ 180**

# აბსტრაქტი

ქართულ მედიასაშუალებებში აბორტის, მათ შორის, სელექციური აბორტის თემაზე გამოქვეყნებული მასალების რაოდენობრივმა და თვისებრივმა კონტენტანალიზმა აჩვენა, რომ ქართული მედია აბორტს, განსაკუთრებით კი სელექციურ აბორტს, ნაკლებ ყურადღებას უთმობს. 2006 წლიდან 2014 წლამდე, 12 მედიასაშუალებაში სულ 322 მასალა გამოქვეყნდა, აქედან 69 მასალა - სელექციური აბორტის თემაზე. აბორტის, მათ შორის, სელექციური აბორტის შესახებ დისკურსი, ძირითადად, „ფაქტობრივ" ფრეიმში მიმდინარეობს და მიმდინარე მოვლენებს აღწერს, რომელთა გამხმოვანებლები ძალაუფლების მქონე ელიტებია (სახელმწიფო და ეკლესია). სხვადასხვა სარედაქციო პოლიტიკის მედიასაშუალებები აბორტს და სელექციურ აბორტს განსხვავებულად აშუქებენ: ცენტრისტულ მედიასაშუალებებში თანაბარი რაოდენობითაა ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები, ლიბერალურ მედიასაშუალებებში ჭარბობს ნეიტრალური ფრეიმები, ხოლო კონსერვატიული მიმართულების მედიაკონტენტში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები უფრო დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. აბორტის ფრეიმების თვისებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ ნეიტრალურ ჭრილში გაშუქება „ფაქტობრივ" და „სამართლებლივ" ფრეიმს უკავშირდება, რომლებშიც ძირითადად აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული მაღალი სტატისტიკა და აბორტის აკრძალვასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციებია გაშუქებული; ნეგატიური, გამამტყუნებელი ფრეიმებიდან ჭარბობს „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული"ფრეიმი, რომელიც აბორტს და სელექციურ აბორტს დემოგრაფიული კატასტროფის წინაპირობად წარმოადგენს. აქტუალურია, ასევე, „უსაფრთხოების" ფრეიმი, რომლის ფოკუსი ქალის ჯანმრთელობისთვის აბორტის და სელექციური აბორტის საფრთხეა; მედია იყენებს „პასუხისმგებლობის" ფრეიმსაც, რომელიც აბორტზე და სელექციურ აბორტზე პასუხისმგებლობას ქალს აკისრებს.

აბორტის გამამართლებელი ფრეიმებიდან, რომლებიც ნაკლებად გამოიყენება, გამოიკვეთა „უფლების“ ფრეიმი, რომელიც აბორტს ქალის უფლებად მიიჩნევს. აბორტთან, მათ შორის სელექციურ აბორტთან დაკავშირებული დისკურსის დომინანტური წყაროები სახელმწიფო მოხელეები და სასულიერო პირები არიან, რომელთა რიტორიკაში აბორტი და სელექციური აბორტი სტიგმატიზებულია და დემოგრაფიული კრიზისისა და დედობის საწინააღმდეგო კონტექსტში განიხილება. ქალის ხმა მედიადისკურსში თითქმის არ ისმის. აბორტისა და სელექციური აბორტის გაშუქებაში მნიშვნელოვან როლს თავად ჟურნალისტები ასრულებენ, რომლებიც, ფრეიმების ჩამოყალიბების თეორიის თანახმად, ფრეიმების შერჩევისას საკუთარ წარმოდგენებსა და ღირებულებებს ეყრდნობიან. კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ჟურნალისტების (N=113) გამოკითხვამ აჩვენა, რომ ჟურნალისტების გენდერსენსიტიურობის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია, თუმცა აბორტის მიმართ სენსიტიურობა დაბალი, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტები უარყოფითად არიან განწყობილი აბორტის და სელექციური აბორტის მიმართ.

# Abstract

The qualitative and quantitative content analyses of the topic of abortions, including sex-selective abortions, in Georgian media has revealed that media pays little attention to abortions, and especially sex-selective abortions. From 2006 to 2014, 322 articles were published in 12 media outlets, out of which 69 referred to the subject of selective abortion. The discourse on abortion, including sex-selective abortion, mainly describes the ongoing developments which are voiced by the power elites (the state and the church). For the state, communication of abortion is the communication of its successful demographic policy: abortion/selective abortion threatens the nation with dying out, while state policy prevents it. Church views abortion as a sin - an act directed against motherhood, the primary function of a woman, and therefore, as negative and unacceptable. Various media with different editorial policies cover the issues of abortion and sex-selective abortion in different ways: in centrist media neutral and incriminating frames are presented in equal amount, while in liberal media neutral frame is prevalent, and in media content with conservative direction incriminating frames dominate over the rest.

The qualitative analysis of news content has revealed that neutral coverage of abortion is related to factual and legal frames in which high statistics related to abortion and selective abortion and legal regulations concerning abortion ban are covered; demographic-nationalist frame dominates among negative, incriminating frames showing abortion and selective abortion as a precondition for demographic disaster. Safety frame, which is mainly focused on negative impact of abortion and selective abortion on women's health, and responsibility frame, which imposes responsibility for abortion and selective abortion on women, are also actively used. Justification of abortion is connected to the frame of a woman's right and has minimal representation. The woman is almost voiceless in the media discourse.

The dominant sources of discourse related to abortion, including sex-selective abortion, are state officials and church authorities, whose rhetoric stigmatizes abortion and selective abortion, and discusses the issue in the context of demographic crisis, as well as in an anti-maternity context.

Along with the sources, journalists perform a very important role in the coverage of abortion and sex-selective abortion. The survey of journalists (N = 113) conducted within the framework of the study showed that the gender sensitivity rate of journalists is above average and their attitude towards abortion and sex-selective abortion is negative.

# სელექციური აბორტი და მედია

## თავი 1. შესავალი

სელექციური აბორტი[1] არასასურველი სქესის ნაყოფის მოცილებას ნიშნავს. სელექციური აბორტი, რომელიც ძირითადად მდედრობითი სქესის ნაყოფის მოსაშორებლად გამოიყენება, ქალთა მიმართ ძალადობის ექსტრემალური ფორმის, ფემიციდის გამოვლინებად განიხილება.

ფემიციდის დეფინიციის პირველი მცდელობა დიანა რასელს ეკუთვნის, სწორედ მისმა განსაზღვრებამ დაუდო საფუძველი ფემიციდის შემდგომ კვლევასაც. რასელის განმარტებით, ფემიციდი კაცების მიერ ქალების მოკვლაა მათი სქესის გამო. კაცების მიერ ქალთა მკვლელობები ხდება ზიზღის, დამცირების, სიამოვნების მიღების ან ქალის ფლობის/დაქვემდებარების მიზნით (Caputi, Russel 1990).

ფემიციდი, ვენის დეკლარაციით მიღებული განმარტებით, ქალთა და გოგონათა მკვლელობაა მათი სქესის გამო (ვენის დეკლარაცია, 2012). მდედრობითი ნაყოფის მოცილება ფემიციდის შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფორმაა, და მხოლოდ თერთმეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშია გამოვლენილი (Guilmoto & Tovey, 2015).

ბოლო მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს სქესთა შორის თანაფარდობა ნორმას უმნიშვნელოდ აჭარბებს (მამრობით და მდედრობით ახალშობილთა თანაფარდობის ნორმაა 105:100). საქართველოში ბოლო მონაცემებით მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალშობილების თანაფარდობა 107:100, ანუ ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე 107 ბიჭი იბადება, მესამე შვილის შემთხვევაში კი მამრობითი და მდედრობითი

---

[1] სელექციური აბორტი ლიტერატურაში და მედიაში ასევე აღინიშნება შემდეგი ტერმინებით - სქესის პრენატალური შერჩევა, სქესთან შეჭიდული აბორტი, გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა, ფოეტიციდი, მდედრობითი სქესის ნაყოფის მოშორება; ამ ნაშრომში უპირატესობა მიენიჭება ტერმინს "სელექციური აბორტი".

სქესის ახალშობილების თანაფარდობა - 114:100 ნორმას უფრო მეტად აჭარბებს (საქსტატი, 2018).

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერული ინდექსის (SIGI) 2019 წლის რეგიონული ანგარიშის მიხედვით, კავკასიაში ვაჟის ყოლის პრეფერენციამ სქესთა შორის ბალანსის საგანგაშო დარღვევა გამოიწვია და აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში 170 000 გოგონა არ დაიბადა.

2014 წლის 7 ოქტომბრიდან საქართველოში  დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადებების თავიდან აცილება. ეს ნიშნავს, რომ საქართველო სელექციური აბორტის პრობლემის მოგვარებას კრიმინალიზაციის გზით ცდილობს, ისევე, როგორც ინდოეთი და ჩინეთი (Eklund,  Purewal, 2017). ამ პოლიტიკას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მხოლოდ აკრძალვაზე დაფუძნებული საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფენ სელექციური აბორტის პრევენციას.

ისტორიულად, ცნობები გოგონების და ქალების რეპროდუქციული დისკრიმინაციის შესახებ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნიდან ჩნდება (Visaria, 2003). 1970-იან წლებში  სელექციურ აბორტთან მიმართებაში ტერმინი „ფემიციდი" გამოიყენეს. 1985 წელს ფემინისტი ფილოსოფოსი ენ უორენი (Warren, 1985) სელექციურ აბორტთან მიმართებაში ახალ ტერმინს - „გენდერციდს" ამკვიდრებს.

ამარტია სენმა სელექციური აბორტის, უყურადღებობის და უთანასწორო ზრუნვის შედეგად დაახლოებით 100 მილიონი გოგონას „გაქრობა" დაასაბუთა (Senn, 1990), თუმცა, სხვა გათვლებით, ეს რიცხვი გაცილებით მაღალია.

დღეს სელექციური აბორტი ვენის დეკლარაციის მიხედვით, ფემიციდის ერთ-ერთ სახედ ითვლება. აღნიშნული მოვლენის უარყოფითი შედეგები ქვეყნების დემოგრაფიულ და სოციალურ განვითარებაზე აქტიური მსჯელობის საგანია, როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკურ წრეებშიც.

ფემინისტების ნაწილის აზრით, სელექციური აბორტის გენდერციდის კონტექსტში განხილვა, წინააღმდეგობაში მოდის ქალის უნივერსალურ უფლებასთან, განკარგოს საკუთარი სხეული, ანუ სხეულის ავტონომიასთან (Macklin, 1999). ნაწილი იზიარებს აზრს, რომ  სელექციური აბორტი, რომელიც ვაჟიშვილის უპირატესობის კონტექსტში განიხილება, ეთიკურ პრობლემას წარმოადგენს (Warren, 1999, cited in Nie, 2010). ფემინისტების ნაწილმა სელექციური აბორტის კონსტრუირება, ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში მოახდინა, რამაც გაამყარა სელექციური აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტი (Goodkind, 1999).

შესაძლებელია სელექციური აბორტის სხვაგვარი კონცეპტუალიზაციაც, კერძოდ, როგორც ძალაუფლების მქონე ელიტების მხრიდან მოსახლეობის დემოგრაფიული მართვის მექანიზმის. ამ კუთხით, საგულისხმოა, ფუკოს „ბიო-ძალის“ კონცეფცია. ბიო-ძალაუფლება (Foucault, 1998) წარმოადგენს ორგანიზებულ ძალაუფლებას, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს მოსახლეობის კონტროლისათვის. „ბიო-ძალა"მიმართულია არა ინდივიდების, არამედ მთელი მოსახლეობის კონტროლისკენ და ისეთი ბიოლოგიური პროცესების დარეგულირებას გულისხმობს, როგორიცაა შობადობა, ჯანმრთელობა, სიკვდილიანობა.

სელექციური აბორტის ფენომენი სათანადოდ არ არის შესწავლილი; ამ კუთხით, საგულისხმოა, სელექციური აბორტის გაშუქების საკითხი. სელექციური აბორტის და აბორტის მედიაციის კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა.

ცნობილია, რომ მედია სოციალურ რეპრეზენტაციას ახდენს და გავლენა აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების ფორმირებაზე (Hewstone & Stroebe, 2009). ზოგიერთი კვლევის მიხედვით, მედიის მიერ შექმნილ სახეს უფრო მეტი გავლენა აქვს შეხედულების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე პირად გამოცდილებას (Rose, 2011). იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი მასშტაბის  საკითხის ინტერპრეტაცია და მასთან დაკავშირებული ქცევის ფორმირება, საჭიროა გავერკვეთ, თუ როგორ ხდება საკითხის კონსტრუირება მედიასა და საზოგადოებრივ

დისკურსში, რა “ფრეიმები” იკვეთება საკითხთან მიმართებაში და როგორი ლინგვისტური კონსტრუქტები გამოიყენება ფრეიმების შემადგენლობაში.

ფრეიმინგი საკომუნიკაციო ხერხია, რომელიც მოიცავს აღქმული რეალობის რომელიმე ასპექტის შერჩევას და საკომუნიკაციო ტექსტში წარმოჩენას, რათა პრობლემის გარკვეულ დეფინიციას, მიზეზ-შედეგობრივ ინტერპრეტაციას, მორალურ შეფასებასა ან/და გადაჭრის გზას შეუწყოს ხელი (Entman,1993). ფრეიმი ფრეიმინგის პროცეში ჩნდება, და შეიძლება კომუნიკატორთან და მიმღებთან, ასევე საკომუნიკაციო ტექსტში და ზოგადად კულტურაში მოვიძიოთ. კულტურა, ენტმანის თქმით, „გავრცელებული ფრეიმების საცავია” (გვ. 53).

გამსონისა და მოდილიანის ფუძემდებლური კვლევის (1989) თანახმად, წინააღმდეგობრივ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებული ფრეიმები ჩნდება. ასეთი ფრეიმები შეიძლება აკადემიურ-სამეცნიერო, საჯარო პოლიტიკის, მედიის ან სოციალური მოძრაობებისა და წინააღმდეგობის ჯგუფების დისკურსებში წარმოიქმნას. დაპირისპირებული მხარეები საკუთარი ფრეიმის დომინანტურ პოზიციად დამკვიდრებას ცდილობენ და საკითხის სასურველი ფრეიმის დასამკვიდრებლად საჯარო დებატებში ერთვებიან.

შოიფელე (1999) მედიაში ფრეიმინგის პროცესს ფრეიმის შექმნის, ფრეიმის გავრცელების, ფრეიმის ინდივიდუალური აღქმის და ინდივიდუალური ფრეიმების ისევ მედიაში გადანაცვლების ეტაპებად ყოფს. ფრეიმის შექმნის პროცესში შიდა და გარე ფაქტორები მონაწილეობს. შიდა ფაქტორებიდან, შოიფელე (1999) და, უფრო ადრე კი, განსი (1979), ჟურნალისტურ ორგანიზაციულ რუტინას ასახელებენ. გარე, მაკრო ფაქტორებად პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები განიხილება. შოიფელე და თიუქსბერი (2002) ჟურნალისტთა ინდივიდუალურ ფრეიმებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლებიც ამა თუ იმ საკითხის გაშუქების ფრეიმის შერჩევაზე ახდენს გავლენას.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აბორტის და სელექციური აბორტის ფრეიმინგულ გაშუქებაზე ზეგავლენას ჟურნალისტთა

გენდერული სტერეოტიპებიც მოახდენს. როგორც მედიაში გენდერული სტერეოტიპების კვლევამ (მსხილაძე, 2011) აჩვენა, ქართულ მედიაში სტერეოტიპული აზროვნება და მიდგომები ჭარბობს. ქალებსა და ქალთა საკითხებზე მომზადებული ჟურნალისტური მასალების უმეტესობა გენდერულ სტერეოტიპებს ამლიერებს. ჟურნალისტები არ არიან გათვითცნობიერებული გენდერის საკითხებში და შესაბამისად, გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ, რაც ხელს უწყობს ამ სტერეოტიპების გამყარებას საზოგადოებაში.

ფრეიმინგის თეორიის მიხედვით, მედიის მიერ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გაშუქებაზე გავლენას ახდენს მედიასაშუალების მფლობელობის ფორმა და მედიის კომერციული და იდეოლოგიური ინტერესები.

საქართველოში მედიალანდშაფტი პოლარიზებული და მრავალფეროვანია. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლამ გაზარდა კომერციული რადიოების და ტელევიზიების რიცხვი, ბეჭდური მედია კი შედარებით სუსტად არის განვითარებული. პოლიტიკური და ეკონომიკური მიკერძოებულობა სამაუწყებლო სფეროში ფართედ გავრცელებული მოვლენაა, და ამ კუთხით საქართველოს მედიასისტემა ახლოსაა სამხრეთევროპულ ანუ მედიტერანულ სისტემასთან (მიქაშავიძე, 2018). საქართველოში არსებობს “საზოგადოებრივი მაუწყებელიც“, რომელიც საინფორმაციო გარემოში არსებული იდეოლოგიური, კომერციული და პოლიტიკური მიკერძოების დაბალანსებას ისახავს მიზნად. ახალი ამბების მთავარ წყაროდ ტელევიზია ითვლება. ფრიდომ ჰაუსის ანგარიშის მიხედვით (Freedom House, 2017), საქართველოში რეგიონში ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანი მედია გარემოა. მართალია, მედია გარემო პოლიტიზირებულია, და ხშირად პოლიტიკური დებატები სკანდალისა და გართობის ელემენტებით ხასიათდება, საქართველოში, მედია საშუალებების მფლობელობა, უმეტესად, გამჭვირვალეა, თუმცა რჩება რამდენიმე გამონაკლისი, სადაც აქციონერები

საკუთარ კავშირებს ოფშორული კომპანიების მეშვეობით ნიღბავენ (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2014).

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა ფრეიმინგის თეორიას, რომელიც მასობრივი კომუნიკაციების კვლევების ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული თეორიაა.

ფრეიმი წარმოადგენს ცენტრალურად ორგანიზებულ იდეას ან ისტორიას, რომელიც საზოგადოების ყურადღებას ხსნის ერთი ვიწრო საკითხის მიმართულებით, ფრეიმი აუდიტორიას ამბის მთავარ საკითხზე ფოკუსირებას სთავაზობს.

ფრეიმების შექმნაში ჟურნალისტებიც მონაწილეობენ, ფრეიმების შექმნისას ისინი ირჩევენ აქტუალურ საკითხს და ასეთი სახით აწვდიან აუ-დიტორიას ახალ ამბავს. ფრეიმების გამოყენებით, ჟურნალისტი კომპლექ-სური საკითხიდან ცალკეულ ასპექტს გამოყოფს, მას სხვებზე უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და იმ ფორმით ავრცელებს. თავის მხრივ, აუდიტო-რიაც, რომელიც ჟურნალისტის მიერ შერჩეულ ფრეიმებს, იღებს, მოვლენას იმავე ფოკუსით აღიქვამს.

მოცემული კვლევის მიზანია მედიაზე დაკვირვებითა და ჟურნალისტების გამოკითხვის გზით გამოარკვიოს თუ რა ფრეიმებს იყენე-ბდა ქართული მედია აბორტის/სელექციური აბორტის გაშუქებისას და რო-გორი ინტერპრეტაციით წარმოაჩენდა მედია აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებით მოვლენებს.

მოცემული კვლევის მიზანს აბორტის/სელექციური აბორტის ფრეიმების და მედიაციის ანალიზი წარმოადგენს ქართულ საინფორმაციო მედიაში; უფრო კონკრეტულად, კვლევა აჩვენებს, როგორ ასახავს მედია აბორტის და სელექციური აბორტის თემას, ზოგადად, რა ტიპის ფრეიმები არსებობს აბორტთან და სელექციურ აბორტთან მიმართებაში; რა თემატური კონტენტი ვრცელდება დომინანტური ფრეიმების ფარგლებში; და ბოლოს, რა როლს ასრულებენ წყაროები და ჟურნალისტები აბორტის და სელექციური აბორტის მედიაციაში.

კვლევის მნიშვნელობა უაღრესად მაღალია, რადგან საქართველოში სელექციური აბორტის მაღალი სტატისტიკის მიუხედავად (საქსტატი, 2018), საკითხთან მიმართებაში საზოგადოების ცნობიერება დაბალია. საკითხის კვლევა საქართველოში და გლობალურად ამ ფენომენის გააზრებას და საბოლოოდ აბორტის და სელექციური აბორტის შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაციის პოლიტიკის შემუშავებას შეუწყობს ხელს.

რადგან აბორტი და მათ შორის, სელექციური აბორტი ქალის ჯანმრთელობასა და ქალის სოციალურ როლს უკავშირდება, კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს ვიმსჯელოთ იმის შესახებაც, თუ როგორია საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები ქალის როლზე და მის უფლებებზე, ასევე, თუ როგორია  ამ შეხედულებების ჩამოყალიბებაში მედიისა და ჟურნალისტების როლი.

სელექციური აბორტის პრობლემის გადაუჭრელობის ერთ-ერთი მიზეზი ამ პრობლემის არაღიარებაა საზოგადოებაში, რასაც ჟურნალისტების მიერ პრობლემის გაუცნობიერებლობა და მასმედიაში აღნიშნული თემის დაბალი აქტუალურობაც უწყობს ხელს. სელექციური აბორტის, და ზოგადად, ფემიციდის შესახებ მონაცემების ნაკლებობა ქართულ საზოგადოებაში პრობლემის არაღიარების საფუძველი ხდება. შესაბამისად არ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი და საჯარო პოლიტიკა. ცვლილებისათვის აუცილებელია კვლევა და მონაცემების შეგროვება, რათა ჩამოყალიბდეს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკა და პრაქტიკა სელექციურ აბორტთან მიმართებაში..

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანია, როგორც პროფესიული მედიის წარმომადგენლებისათვის, ისე ზოგადად, ფემიციდის პრობლემის გასააზრებლად, ქალთა რეპროდუქციული და ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკის დასაგეგმად საქართველოში და გლობალურად.

ავტორი საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს პირადი მონაწილეობა ფოეტიციდისა და ფემიციდის საწინააღმდეგო მოძრაობაში. მისი

ავტორობით გამოქვეყნდა ქართულ მასმედიაში პირველი ინფორმაცია სელექციური აბორტების შესახებ (“ლიბერალი”, 1 ივნისი, 2009). ავტორი 2013 წელს შექმნილი მოძრაობა - Cost Action “Femicide across the Europe”-ის წევრია, რომელიც ევროპის 27 ქვეყნის მკვლევრები გააერთიანა. მან მონაწილეობა მიიღო ფემიციდის მეცნიერულ შესწავლაში, რაც დეფინიციების, ანგარიშების და რეკომენდაციების შემუშავების ფორმით.

საქართველოში სელექციური აბორტის, როგორც ფემიციდის ერთ-ერთი გამოვლინების მედიაგაშუქების კვლევა ხელს შეუწყობს გლობალური მასშტაბით ამ კომპლექსური და მრავალშრიანი საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს 191 გვერდს და შედგება შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, სამი კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგებისა და დასკვნისაგან. ნაშრომში წარმოდგენილია სამი კვლევის შედეგებზე დისკუსია და საბოლოო დასკვნა. ნაშრომს დაერთვის ბიბლიოგრაფია და დანართები.

შესავალში შვიდ გვერდზე მიმოხილულია პრობლემის აქტუალურობა, კვლევისას დასახული მიზანი და მისი პრაქტიკული ღირებულება. აგრეთვე მოკლედაა მიმოხილული კვლევის მეთოდი და მეცნიერული სიახლე.

ლიტერატურის მიმოხილვაში 31ვერდზე მიმოხილულია სელექციური აბორტი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა, სელექციური აბორტის ფენომენის განვითარება საქართველოში, სელექციური აბორტის მიმართ არსებული განწყობები და დამოკიდებულებები, გენდერული უთანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში, როგორია მედიის როლი სელექციური აბორტის კონსტრუირებაში, აბორტის სტიგმა, აბორტის გაშუქება მედიამფლობელობასთან, კომერციალიზაციასთან და სარედაქციო იდეოლოგიასთან კავშირში, ფრეიმინგის თეორია და მისი ზეგავლენა, ჟურნალისტებისა და რედატორების როლი ფრეიმის ჩამოყალიბებაში და მედიატექსტი კრიტიკული თეორიის ჭრილში.

კვლევის მეთოდოლოგიაში 16 გვერდზე განხილულია კვლევის მიდგომა და დიზაინი, გამოყენებული ცვლადები. აღწერილია საკვლევი მედია, მონაცემების შეგროვების მეთოდები, კოდირება, ფრეიმების ჯგუფები, წყაროები, ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები, როგორც ორი რაოდენობრივი, ისე ერთი თვისებრივი

კვლევებისასთვის, ჟურნალისტების გენდერსენსიტიურობის და მათი აბორტთან დამოკიდებულების შესაფასებელი კითხვარები.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია 67 გვერდზე. ცალ-ცალკეა მოცემული რაოდენობრივი კონტენტანალიზის შედეგები და დასკვნა, თვისებრივი კონტენტანალიზის შედეგები და დასკვნა, და ჟურნალისტების და რედაქტორების გენდერსენსიტიურობისა და აბორტთან დამოკიდებულების რაოდენობრივი კვლევის შედეგები და დასკვნა.

დისკუსია გაწერილია 25 გვერდზე. ამ განყოფილებაში ნაჩვენებია თუ როგორ უკავშირდება ჩემს მიერ ჩატარებული სამი კვლევის შედეგები ამ თემაზე უკვე ჩატარებულ აკადემიურ კვლევებს გლობალურად.

სამივე კვლევის შედეგები და დისკუსია შეჯამებულია საბოლოო დასკვნაში, რომელიც გაწერილია სამ გვერდზე. დასკვნაში აგრეთვე განხილულია შემდგომი კვლევების მიმართულებები, რაც გამოიკვეთა წარმოდგენილი კვლევის პროცესში.

ბიბლიოგრაფია მოიცავს კვლევისას გამოყენებული 155 დასახელების ლიტერატურის ჩამონათვალს.

დანართში 10 გვერდზე წარმოდგენილია კითხვარები, კვლევის დროს გამოყენებული კოდირების ანკეტები, ანალიზისას გამოყენებული პროგრამული კოდების სია.

# თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

## 2.1 სელექციური აბორტი, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ფორმა

სელექციური აბორტი ანუ ფოეტიციდი ნაყოფის სქესის ნიშნით მოშორებას ნიშნავს. ფოეტიციდი, ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ფემიციდის სხვა ფორმები, ქალთა წინააღმდეგ განგრძობითი ტერორის გამოვლინებაა (Radford & Rassel, 1994). ქალთა მიმართ ძალადობის სახეებია: ვერბალური და ფიზიკური ძალადობა, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, გენიტალური მუტილაცია/ წინდაცვეთა, დაუსაბუთებელი ქირურგიული ჩარევები, ძალდატანებითი ჰეტეროსექსუალობა, ძალდატანებითი სტერილიზაცია, ძალდატანებითი დედობა (Radford & Rassel, 1994). ვენის დეკლარაციის თანახმად, ფემიციდის ფორმებად ითვლება: ინტიმური პარტნიორის მიერ ქალის მოკვლა; წამება და მიზოგინისტური მოკვდინება; ღირსების სახელით ქალისა და გოგონას მოკვლა; შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და გოგონების მიზანმიმართული კვლა; მზითვის გამო ქალის მკვლელობა; სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო ქალის მკვლელობა; მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების მკვლელობა; ინფანტიციდი (ახალშობილის მოკვლა) და სქესთან დაკავშირებული სელექციური აბორტები; გენიტალურ მუტილაციასთან დაკავშირებული მკვლელობა; კუდიანობაში დადანაშაულების გამო მკვლელობა; სხვა სახის ფემიციდი, რომელიც უკავშირდება იარაღის ტარებას, ტრეფიკინგს, ნარკოტიკების გასაღებას, ორგანიზებულ კრიმინალს (ვენის დეკლარაცია, 2012).

სელექციური აბორტის შედეგად სქესთა შორის თანაფარდობა ირღვევა, რაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგ. ინდოეთში, ვიეტნამსა და ჩინეთში დაფიქსირდა და გოგონების გაუჩინარების ფენომენად არის ცნობილი. სხვადასხვა მონაცემით, მსოფლიოში 60-დან 107 მილიონამდე გოგოა გამქრალი.

ამარტია სენმა 1990 წელს 100 მლნ-ი გოგონას „გაქრობა" დაასაბუთა ინფანტიციდის, უგულებელყოფის და უთანასწორო ზრუნვის გამო (Senn, 1990). სხვა გათვლებით, ეს რიცხვი 160 მილიონს აღწევს (Hbistendahl, 2011). მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, სელექციური აბორტების პრობლემა ყველაზე მასშტაბური ინდოეთსა და ჩინეთშია.

ისტორიულად, ცნობები გოგონების და ქალების რეპროდუქციული დისკრიმინაციის შესახებ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში მოიპოვება, იმ მომენტიდან, როდესაც ბრიტანეთის კოლონიურმა ადმინისტრატორმა ინდოეთში 1870 წელს დააფიქსირა ახალდაბადებული გოგონას სიკვდილი (Visaria, 2003).

1970-იან წლებში ამ პრაქტიკის აღსაწერად გამოიყენეს ტერმინი „ფემიციდი". 1985 წელს ფემინისტი ფილოსოფოსი მარი ენ უორენი (Warren, 1985) თავის წიგნში "Gendercide: The implications of sex selection" სელექციურ აბორტთან მიმართებაში ახალ ტერმინს - „გენდერციდს" ამკვიდრებს. უორენი არ ამტკიცებდა, რომ სელექციური აბორტები გენდერციდია, არამედ ამბობდა, რომ სელექციური აბორტები შეიძლება იქცეს გენდერციდად.

საინტერესოა სელექციური აბორტთან მიმართებაში ფემინისტური დისკურსი. უორენი სელექციური აბორტის საკითხს ქალის რეპროდუქციული არჩევანის პოზიციიდან განიხილავდა და უპირობოდ ქალის ფუნდამენტურ უფლებად მიიჩნევდა. მოგვიანებით მან შეცვალა პოზიცია და აღნიშნა, რომ სელექციური აბორტი არაეთიკურია იმ კონტექსტში, თუ ქალი ვაჟიშვილს ანიჭებს უპირატესობას (Warren, 1999; cited in Nie, 2010). თუმცა უორენის ამ ბოლო პოზიციას არ ეთანხმებიან სხვა ფემინისტები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ პრაქტიკაში ასეთი პოზიცია სელექციურ აბორტთან მიმართებაში შეზღუდავს სხეულის ავტონომიის უფლებას ( Macklin,1999). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბორტის, როგორც ქალთა ფუნდამენტური უფლების პოზიციასაც ყავს მოწინააღმდეგები ფემინისტ მკვლევართა შორის. მათი აზრით, სანამ ქალს არ აქვს კულტურული და ინსტიტუციური მხარდაჭერა, რომ ჩამოაყალიბოს

არჩევანი და შემდეგ ამ არჩევანზე დაფუძნებით იმოქმედოს, აბორტზე უფლება აზრს მოკლებულია (Smart, 1989).

სელექციური აბორტის ფემინისტმა კრიტიკოსებმა მოგვიანებით მოახდინეს სელექციური აბორტის, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის აქტის კონსტრუირება, რაც სელექციური აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტად იქცა (Goodkind, 1999). სელექციური აბორტის ამგვარ კონტექსტუალიზაციაში აბორტი მდედრობითი სქესის ნაყოფის მიმართ ჩადენილ ძალადობის აქტად არის შეფასებული (Goodkind, 1999).

ფემიციდი და გენდერციდი სელექციური აბორტის შესახებ თანამედროვე დისკურსის ნაწილია. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სელექციური აბორტი და "გენდერციდი" პრობლემატურად დაუკავშირდა თანამედროვე წინააღმდეგობრივ აბორტზე დებატებს ევროპაში. გამქრალი გოგოების კონცეპტი, რომელიც გენდერციდის ცნებაში გამოიხატა და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ გოგონები სისტემატიურად განიცდიან დისკრიმინაციას დაბადებამდე და ჩასახვამდე,- ატაცებული იქნა არა მხოლოდ აბორტის მოწინააღმდეგე მოძრაობის მიერ, არამედ, პოპულისტი და კონსერვატიული პოლიტიკური ძალების მიერაც,- პოლიტიკური ქულების დასაწერად. ამ მეცნიერებმა თავის ნაშრომში წარმოადგინეს კონტურები, თუ როგორ არის სელექციური აბორტი და „გენდერციდი" პრობლემატურად დაკავშირებული აბორტების დებატებთან ევროპაში. გაანალიზეს რა სხვადასხვა პოლიტიკები ამ თემაზე, სამი მიმართულება გამოკვეთეს: ბიოსამედიცინო მიმართულება, „გენდერციდის" მიმართულება და აზიური დემოგრაფიის მიმართულება. მკვლევრები ამბობენ, რომ სელექციურ აბორტთან დაკავშირებული უკანასკნელი მოვლენები აჩვენებენ, რომ ევროპის ნეოლიბერალური სახელმწიფოები მიმღებლობას იჩენენ ისეთი ცვლილებებისადმი, რომლებიც ზღუდავენ აბორტზე უფლებას.

## 2.2 სელექციური აბორტი საქართველოში

სელექციური აბორტის პრობლემის წინაშე საქართველოც აღმოჩნდა, მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანთან ერთად. ახალშობილთა სქესის სელექციის გავრცელებულ მავნე პრაქტიკის შესახებ ჩვენს რეგიონში და ალბანეთის რესპუბლიკაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2011 წლის 3 ოქტომბერს სპეციალური რეზოლუცია მიუძღვნა. რეზოლუციაში ასამბლეა ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებდა ყურადღება მიექციათ ამ ახალი გამოწვევისათვის, როგორც საზოგადოებაში გენდერული ძალადობის უკიდურესი გამოვლენისათვის (Stump, 2011). აღსანიშნავია, რომ სამი სამხრეთ კავკასიის ქვეყნიდან მხოლოდ საქართველომ უგულებელყო ევროსაბჭოს მიმართვა, მაშინ როდესაც სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობებმა შეშფოთება გამოთქვეს შექმნილი ვითარების გამო და 2011 წლიდან დაიწყეს სპეციალური კვლევების ჩატარება გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის ფენომენის გავრცელების შესასწავლად.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთია თერთმეტ ქვეყანას შორის (Guilmoto, 2012), რომლებშიც სქესთა თანაფარდობის მნიშვნელოვანი დარღვევა აღინიშნება. ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკა 1994 წლიდან აფიქსირებს ცოცხლადშობილებში სქესთა შეფარდების გადახრას ნორმიდან. სქესთა შეფარდების ნორმა 105-106 ბიჭია ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე, ხოლო საქართველოში ბოლო მონაცემებით ყოველ 100 გოგონაზე 107 ვაჟი იბადება (საქსტატი, 2018). მესამე შვილის შემთხვევაში, მამრობითი და მდედრობითი სქესის ახალშობილთა თანაფარდობაა უფრო მეტადაა გადახრილი ნორმიდან (114:100). საქართველო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან - აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად - წარმოადგენს ერთ-ერთ რეგიონულ კლასტერს, სადაც სქესთა შორის თანაფარდობა ნორმას აღემატება (Dudwick, 2015). აზერბაიჯანს, მაგალითად, აქვს ყველაზე მაღალი სქესთა შორის

თანაფარდობის მაჩვენებელი მსოფლიოში, მას შემდეგ რაც ჩინეთში ამ მაჩვენებელმა იკლო (Dudwick, 2015).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, სქესთა შორის თანაფარდობის დარღვევის მაჩვენებელმა იმ მშობლებში, რომელთაც ბიჭი შვილი არ ჰყავთ 170-ს მიაღწია, მაშინ, როცა საშუალო მაჩვენებელი 109 იყო 2010-2014 წლებში. განსაკუთრებით მაღალია სქესთა შორის თანაფარდობის დარღვევა აზერბაიჯანულ (126:100) და სომხურ ოჯახებში (117:100), ქართულ ოჯახებთან შედარებით (107:100).

მკვლევრების შეხედულებები, რომლებიც საქართველოში სელექციური აბორტის ფენომენით დაინტერესდნენ (Badurashvili,2007, Guilmoto, 2012; Hohmann, Lefèvre, & Garenne, 2014; სულაბერიძე და წულაძე, 2010;  წიკლაური, 2014), წინააღმდეგობრივია. მაგალითად, სულაბერიძე და წულაძე (2010) ამტკიცებენ, რომ სელექციური აბორტი საქართველოში არ არის გავრცელებული, მაშინ, როდესაც სხვა კვლევების ავტორები (Badurashvili, 2007  Guilmoto, 2009; Hohmann, Lefèvre, & Garenne, 2014) ადასტურებდნენ სელექციური აბორტების პრაქტიკას საქართველოში, თუმცა სხვა მიზეზებით ხსნიან: ბადურაშვილი და გუილმოტო (2011) სელექციური აბორტის პრაქტიკას პატრიარქალურ ღირებულებრივ სისტემას უკავშირებენ, მაშინ როცა ჰოფმანი, ლეფევრი და გარენი (2014) პრობლემად აბორტების ფართედ გავრცელებულ პრაქტიკას ასახელებენ, რომლის თანმდევი პრობლემაა სელექციური აბორტი.

წინააღმდეგობრივია სელექციური აბორტის მიმართ სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულებაც. მთავრობა სელექციური აბორტის პრობლემას 2012 წლამდე უგულებელყოფდა და არგუმენტად საქართველოში ბოლო პერიოდამდე არსებული ახალშობილთა არასრული აღრიცხვა მოჰყავდა, რამაც, მთავრობის აზრით, შეცვალა სქესთა თანაფარდობის მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ახალშობილთა რეგისტრაცია გამოსწორდა 2010 წლიდან, მამრობით და მდედრობით ახალშობილთა თანაფარდობა ისევ ნორმასთან შეუსაბამო დარჩა და 2010-2014 წლებში 109:100 -თან შეადგინა. მეცნიერები ამგვარ

თანაფარდობას კი სქესობრივი დისკრიმინაციის ინდიკატორად განიხილავენ (Guilmoto, 2012).

სელექციური აბორტის პრაქტიკის გავრცელებაზე სამი ფაქტორის თანხვედრა ზემოქმედებს: ბიჭის ყოლის უპირატესი სურვილი, შობადობის შემცირება და ტექნოლოგიების განვითარების გამო აბორტის ხელმისაწვდომობა (Guilmoto, 2012).

ბიჭისთვის უპირატესობის მინიჭება პატრიარქალურ სოციალურ ღირებულებით სისტემას და გენდერულ დისკრიმინაციას უკავშირდება. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებად სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს ასახელებენ, რაც ოჯახში ვაჟიშვილის ყოლის სურვილს აჩენდა (Hohmann, Lefèvre, Garenne, 2014). საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის ასეთ ფაქტორად საბჭოთა კავშირის რღვევა და თანმდევი პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმები შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოში ვაჟიშვილი უფრო ფასეულია (ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში (GeoRHS), 2010). კავკასიის რესურსებისა და კვლევების ცენტრის 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ კაცების 57%-ს და ქალების 36%-ს ურჩევნიათ ჰყავდეთ ვაჟიშვილი. ქალიშვილის ყოლა ურჩევნიათ კაცების მხოლოდ 5%-ს და ქალების მხოლოდ 12%-ს (CRRC, 2010).

სხვა ქვეყნებშიც, სელექციურ აბორტის პრაქტიკას გენდერული პრეფერენციები, კერძოდ ვაჟიშვილის ყოლის უპირატესი სურვილი ასაზრდოებს. ეს სურვილი სოციალური - როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური წნეხის ფორმას იღებს და მნიშვნელოვან დისბალანსს აჩენს სქესთა შორის. როგორც ჩინეთში, ისე ინდოეთში სელექციურმა აბორტებმა ქალის უფლებები შეზღუდა, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში არ ჩატარებულა კვლევები, რომლებიც შეისწავლიდა გენდერული პრეფერენციების, კერძოდ, ვაჟიშვილის ყოლის სურვილის გავლენას სელექციური აბორტის გადაწყვეტილებაზე (Macleod & Feltham-King, 2012; Purcell, Hilton, McDaid, 2014).

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, შობადობა საქართველოში სტაბილურად დაბალია. შობადობის ჯამური კოეფიციენტი 1.5-დან 2-მდე მერყეობს (საქსტატი, 2018). 2013 წელს, მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო მსოფლიოში და 1,5-ს შეადგენდა[2] (საქსტატი, 2013). თუ ოჯახი ზღუდავს შვილების რაოდენობას, შობადობის დაგეგმვაში გენდერულ პრეფერენციებს მეტად ითვალისწინებს.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ადვილი გახდა ნაყოფის სქესის გამოვლენა, რამაც შესაძლებელი გახადა სელექციური აბორტების პრაქტიკის გავრცელება (Duthe et al, 2012; Mesle et al, 2007). სქესებს შორის თანაფარდობის დარღვევა ორსულობის ადრეულ დიაგნოსტიკას და აბორტების ხელმისაწვდომობას უკავშირდება. ულტრაბგერითი გამოკვლევა ნაყოფის სქესის დადგენისა და არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების საშუალებას იძლევა.

თანაფარდობა სქესთა შორის საქართველოში 1990-იანი წლებიდან ირღვევა, როდესაც ულტრასონოსკოპიის გამოყენება დაიწყო (Guilmoto & Tafuro, 2017).

ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში წლის განმავლობაში 25-დან 35 ათასამდე აბორტი კეთდება (საქსტატი, 2018). სტატისტიკის თანახმად, მაგალითად, 2012 წელს 2571 გოგოთი ნაკლები დაიბადა (საქსტატი, 2012).

2017 წელს, გუილმოტოსა და ტაფუროს მიერ UNFPA-ს დაკვეთით ჩატარებული კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა მონაცემის დამუშავების შედეგად, პირველად მოხდა საქართველოში სქესთა შორის შეფარდების მონაცემების რეკონსტრუქცია 1990 წლიდან 2016 წლამდე. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სწრაფ ზრდას ადგილი ჰქონდა 1991 წლიდან და 2000-იანი წლებისათვის მიაღწია 114:100-თან. ასევე

---

[2] შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას. ეს მაჩვენებელი გამოიანგარიშება შობადობის ერთწლიანი ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამის გაყოფით 1000-ზე. ქალი საშუალოდ ერთ ან ორ ბავშვს აჩენს.

ნიშანდობლივია, რომ 2000-იან წლებში დაიწყო კლება. პირველად 2009 წელს დაიკლო 110-მდე ხოლო 2016 წელს მიაღწია ნორმას - 105-ს. თუმცა, სქესთა შორის თანაფარდობა კვლავ პრობლემად რჩება კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის (Guilmoto &Tafuro, 2017).

2014 წლამდე, ქართული კანონმდებლობა კრძალავდა ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენებას სქესის შერჩევის მიზნით, თუმცა არ მოითხოვდა ამავე მიზნით აბორტის აკრძალვას. აბორტის პრაქტიკას „საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ არეგულირებს, რომლის მიხედვით ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას; 12 კვირის შემდეგ აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. შესაბამისად, სელექციური აბორტის მიზნით სქესის დადგენა 12 კვირამდე ეჩქარებოდათ.

2014 წელს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ინიციატივით, აქტიურად დაიწყო კანონმდებლობაზე მუშაობა. 2014 წლის 7 ოქტომბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანების თანახმად (ბრძანება N 01-74/ნ), დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადებების თავიდან აცილება. ეს ნიშნავს, რომ საქართველო სელექციური აბორტის პრობლემის მოგვარებას კრიმინალიზაციის გზით ცდილობს, ისევე, როგორც ინდოეთი და ჩინეთი (Eklund &Purewal, 2017). ამ პოლიტიკას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მხოლოდ აკრძალვაზე დაფუძნებული საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს სელექციური აბორტის პრევენციას. თუკი ქალს სურს აბორტის გაკეთება, ის ამას ახერხებს. მართლაც, აბორტის რიცხვი ოდნავ უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც აბორტი აკრძალულია (37 აბორტი 1000 ქალზე), ვიდრე იმ ქვეყნებში,

სადაც ის ნებადართულია (34 ყოველ 1000 ქალზე) (Sedgh, Ashford & Hussain, 2016).

### 2.3 სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულება და განწყობები

სელექციური აბორტის მიმართ განწყობებს გარკვეულწილად განაპირობებს ზოგადად აბორტთან დაკავშირებული კულტურული ნორმები და საზოგადოებრივი განწყობები.

აბორტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გინეკოლოგიური პროცედურაა (Sedgh et al, 2012).

კავკასიის კვლევისა და რესურსების ცენტრის მონაცემებით, საქართველოში აბორტის მიმართ დამოკიდებულება შემდეგია: ქალების 49%-ის და კაცების 51%-ის აზრით, აბორტის მიზანშეწონილობის გამართლება შესაძლებელია (CRRC, 2010).

საბჭოთა კავშირის პერიოდიდან მოყოლებული, აბორტი საქართველოში წარმოადგენდა შობადობის კონტროლის ძირითად საშუალებას და 2000 წლისათვის კავკასიაში აბორტების რიცხვი მსოფლიოში ყველაზე მაღალი იყო (Sedgh et al, 2012). ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში 39, 2 ათასი რეგისტრირებული აბორტი დაფიქსირდა (საქსტატი, 2012).

1920 წლამდე საბჭოთა კავშირში აბორტი ლეგალური იყო, 1936 წელს მოხდა მისი აკრძალვა და შემდეგ 1955 წელს მოხდა რელეგალიზაცია. ომში დაღუპული ადამიანების რიცხვმა 27 მილიონს მიაღწია, რამაც გამოიწვია მუშახელის შემცირება და ეკონომიკის დასუსტება. რეაგირების პოლიტიკა იყო პრონატალიზმი[3]. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პრონატალური პოლიტიკა საქართველოსაც შეეხო. პრონატალიზმის პოლიტიკა 1944 წლის ოჯახის კანონის სახელწოდებითაა ცნობილი და მისი ავტორი ნიკიტა ხრუშჩოვი იყო. საბჭოთა კავშირის მასშტაბით ამ პოლიტიკით, სხვადასხვა

---

[3] პრონატალიზმი (იგივე ნატალიზმი) შობადობის მხარდამჭერას ან შობადობის მხარდამჭერ პოლიტიკას ნიშნავს (Merriam-Webster dictionary, accessed online on July 20, 2019)

ჯარიმებისა და ჯილდოების საშუალებით, წახალისებული იყო ქორწინების გარეშე შობადობა. მარტოხელა დედებს ხელს უწყობდნენ, რომ საბავშვო სახლებში დაეტოვებინათ შვილები, შედეგად 1945-1955 წლებში 8,7 მლნ-ი ბავშვი დაიბადა ქორწინების გარეშე. არაფორმალურად ხელშეწყობილი იყო ქორწინების გარე ურთიერთობები. ამ პირობებშიც, ქალები ირჩევდნენ აბორტს, რასაც არალეგალურად იკეთებდნენ, შედეგად გაიზარდა აბორტით გამოწვეული ქალთა სიკვდილობაც, რასაც მოჰყვა აბორტის კვლავ ლეგალიზაცია (Nakachi, 2008).

აღმოჩნდა, რომ სქესი უმნიშვნელო ფაქტორია ქალთა და კაცთა აბორტის დამოკიდებულების ანალიზისას (Walzer,1994). სქესი ხშირად განიხილებოდა, როგორც აბორტის მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი, თუმცა, კვლევების შედეგები არაერთგვაროვანია. ასე, მაგალითად, როჯერსის კვლევამ აჩვენა, რომ კაცებს უფრო ლიბერალური დამოკიდებულება აქვთ აბორტის მიმართ, ვიდრე ქალებს (Rogers, 1987), თუმცა, სხვა კვლევამ (Finlay, 1981) სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა აბორტის მიმართ დამოკიდებულებაში არ გამოავლინა.

ფინლი (Finlay, 1981) აღნიშნავს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ადამიანის აბორტის მიმართ დამოკიდებულებას ხსნის, განათლებაა. სტაბილურია პოზიტიური ურთიერთკავშირი განათლების დონესა და აბორტის მიმართ დამოკიდებულებას შორის (Patel & Jogns, 2009), რაც ნიშნავს, რომ უფრო მაღალი საგანმანათლებლო ცენზის მქონე ადამიანები აბორტის მიმართ უფრო ლიბერალურად არიან განწყობილი და ქალის არჩევნად მიიჩნევენ.

აბორტის მიმართ დამოკიდებულებასა და პრაქტიკაზე მოქმედებს სხვა დემოგრაფიული ფაქტორები. ვინაიდან უმცირესობათა, ღარიბთა, ახალგაზრდა და მარტოხელა ქალების ფერტილობა კონსტრუირებულია, როგორც პრობლემური მოვლენა (Jagannathan 2006, Nathanson 1991, Roberts 1997), ამ კონტინგენტში აბორტი საზოგადოებისთვის უფრო დასაშვებად მიიჩნევა, ვიდრე ბავშვის გაჩენა, ან ორივე თანაბრად მიუღებელია.

ყველა ქალს თანაბრად არ მიუწვდება ხელი აბორტზე. ამერიკაში აბორტის საწინააღმდეგო აქტივიზმი სულ უფრო მეტ დაბრკოლებებს უქმნის ქალებს აბორტის ხელმისაწვდომობაზე. მაშინაც, კი როცა აბორტი ნებადართულია, გადაწყვეტილება მხოლოდ ქალზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გადაწყვეტილებაში აქტიურად ერთვებიან სამედიცინო პირები. მეცნიერები (Beckman, Sisson & Kimport, 2017) აღნიშნავენ, რომ ბარიერები, ძირითად შემთხვევაში, ყველაზე მეტად ღარიბ ქალებს შეეხება.

ამასთან, არსებობს ძალდატანებითი აბორტის პრაქტიკაც. მაგალითად, როგორც ეკლუნდი და პურვალი (Eklund & Purewal, 2017) აღწერენ, ჩინეთში არანებაყოფლობითი სკრინინგებითა და ძალდატანებითი აბორტით აკონტროლებენ პოპულაციის რიცხოვნობის ზრდას.

## 2.4 გენდერული უთანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში

ეს ნაშრომი სელექციურ აბორტს გენდერული დისკრიმინაციის და ქალთა მიმართ ძალადობის ჭრილში განიხილავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სელექციური აბორტის გავრცელება საქართველოში გენდერული უთანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში განვიხილოთ.

გენდერული უთანასწორობა საქართველოში კვლევებით დასტურდება (Geostat, 2013; Stump, 2011). 2007 წელს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ქცევასთან მიმართებაში, როგორიცაა სიგარეტის მოწევა, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობების დამყარება, საზოგადოება ქალებს ორჯერ უფრო მკაცრ შეზღუდვებს უყენებს, ვიდრე კაცებს.

საქართველოში გენდერული როლები მკვეთრადაა გამიჯნული. როგორც კვლევამ აჩვენა, კაცის როლი საოჯახო ფუნქციების შესრულებაში

არ აღემატება 21%-ს. გამოკითხულ კაცთა სამი მეოთხედი და ქალთა 55% აღნიშნავს, რომ კაცი უკეთესი პოლიტიკური ლიდერია (ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში, მეორე ტალღა, 2010).

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის (UNFPA) მხარდაჭერით, 2014 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გენდერულ თანასწორობას გამოკითხულთა მხოლოდ 3.7 პროცენტი უჭერდა მხარს, 45.5 პროცენტი გენდერული თანასწორობის მოწინააღმდეგედ დასახელდა, ხოლო 50.8 პროცენტი - გამოკვეთილი პოზიციის არმქონედ. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მომხრეთა 77 პროცენტს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები წარმოადგენენ, მოწინააღმდეგეთა 69 პროცენტს კი უმაღლესი განათლება არ მიუღია. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საოჯახო საქმეების განაწილების მოდელი ადამიანთა მიერ მოზარდობის პერიოდში დასწავლილ ქცევას ეფუძნება. გოგონათა დიდ უმრავლესობას ბავშვობიდან ასწავლიან ე.წ. „ქალურ" საქმეებს, როგორიცაა საჭმლის მომზადება, სახლის დალაგება, ოჯახში ჰიგიენური პირობების დაცვა, ტანსაცმლის რეცხვა, მაშინ როდესაც ბიჭებს პირადი ჰიგიენის დაცვას, სამეურნეო საქმეებს და და-ძმებზე ზრუნვას აჩვევენ (UNFPA, 2014).

ამავე კვლევაში (UNFPA, 2014) გამოკითხული მამაკაცების და ქალების თითქმის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა კაცს ეკუთვნის. რესპონდენტების უმრავლესობა კმაყოფილია საოჯახო საქმეების განაწილების ამდაგვარი მოდელით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საოჯახო საქმეებში არათანაბარი გენდერული მონაწილეობა სოციალურ-კულტურული ნორმაა.

კვლევამ (UNFPA, 2014) ასევე აჩვენა, რომ ბავშვების აღზრდაში ქალები და კაცები ერთობლივ პასუხისმგებლობას არ იღებენ და ბავშვის აღზრდა თავიდანვე ქალის მოვალეობად მიიჩნევა. მამების 42% არასდროს უმზადებს ბავშვს საჭმელს, არ აბანავებს და უცვლის მას საფენებს. მამები უფრო ისეთ საქმეებს ასრულებენ, რომელიც სამზარეულოს და აბაზანას არ

უკავშირდება – თამაშობენ ბავშვებთან, მიჰყავთ სასეირნოდ, უკითხავენ წიგნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად, მამების მიერ აღზრდის პროცესში ჩართულობა იკლებს.

კვლევის (UNFPA, 2014) მიხედვით 18 წლამდე სქესობრივი კავშირის გამოცდილება მამაკაცების 69%-ს, ხოლო ქალების 16%-ს აქვს; გამოკითხულთა 70% ფიქრობს, რომ არასასურველ ფეხმძიმობაზე პასუხისმგებლები ქალები არიან. მამაკაცთა 54% აღნიშნავს, რომ ისინი მეუღლეებს ექიმთან კონსულტაციებზე დაჰყვებიან, ხოლო მშობიარობას მხოლოდ 5% დასწრებია. გამოკითხული ქალების 23% აცხადებს, რომ მათი სურვილის წინააღმდეგ, ერთხელ მაინც ჰქონია სექსი ქმართან, ან პარტნიორთან.

UNFPA-ს (2014) კვლევამ ასევე გამოავლინა უაღრესად საშიში ფენომენი - რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მიმართ თანაგრძნობაც ცოტას აქვს. დაახლოებით 40% ფიქრობს, რომ "ქალებს იმიტომ აუპატიურებენ, რომ ისინი თავად იგდებენ თავს ამ სიტუაციაში" (UNFPA, 2014).

სოციალური ინსტიტუტებისა და გენდერული ინდექსის (SIGI) 2019 წლის რეგიონული ანგარიშში შეჯამებულია ევრაზიის ქვეყნებში ქალთა დისკრიმინაციის მდგომარეობა. კვლევის მიხედვით, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი საკანონმდებლო რეფორმების მიუხედავად, ღრმად ფესვგადგმული სოციალური ნორმებისა და პრაქტიკის წყალობით ქალები დისკრიმინაციას მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიან, განსაკუთრებით - ოჯახში.

### 2.5 ქალთა მიმართ ძალადობა

გენდერული უთანასწორობის უკიდურესი ფორმა ქალთა მიმართ ძალადობაა, რაც საქართველოში მზარდი პრობლემაა.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ 2017 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციამ და საქსტატმა გამოსცა,

შვიდიდან ერთ ქალს ცხოვრების განმავლობაში ოჯახში ძალადობა განუცდია.

კვლევის მიხედვით, თუ ძალადობის ყველა ფორმას გავაერთიანებთ, ოთხიდან ერთ ქალს საქართველოში ცხოვრების განმავლობაში გენდერული ნიშნით ძალადობა განუცდია. დაახლოებით 15 000 ქალს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობა ორსულობის პერიოდში გამოუცდია, ხოლო ქალების 9%-მა აღიარა, რომ ბავშვობაში, სანამ 18 წელი შეუსრულდებოდათ, მათ მიმართ სექსუალურ ძალადობას ჰქონია ადგილი.

კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ ქალებსა და კაცებს ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით ორივე სქესს მაღალი მიმღებლობა აქვთ. ქალების თითქმის მეხუთედს (22%) და კაცების თითქმის მესამედს (31%) მიაჩნია, რომ გარკვეულ გარემოებებში ცოლის ცემა გამართლებულია. უფრო მეტიც, ქალების თითქმის მეოთხედსა (23%) და კაცების მესამედზე მეტს (42%) სჯერა, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, როცა ის მას არ ეთანხმება.

კვლევა ზოგიერთ პოზიტიურ ტენდენციასაც გვაჩვენებს: მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქალების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის შემთხვევები პოლიციას შეატყობინეს, და 2017 წლის მონაცემით 18 პროცენტი შეადგინა. 2009 წელს ქალების მხოლოდ 1.5 პროცენტი ატყობინებდა ძალადობის ფაქტს პოლიციას. გარდა ამისა, ქალების პროცენტული ოდენობა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და სხვები არ უნდა ჩაერიონ, 2009 წელს დაფიქსირებული 78%-დან 2017 წელს 33%-მდე შემცირდა.

### 2.6 მედიის როლი სელექციური აბორტის კონსტრუირებაში

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, მისთვის ფორმისა და მნიშვნელობის მიცემით (Gamson & Modigliani, 1989). მედია სხვადასხვა

მოვლენების ასახვითა და წარმოჩენით ქმნის წარმოსახვით რეალობას, ქმნის სივრცეს, რომელიც მკითხველს წარმოსახვით საზოგადოებასთან იდენტიფიცირებისა და დიალოგის საშუალებას აძლევს (Anderson, 1991; Seale, 2003). ანუ, ხალხის წარმოდგენები ცხოვრებასა და სოციალურ ურთიერთობებზე ნაწილობრივ ფორმირდება იმ კონსტრუქტებით და წარმოდგენებით, რასაც მას მედია სთავაზობს (Taylor, 2002, as cited in Frosh & Wolfsfeld, 2007). შესაბამისად, მედიას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების შექმნასა და ამ საკითხების ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნებაში (Gerbner, Gross, Signorelli & morgan,1980; Robinson, 2011).

მედია ჩართულია მიღებული ქცევისა და იდენტობის განსაზღვრაში, იმ შეთანხმების ასახვაში, რაც განაპირობებს ნაციონალური, გენდერული, რასობრივი და სექსუალური ნორმების ფორმირებას. მედიის მეშვეობით ხდება „ნორმალურის" ანუ უმრავლესობის მიერ გაზიარებულის, მიღებულის ფართე მასებამდე მიტანა (Altheide, 2013).

მედია ქმნის სტიგმასაც, ავრცელებს რა უნდობლობის, შიშის, რისკისა და ბრალის შესახებ შეტყობინებებს (Mukha, 2003). მედიის დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ ის სოციალური კონტექსტი, რომელშიც ისტორიები იწარმოება, და გავერკვეთ თუ რა ურთიერთქმედება არსებობს მედიის მიერ ასახულსა და საზოგადოებაში გავრცელებულ ნორმატიულ წარმოდგენებს/შეხედულებებს შორის (Altheide, 2013).

ცნობილია, რომ მედიას შეუძლია ჩვენი დამოკიდებუბის შეცვლა რაიმე საკითხის მიმართ, მაგალითად, მეტი ან ნაკლები სიხშირით საკითხის გაშუქებით, გაშუქების კუთხის, ე.წ. ფრეიმის და ტონის შერჩევით (Hester and Gibson, 2003). შესაბამისად, უფრო ნეგატიური ტონით და გამამტყუნებელ კონტექსტში ამა თუ იმ ფენომენის გაშუქება ამცირებს მის მხარდაჭერას, ხოლო პოზიტიური გაშუქება საპირისპირო ეფექტს იწვევს.

იმ ტიპის გაშუქებაში, სადაც ქალები, როგორც ჯგუფი, ასოცირდება ნეგატიურ სტერეოტიპებთან და საფრთხესთან და აბორტზე პასუხისმგებლობა ქალებს, როგორც ჯგუფს ეკისრება, შესაძლოა უფრო

შეამციროს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა ქალზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერისადმი (Gilliam & Luengar, 2000).

ამერიკის შეერთებული შტატების მედიასაშუალებების კვლევამ აჩვენა, რომ აბორტის თემა უპირატესად ახალი ამბების ფორმატში შუქდება, მაგრამ სიღრმისეულად არ ხდება მისი განხილვა. აბორტი უფრო განიხილება, როგორც პოლიტიკური საკითხი, ვიდრე ჯანრთელობის საკითხი. ამ კვლევის მიხედვით, აბორტის უსაფრთხოების და ზოგადად აბორტზე ფაქტების შესახებ ინფორმაცია მედიაში არ მოიძიება, რაც ნიშნავს, რომ ახალი ამბები არ წარმოაჩენს აბორტს, როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის აუცილებელ მომსახურებას(Woodruff, 2019) .

ამერიკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, აბორტის საკითხი, შესაძლოა, ისეთი საკითხების გვერდით განიხილონ, როგორიცაა ჯანდაცვის სისტემის რეფორმა, კლიმატური ცვლილება და განათლება, იმ მხრივ, რომ საკითხი პარტიზანული ელექტორალური სტრატეგიის ნაწილი იყოს და არა როგორც თავისთავადი პოლიტიკის საკითხი (Cappella & Jamieson, 1997). შესაბამისად, ასეთმა ფოკუსმა სტრატეგიაზე და არა თავად საგანზე, შესაძლებელია დააზიანოს მოქალაქეების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი სხვადასხვა პოლიტიკის საკითხებზე და გამოიწვიოს ხმის მიმცემთა აპათია (Cappella & Jamieson, 1997; Patterson, 2005).

უგანდაში ჩატარებულ მედიაკვლევის მიხედვით, აბორტის გაშუქებაში ჭარბობდა რელიგიური დისკურსი და კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენა. მთლიან მედიადისკურსში, პოლიტიკური სტეიკჰოლდერების განცხადებების სიმცირე დაფიქსირდა (Larsson et al, 2015).

ამერიკაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, მაშინაც კი, როცა აბორტის საკითხი სიღრმისეულად შუქდება, პოლიტიკა დომინირებს, კვლევის მიხედვით საპრეზიდენტო არჩევნების წინ აბორტის გაშუქება მატულობს (Perse et al., 1997).

კვლევის მიხედვით, რაც უფრო სიღრმისეულია აბორტის გაშუქება, მით უფრო მეტად მასტიგმატიზებელი ენის შემცველია ის (Nixon et al, 2016).

კვლევა ადასტურებს, რომ ჟურნალისტებმა უნდა გადმოსცენ პერსონალური ისტორიები,m რომ გაადამიანურონ საკითხი, რომელსაც ისინი ეხებიან, აბორტის ჩათვლით (Sisson, Herold, & Woodruff, 2017).

კვლევები ადასტურებს, რომ კათოლიკურ ეკლესიას დიდი გავლენა აქვს ქალების აბორტზე ხელმისაწვდომობაზე იმგვარად, რომ ქვეყნებში, სადაც დიდია კათოლიკური მოსახლეობა, უფრო მკაცრია აბორტის კანონები (Miller, 2014).

სხვადასხვა დისციპლინებში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტები მრავალგვარი და ცვალებადია (Trumpy, 2014,  Savell, 2008).

საზოგადოებრივმა დისკურსმა აბორტის შესახებ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სახელწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე აბორტის მიმართ (Coleman, Thorson, & Wilkins, 2011; Gamson).

აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დისკურსის გასააზრებლად აუცილებელია მედია კონსტრუქტების ანალიზი, ასევე იმ მექანიზმების გაგება, რომელთა მეშვეობით მედია რაიმე ფენომენის ნორმალიზებას ან სტიგმატიზებას ახდენს.

მედია აბორტს მეტწილად როგორც სტიგმას წარმოაჩენს. აბორტის სტიგმა უნივერსალურ სოციალურ ფაქტად არის წარმოდგენილი და არა როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი (Kumar, Hessini, & Mitchell, 2009).

მასტიგმატიზირებელია კომუნიკაცია, რომელიც აპელირებს სტერეოტიპულ კოგნიტურ სქემებზე, ნეგატიურ ნორმებსა და დისკრიმინაციულ განზრახვებზე, ხალხის გარკვეული ჯგუფების მიმართ ან ჯგუფის წევრი ინდივიდების მიმართ (Gerbner, 1956).

რომ გავიგოთ, როგორ იცვლება აბორტის სტიგმა დროში, მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ის ფრეიმები, ლექსიკა და დისკურსის სხვა ელემენტები რომლებსაც ქალები, რელიგიური ჯგუფები, სამედიცინო საზოგადოება, ანტი-რეპროდუქციული უფლებების აქტივისტები,

იურისტები და მედია იყენებენ ამ თემებთან მიმართებაში (Hipsher 2007; Marx & Ferree, 2003; Rohlinger, 2002; Rohlinger & Meyer 2005; Rohlinger 2015). ვინაიდან რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ტექნოლოგიების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება მედიის საშუალებით ხდება (Ginsberg & Rapp, 1995), მნიშვნელოვანია გავიაზროთ, როგორ წარმოაჩენს მედია აბორტს, სელექციურ აბორტს და, ზოგადად, ქალის რეპროდუქციულ არჩევანს.

უფრო ხშირად, აბორტი, როგორც რეპროდუქტიული არჩევანი, უარყოფითად არის წარმოჩენილი (Brown & Ferree, 2005).

სენსაციურობასთან, ამორალობასთან დაკავშირებული ასოციაციები ახასიათებს აბორტს და ადამიანებს, როგორც განსხვავებულებს და იწვევს მათ მარგინალიზებას (Link & Phelan, 2001).

აბორტთან დაკავშირებით სტიგმა კონცეპტუალიზდება, როგორც ნეგატიური მახასიათებელი, რომელიც მიეწებება ქალს, რომელიც ეძებს ამ გზას და ახასიათებს მას, როგორც ქალობის იდეალის მოწინააღმდეგეს. ეს იდეალები კონტექსტ-სპეციფიკურია და უმეტესწილად დაკავშირებულია მუდმივ ნაყოფიერებასთან და დედობის გარდაუვალობასთან (Kumar, Hessini, & Mitchell, 2009).

აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში ქალი წარმოდგენილია, როგორც ძალიან მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც დაცვას საჭიროებს (Miller, 1996).

ლიტერატურა იცნობს ქალის **უსაფრთხოების ფრეიმს,** კერძოდ, აბორტის რისკთან დაკავშირებულ კონსტრუქტს (Oaks, 2003). ქალებს იძულებითი აბორტი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წინაშე აყენებს. ეს რისკებია: ძუძუს კიბო, უნაყოფობა და აბორტის შემდგომი დეპრესია (Cannold, 2002).

„უსაფრთხოების“ ფრეიმი აბორტისა და სელექციური აბორტის გაკიცხვისა და გამტყუნების გენდერულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ეს ფრეიმი  ფოკუსირებულია აბორტზე, როგორც საფრთხეზე ქალის

ჯანმრთელობისთვის (Kelly, 2014; Rose, 2011; Saurette & Gordon, 2013; Trumpy, 2014).

როუზი (Rose, 2011) დეტალურად ხსნის თუ როგორ მოხდა ამერიკული აბორტის საწინააღმდეგო მოძრაობის ფრეიმის გაფართოება: რადგან მოძრაობამ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად, აქტივისტთა ის ჯგუფი, რომლებიც თავის თავს ქალის და სიცოცხლის მომხრეებს უწოდებენ, იბრძვიან, რომ ამერიკული აბორტის დებატები დახვეწონ და შეცვალონ იმგვარად, რომ დღის წესრიგში დადგეს, რა უფრო მეტად წარმოადგენს ქალის ინტერესებს, მის ჯანმრთელობას და უფლებებს - სიცოცხლის მომხრეობა თუ არჩევანის მომხრეობა (Trumpy, 2014). მსოფლიოში აქტუალური ტრენდის - აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტაციის სეკულარიზაციის კვალდაკვალ, წინ წამოიწია ნაყოფის, როგორც დაუბადებელი ბავშვის კონსტრუქტმა (Savell, 2008).

ამერიკული ფილმების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ აბორტის თემა ხშირია და აბორტთან დაკავშირებული სიკვდილობის შესახებ არარეალისტური ინფორმაციის შემცველი, რაც აძლიერებს მორალურ და სოციალურ მითს, რომლის მიხედვითაც აბორტი და სიკვდილი ერთმანეთთან არის ასოცირებული (Sisson & Kimport, 2014).

დომინანტურია **მორალური და სამართლებლივი ფრეიმებიც,** როდესაც მედია, განსაკუთრებით ამერიკული მედია აბორტს, როგორც მორალურ-რელიგიურ და სამართლებრივ საკითხს წარმოაჩენს (Miller, 1996). თუ ადრე მედიის ფოკუსი აბორტზე, როგორც ქალის რეპროდუქციულ უფლებაზე და არალეგალურ აბორტებთან დაკავშირებულ რისკებზე იყო, მოგვიანებით მედიამ ყურადღება ნაყოფზე და ნაყოფის განადგურებაზე გადაიტანა. ევროპულ კონტექსტში განხილული იქნა კავშირები აბორტის სტიგმატიზაციას, ქალთა რეპროდუქციულ გადაწყვეტილებებსა და ნაციონალისტურ დისკურსს შორის (Kirkham, 2013), რასაც აბორტის **ნაციონალისტურ-დემოგრაფიული ფრეიმი** შეიძლება ვუწოდოთ. აბორტი ხშირად განიხილება დემოგრაფიული კრიზისის

კონტექსტში. ასეთი დისკურსი დამახასიათებელია ცენტრალური და დასავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის, მაგალითად რუსეთისთვის (Rivkin-Fish, 2003), უკრაინისთვის (Zhurzhenko, 2012) და პოლონეთისთვის (Mishtal, 2012). დემოგრაფიული კრიზისი ძლიერ რეზონანსს იწვევს რეგიონში და აბორტის, დედობისა და გამრავლების გარშემო არსებული დებატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

აბორტის გაშუქებაში მნიშვნელოვანია **პასუხისმგებლობის ფრეიმი.** აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში, განსაკუთრებით ქალების დისკურსში, ხშირია ლექსიკური ფორმები (როგორებიცაა „გადამიცდა", „მომწყდა" ქართულ ენაში - ავტორი), რომლებშიც ორსულობაზე პასუხისმგებლობა არ იკვეთება (Renne, 1996; Schuster, 2005; Sobo, 1996; Whittaker, 2002). ამის საპირისპიროდ, სამედიცინო დისკურსი აბორტს პასუხისმგებლობის ჭრილში განიხილავს (Erviti et al., 2004; Rance, 2005). ხშირად პასუხისმგებლობა სამედიცინო მუშაკებს ეკისრება, რომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი გამოთქმები გაისმის (Mitchell et al., 2004). ამ ტიპის დისკურსში სამედიცინო მუშაკებს, ვინც აბორტს აკეთებენ, მკვლელებს უწოდებენ (Mitchell et al., 2004). ეს მაღალი მასტიგმატიზებელი კატეგორიებია, რაც გამორიცხავს ორსულობის შეწყვეტას, როგორც ლეგიტიმური რეპროდუქციული ჯანმრთელობის ნაწილს და მას დანაშაულს უწოდებს. ეს დესტრუქციული ფრეიმი ზღვარს ავლებს სხვა სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებსა და მათ შორის, ვინც ამ კონკრეტულ საქმიანობას ეწევა.

არსებობს საპირისპირო გამოცდილებაც: მაგალითად, სერვისის მიმწოდებლები აბორტს ქალის გადამრჩენად წარმოაჩენენ, რათა შეამცირონ სტიგმა და მარგინალიზაცია (Rance, 1997). აბორტის ამგვარი წარმოჩენა საშუალებას აძლევს მედ-პერსონალს მათი სამუშაო პოზიტიურ, სასარგებლო ჭრილში წარმოაჩინოს (Pheterson & Azize, 2005).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში აბორტის საწინააღმდეგო მოძრაობის გააქტიურებასთან ერთად, პოპულარული გახდა ნაყოფის ადამიანად წარმოჩენის დისკურსი (Franklin, 1991; Petchesky, 1997;

Zechmeister, 2001). ნაყოფთან დაკავშირებული იქნა გრძნობები, სურვილები და ადამიანის სხვა ავტონომიურობის მახასიათებლები (გარდა ბიოლოგიური ავტონომიისა) (Gammeltoft 2007; Mitchell, 2001). ისეთი შედარებების გამოყენება, როგორებიცაა „სიწმინდე“, „უმანკოება“, „უდანაშაულობა“, „მოწყვლადობა“ განვითარების პერიოდში მყოფ ნაყოფს ახალშობილთან აიგივებს. ამასთან, მედიის, კულტურისა და ხელოვნების გამოყენებით აბორტის თემა პოპულარული დისკურსის ნაწილი გახდა (Bashour, Hafez, and Abdulsalam, 2005; Mitchell, 2001). შესაბამისად, რეალურის, წარმოდგენილის, სრულად ანტროპომორფული არსების დესტრუქცია უფრო ადვილად წარმოჩნდა, როგორც ძალადობრივი, ბოროტი და გაუმართლებელი მოქმედება. ულტრასონოსკოპიის და ტრანსვაგინალური ვიდეოების გავრცელებამ ხელი შეუწყო, რომ ნაყოფის უფლება საზოგადოების თვალში ქალის სხეულის კონტროლის უფლების საპირწონე გამხდარიყო (Franklin, 1991; Petchesky, 1997; Zechneister, 2001). მკვლევრებმა (Sisson & Kimport, 2014) დაადგინეს, თუ როგორ მოქმედებს აბორტის შესახებ ინფორმაციის აღწერა ტელევიზიით აბორტის მიმართ ბარიერების შემცირებაზე. ანუ, როცა ბარიერები დადგენილია, მათი აღწერა გავლენას ახდენს ადამიანზე, რომელსაც უჩნდება შეგრძნება, რომ ბარიერის გადალახვა შესაძლებელია.

დიდ ბრიტანეთში სელექციურ აბორტებთან დაკავშირებული უკანასკნელი დებატების ანალიზის მიხედვით, ლიმ დაასკვნა, რომ აბორტის პრობლემა ახლებურად იყო წამოყენებული დებატებში - უმეტესწილად გენდერციდთან დაკავშირებული ნაკლებად არგუმენტირებული განცხადებებით (Lee, 2017).

ამგვარად, აბორტის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მედია მეტწილად აბორტს სტიგმად ასახავს, გამორიცხავს ორსულობის შეწყვეტას, როგორც ლეგიტიმურ რეპროდუქციულ არჩევანს და მას დანაშაულად სახავს.

იმ შემთხვევებშიც, როდესაც მედია დადებით ფრეიმებს წამოსწევს, მაგალითად **ქალის უფლების** და აბორტის, როგორც ჯანმრთელობისთვის

აუცილებელი პროცედურის (სამედიცინო) ფრეიმს, მათი გადაფარვა უარყოფითი ასოციაციებით ხდება, რომლებიც თან ახლავს პრონატალისტურ დისკურსს.

მცირე არგუმენტები ფემინისტებისა და ფსიქოლოგიური თვალთახედვით სწორედ ბიოპოლიტიკის დონეზე ფოკუსირდება, და უშვებს ინტერვენციებს სელექციური აბორტის აკრძალვისათვის. სელექციური აბორტების კრიმინალიზაციის ფუნქცია შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა ნორმატიული პერსპექტივებიდან.

მკვლევრები ეკლუნდი და პურვალი სელექციურ აბორტებზე მსჯელობისას ავითარებენ აზრს, რომ სელექციური აბორტის კრიმინალიზაცია სხვადასხვა პარალელური ფუნქციების მხარდამჭერად შეიძლება განვიხილოთ.

სელექციურ აბორტებზე მსჯელობის დროს ეკლუნდი და პურვალი შემდეგ მიმართულებებს ასხვავებენ:

ა)„უსაფრთხოების კრიმინალიზაცია“, რომელიც ცდილობს ისეთი მოქმედებების პრევენცია მოახდინოს, რომლებიც ზიანს მიაყენებს გოგონა ნაყოფს ან გოგონას. ასეთი მიდგომა აერთიანებს ზოგიერთ ფემინისტს და აბორტის მოწინააღმდგე აქტივისტებს. ანუ სელექციური აბორტის აკრძალვა შესაძლებელია, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ გოგონა ნაყოფზე ძალადობა. ეს არის ქალის უსაფრთხოების კრიმინალიზაცია, ანუ კრიმინალიზაცია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მდედრობითი ნაყოფის უსაფრთხოება. შესაბამისად, აბორტის მოწინააღმდეგე ადამიანი, ან ფემინისტი, რომელსაც ადარდებს გოგონა ნაყოფის უსფრთხოება, მხარს დაუჭერს ასეთ ინტერვენციას.

ბ)მეორე ტიპის აკრძალვა იქნება „განსხვავების“კრიმინალიზაცია, როცა აიკრძალება სელექციური აბორტი, როგორც ასეთი. ისინი, ვინც გაიკეთებენ სელექციურ აბორტს, განიხილებიან, როგორც ბოროტები, არანორმალურები, დევიანტები. ასეთი ტიპის აკრძალვა ხელს შეუწყობს სოციალური უთანასწორობის გაღვივებას. ანუ, ის ადამიანები, რომლებიც გაიკეთებენ სელექციურ აბორტს, ან მონაწილეობას მიიღებენ მის

განხორციელებაში, იქნებიან გარიყულები. მათი საქციელი მიუღებელი იქნება, რაც გამოიწვევს მათ სტიგმატიზაციას. ადამიანები, რომლებსაც ურჩევნიათ ბიჭები გოგონებს, იქნებიან სახელდებულნი, როგორც ნორმას აცდენილები, გადახრილები. ეს პერსპექტივა სექს-სელექციას აკონსტრუირებს, როგორც სოციალურ ბოროტებას, ასეთი კონსტრუქტი ახალი შრე არის აბორტის ბიო- პოლიტიზაციაში.

გ)და ბოლოს, „ავტორიტეტის კრიმინალიზაციის" ნორმატიული პერსპექტივიდან, სელექციური აბორტის კრიმინალიზაცია დაადასტურებს, გაამყარებს სახელმწიფოს პრეროგატივას.

თუ სელექციური აბორტი იქნება განხილული, როგორც სოციალური ბოროტება, ეს ბიო-პოლიტიზაციასაც გაართულებს, და თავად სელექციური აბორტის აბნორმალიზაციის გამო დისციპლინურ სოციალურ კონტროლს ჩართავს და ამით გააფართოვებს სახელმწიფო ბიო-ძალაუფლებას თავად ამ სახელმწიფო ავტორიტეტების მოქმედების სახით (Alexander, 2011).

მკვლევრების თანახმად, პოლიტიკა და ინტერვენცია უნდა ეხებოდეს თავად სოციალურ ფაქტორს და არა მექანიზმებს, რომლებიც ამ ფაქტორს ჯანმრთელობასთან აკავშირებენ (Hatzenbuehler, Phelan, & Link, 2013).

## 2.7 აბორტის გაშუქება მედიამფლობელობასთან, კომერციალიზაციასთან და სარედაქციო იდეოლოგიასთან კავშირში

მედია პასუხისმგებელია საზოგადოების წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე, ამიტომაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აიხსნას, თუ როგორ ყალიბდება დისკურსი მედიაში (Mayr & Machin, 2012). მედიასაშუალების მიერ შექმნილ კონტენტს განაპირობებს მედიასაშუალების გარე კონტექსტი და შიდა ორგანიზაციული პროცესები (Gans, 1979; Schoemaker & Reese, 1996). შოეფელე ასაბუთებს, რომ საინფორმაციო კონტენტს განაპირობებს მედიის მფლობელობის ფორმა (მომგებიანი, არამომგებიანი, საზოგადოებრივი მედია), ასევე მედიის

იდეოლოგია (კონსერვატიული, ცენტრისტული, ლიბერალური (Scheufele, 1999).

ცნობილია, რომ მედიასაშუალება ზოგიერთ საკითხს მეტ ყურადღებას აქცევს და ზოგიერთს - ნაკლებს. ყველა მოვლენა მედიის მიერ ახალ ამბად ან ისტორიად არ იქცევა. მკვლევრების მიერ შესწავლილია ასევე, თუ რას აკეთებს მედიასაშუალება იმისათვის, რომ ესა თუ ის საკითხი ახალი ამბების ნაწილად აქციოს, როგორ ფრეიმებს იგონებს, რომელ წყაროებს იყენებს ამბის მოსაყოლად. ამ გადაწყვეტილებების ნაწილობრივ მედიასაშუალების მფლობელობის ტიპი და სარედაქციო იდეოლოგია განაპირობებს.

**2.8 კომერციალიზაცია**

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ახალი ამბები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ისეთი საკითხებით, რომლებიც პოპულარულია, ადვილად აღსაქმელი, კომერციულად მომგებიანი, არ შეიცავს რაიმეს კრიტიკას და არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას გასაშუქებლად (Chermak,1995; Robinson, 2011). მკვლევრების აზრით, მედია თემების შერჩევისას მათ კომერციული მოგების კუთხით განიხილავს, ანუ განსაზღვრავს, რა მოცულობის აუდიტორიას მოიზიდავს ესა თუ ის თემა, და რამდენად შესაძლებელია აუდიტორიის მონეტიზაცია და კომერციალიზაცია.

იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს ახალი, ის საინტერესო და გასართობიც უნდა იყოს (Ellner, 2008; Lawrence & Mueller, 2003; Leavy & Maloney, 2009). აუდიტორია ტიპურად ისეთი ამბებით ინტერესდება, რომლებიც გრაფიკულია და ძალადობრივი თავისი შინაარსით, ამიტომაც მედიაც ტიპურად ყველაზე ექსტრემალურ შემთხვევებზე ფოკუსდება, რომ მიიზიდოს აუდიტორიის ყურადღება (Chermak, 1995; Gans, 1979). ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მედია სარედაქციო გადაწყვეტილებებს იღებს, რაც იმას ნიშნავს, თუ რას შემოგვთავაზებს მედია დამოკიდებული

იქნება იმაზე, თუ რისი მოსმენა სურს მის მაყურებელს, რა მიზანი აქვს ორგანიზაციას და რა სტილი აქვს ჟურნალისტს.

ფეარკლაფისთვის  მასმედია ინსტიტუციები კომპლექსური სტრუქტურებია, რომლებიც მრავალსახოვან დისკურსებს წარმოადგენს მრავალფეროვან სიტუაციებში (Fairclough, 2003). ფეარკლაფი ფიქრობს, რომ ტექსტს შეუძლია ჩვენი ცოდნის, წარმოდგენების და დამოკიდებულებების შეცვლა.

ცნობილია, რომ მედიასაშუალებები მედიამოხმარების მონეტიზაციას ახდენს (მაგალითად, რეკლამის გაყიდვით), რაც მათი შემოსავლის უმთავრესი წყაროა.  მომხმარებლის რაოდენობის გასაზრდელად კონტენტის აგების ამ სტრატეგიას ასახავს ფრაზა „If it bleeds, it leads" („სისხლი ყურადღებას იქცევს"( Pruitt & Mullen, 2005).

## 2.9 ფრეიმინგი, ფრეიმის ჩამოყალიბების თეორია

ფრეიმინგის მეშვეობით, მედია რეალობის, მოვლენის გარკვეულ ასპექტს ირჩევს და მეტად წარმოაჩენს (Entman, 1993), რათა რთული, კომპლექსური სოციალური საკითხი გასაგები გახადოს აუდიტორიისთვის (Gans, 1979; Scheufele & Tewksbury, 2006). როგორც ენტმანი ამბობს, რეალობის გარკვეული ელემენტების მეტად ან ნაკლებად წარმოჩენით მედია პრობლემის დეფინიციას, მისი მიზეზების ინტერპრეტაციას, მორალურ შეფასებასა და გამოსავლის ძიებას უწყობს ხელს (Entman, 1993). შესაბამისად, მედია ფრეიმი ამბის ცენტრალური იდეაა, ჭრილია, რომელიც ხსნის, განსაზღვრავს, კარნახობს, წარმოადგენს საკითხს (Tankard, 2001). რიზის (2007) განმარტებით, ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები და რა შინაასობრივი დატვირთვა ენიჭება მათ (Reese, 2007). ფრეიმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სქემა ახალი ამბის წარდგენისა და აღქმის მართვის მიზნით. ისინი ინფორმაციის დამუშავების სტრატეგიებია. ფრეიმები, ეს არის ჟურნალისტების სამუშაო ინსტრუმენტები, რომლებიც მათ საშუალებას

აძლევს რომ მოხდეს ინფორმაციის სწრაფად იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია და გადამუშავება ეფექტური გადაცემის მიზნით (Fairurst & Saar, 1996).

სწორედ მედიის მიერ მითითებული ჩარჩოს მიხედვით იგებენ მოქალაქეები და საზოგადოების წევრები თუ რა ხდება მათ გარშემო (Goffman, 1974).

გიტლინი და თაჩმენი (1980) ამბობენ, რომ ჟურნალისტები გაუცნობიერებლად ქმნიან ფრეიმებს ამბების გადმოცემისა და ამ ამბების საზოგადოების მიერ განსახილველ მოვლენად გარდაქმნის დროს (Giltin &Tuchman, 1980).

ამა თუ იმ საკითხს ფრეიმები ანიჭებს კონკრეტულ შინაარსს, ხაზგასმის, ინტერპრეტაციისა თუ გამორიცხვის საშუალებით (Carragee & Roefs, 2004). ისინი აყალიბებს საზოგადოების მიერ გაზიარებულ და დროში გამოცდილ პრინციპებს, რომლებიც სიმბოლურად სამყაროს მრავალმნიშვნელოვან მოწყობას უწყობს ხელს.

### 2.10 ფრეიმის შემადგენლობა

ახალი ამბების ფრეიმები, შედგება და ხორციელდება ძირითადი სიტყვების, მეტაფორების, კონცეფციების, სიმბოლოებისა და ვიზუალური გამოსახულებების მეშვეობით, რომლებიც გამოკვეთილად წარმოჩენილია ახალი ამბების თხრობისას. ენთმანის გადმოსახედიდან, ტექსტს ძალუძს ინფორმაციის ცალკეული ნაწილის უფრო გამოკვეთა გამეორების ან კულტურული თვალსაზრისით ნაცნობ სიმბოლოებთან დაკავშირების გზით (Etman, 1993).

ფრეიმინგის პროცესში გვხვდება დამახასიათებელი ფრაზები, რომლებიც ლინგვისტური ინსტრუმენტების როლს ასრულებს და მაქსიმალური ექსპრესიულობით გამოხატავენ სათქმელს (Gamson & Modiliani, 1989).

მედიას შეუძლია ფრეიმის ფორმირება წყაროების შერჩევის და ინტერვიუდან ცალკეული გამონათქვამების ციტირების გზით (Scheufele & Tewksbury, 2006).

## 2.11 ფრეიმის ზეგავლენა

მასმედიის მკვლევრები დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ ჩარჩოში აქცევს ჟურნალისტიკა სათქმელს, რადგან ის გავლენას ახდენს საზოგადოების მიერ საკითხის გაგებაზე და შედეგად, პოლიტიკის ფორმირებაზე. მაგალითად, ის, თუ როგორ წარმოადგენს მედია დებატებს ჯანდაცვის საკითხებზე, როგორებიცაა აბორტი და რეპროდუქცია, ხშირად გადამწყვეტია საზოგადოების მიერ ამ საკითხების აღქმისათვის.

მედია ზემოქმედებს ჩვენს აზრებზე და გარკვეულ მოსაზრებებს თუ პოზიციებს წინ წამოსწევს (Zaller, 1992). ფრეიმინგის შედეგად, იქმნება საკითხის კონკრეტული კონცეპტუალიზაცია, და შედეგად ადამიანები ცვლიან საკუთარ მოსაზრებებს საკითხის მიმართ (Chong & Druckman, 2007). ზოგადად, ინდივიდები, კოგნიტური შეზღუდვების გამო, სხვადასხვა კონცეპტებს თემატურად აჯგუფებენ, და მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის აზრებისა და კონცეპტების შენარჩუნება შეუძლიათ (Chong & Druckman, 2007). კვლევები ადასტურებს, რომ გარკვეულ გარემოებებში ფრეიმინგი ცვლის ბაზისურ პოლიტიკურ განწყობებს და აყალიბებს ახალ პოლიტიკურ ბალანსს (Abrajano et al, 2017).

რადგან ფრეიმები გარკვეულწილად რეალობას ქმნის და აუდიტორიის ამ რეალობაზე რეაგირების სტიმულირებას ახდენს, ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ  ძალაუფლებისთვის ბრძოლაში. შესაბამისად, ფრეიმები პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი ნაწილია (Entman, 1993).

ფრეიმინგის ჩამოყალიბების პროცესი ანუ ინდივიდუალური ამბებისა და დამოკიდებულებების საზოგადოებრივ აზრად გადაქცევა

უმეტესწილად უხილავია (Kramer, 2007), და იმ სოციალური კონტექსტით იმართება, რა კონტექსტშიც ხდება ამბის წაკითხვა (Kitzinger, 1990).

### 2.12 ჟურნალისტებისა და რედაქტორების როლი ფრეიმის ჩამოყალიბებაში

გერბნერის (Gerbner, 1956) თანახმად, მესიჯი რაიმე ობიექტის ან მოვლენის შესახებ, ვერ იქნება აბსოლუტურად ისეთივე, როგორიცაა ეს ობიექტი ან მოვლენა. მესიჯი ყოველთვის გულისხმობს განსახიერებული ობიექტის გარკვეული თვისებებისა და მახასიათებლების არჩევას. ეს არჩევანი კი დამოკიდებულია მაუწყებლის, ჟურნალისტის, პროდიუსერის დადგენილებებსა და მსოფლმხედველობაზე. მედიაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ აკეთებს არჩევანს და ვისი მსოფლმხედველობა გადაიცემა მესიჯით (Jakubowicz, 2006).

ბესტის მიხედვით, ინიციატივა ეს არის ძალისხმევა, სხვები დაარწმუნო, მხარი დაუჭირონ წინადადებას, რომ რაღაც აუცილებლად შესაცვლელია არსებულ სოციალურ ნორმაში და შესაბამისად, ინიციატივის გამომჩენი პასუხობს ან მოქმედებს, რომ შეიცვალოს კონტექსტი და გამოცდილება(Best, 2008).

მედია მკვლევრები (Jensen, 2008) ყურადღებას ამახვილებენ ჟურნალისტებისა და რედაქტორების როლზე მედიაფრეიმების ჩამოყალიბებაში. მათი თქმით, განვითარებულ ქვეყნებში ტელევიზია საქმიანი და ინდუსტრიული ინფორმაციის გადმოცემისას უმეტესწილად საშუალო კლასის მოსაზრებებსა და ფრეიმებს წარმოაჩენს. ეს ყოველთვის განზრახ არ ხდება, მაგრამ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ტელევიზიას, როგორც წესი, სოციალური ინტერესების, კულტურის, განათლების დონის თვალსაზრისით ახლოს არიან საშუალო კლასთან და ძირითადად მენეჯერულ ფენასთან, ვიდრე ხელოსნებთან და გლეხებთან. შესაბამისად, მათი მესიჯიც საშუალო ფენის ხალხის არჩევანის ტიპისაა.

ცნობილია, რომ აბორტის მიმართ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის ნეგატიურია, თუ არ ჩავთვლით გაუპატიურების, ნაყოფის ანომალიების ან ქალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხით განპირობებულ აბორტის შემთხვევებს (Alvarez & Brehm, 1995; Cook et al, 1992; Craig et al, 2002; Strickler & Danigelis, 2002). კვლევები აჩვენებს აბორტის მხარადაჭერას „რთულ სიტუაციებში" აბორტის გაკეთების, ანუ მატრავმირებელ სიტუაციებში (Tedrow & Mahoney, 1979, cited in Jelen, 1984) და სუსტ ან ამბივალენტურ მხარდაჭერას „ჩვეულებრივ" შემთხვევებში (Bernas & Stein, 2001; Hall & Feree, 1986; Jelen, 1984; Scott, 1989).

აბორტთან დაკავშირებული პრეფერენციები დაფუძნებულია, მრავლობით, შესაძლოა, კონფლიქტურ ბაზისურ ღირებულებებზე. კონფლიქტური ბაზისური რწმენები განაპირობებენ აბორტის პოლიტიკის მიმართ ამბივალენტურ არჩევანს. პოლიტიკის არჩევანი აბორტის გარშემო ჰეტერეგენულია და ეფუძნება ადამიანში არსებულ კონფლიქტურ რწმენებს ქალის როლსა და ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით. ანუ როცა ბაზისური ღირებულებებში არის კონფლიქტი, რესპონდენტები უფრო ამბივალენტურები არიან პოლიტიკასთან დაკავშირებული არჩევანის მიმართ (Alwarez, Brehm, 1995).

აბორტი იმ მცირე საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის მიმართაც ადამიანებს აქვთ ძალიან ძლიერი რწმენა (Alvarez & Franklin, 1994).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სქესისა და აბორტის მიმართ დამოკიდებულების კავშირი დადასტურებული არ არის, და ცვალებად შედეგებს იძლევა. ამ კვლევების უმეტესობაში სქესი არ არის ერთადერთი დამოუკიდებელი ცვლადი (Basow and Esposito, 1995; Finlay, 1981; Walzer, 1994; Wang 2003), რაც შეიძლება განაპირობებდეს წინააღმდეგობრივ შედეგებს (Johns & Patel, 2009; Wang, 2003).

განათლებასა და აბორტის დამოკიდებულებას შორის პოზიტიური ასოციაციები ნაპოვნი იყო პატელისა და ჯონის (Patel & Johns, 2009) კვლევებში.

ერთ-ერთი კვლევის შედეგებს, რომელიც ნიგერიაში ქალთა აბორტის მიმართ სტიგმას იკვლევდა, აღმოჩნდა, რომ ქალები, რომლებსაც ჰქონდათ უმაღლესი განათლება, მათთან შედარებით, ვისაც ჰქონდა საშუალო განათლება უფრო მეტად გამოხატავდნენ აბორტის მიმართ სტიგმას (Oginni, Ahmadu, Okwesa, Adejo & Shekarau, 2018).

## 2.13 მედიატექსტი კრიტიკული თეორიის ჭრილში

ზოგადად, კრიტიკული დისკურს-ანალიზი დაკავშირებულია იერარქიასა და ძალაუფლებასთან და ცდილობს გამოიძიოს იდეოლოგიისა და ძალაუფლების ურთიერთდამოკიდებულება. კრიტიკულ დისკურს-ანალიზს აქვს ძალიან ნათელი სოციო-პოლიტიკური მიზანი - გამოავლინოს დისკურსის როლი სოციალურ-პოლიტიკურ დომინირებაში (Bell & Garrett, 1998).

ფეარკლაფისთვის მედია ინსტიტუციები კომპლექსური სტრუქტურებია, რომლებიც მრავალსახოვან დისკურსებს წარმოადგენს მრავალფეროვან სიტუაციებში. ტექსტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მტკიცებულება იმ ბაზისური პრივილეგიებისა, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საზოგადოება და როგორ ოპერირებს ის. თუ ტექსტი არის ნებისმიერი მასალა წერილობით გადმოცემული, რომლის წაკითხვაც

შესაძლებელია, დისკურსი,- ეს არის ენის და ტექსტის გამოყენება გარკვეულ სოციალურ კონტექსტში (Fairclough, 2003).

ფეარკლაფის კრიტიკული დისკურსის მოდელი სამ ნაწილიანია და მიკრო, მეზო და მაკრო ინტერპრეტაციებისგან შედგება. მიკროში იგულისხმება ტექსტი, მეზოში - დისკურსი და მაკროში - დისკურსის სოციო-კულტურული გამოყენება. თუ ტექსტურ ანალიზში პირველ ადგილზეა ტექსტის სტრუქტურა, ლექსიკონი და გამოხატვის ფორმები, დისკურსის ანალიზი ყურადღებას ტექსტის შექმნაზე, მის დისტრიბუციაზე და მოხმარებაზე ამახვილებს. ფეარკლაფი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დისტრიბუციას (Fairclough, 2003).

ვან დაიკი დარწმუნებულია (Djik, 1999), რომ მკითხველების მენტალურ მოდელებზე - რომლებიც მოვლენებისა და სიტუაციების სუბიექტურ ინტერპრეტაციას, მოვლენების კონსტრუირებას და ზოგადად სოციალურ წარმოდგენებს განაპირობებს - მოქმედებს არამარტო საერთო თემები, რომლებიც გადმოცემულია ტექსტებში, არამედ ფორმულირებებიც.

საინფორმაციო ტექსტის დისკურსიული ანალიზის პროცესში, ვან დაიკის (Djik, 1999) აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას ციტატები საჭიროებს. ციტატები და წყაროები, რომლებსაც ჟურნალისტები ირჩევენ, მკითხველს და მაყურებელს აჩვენებს, სტატიის ავტორის აზრით, ვისი პოზიციაა მნიშვნელოვანი და ციტირების ღირსი. ავტორი ამბებში ეთნიკური კონფლიქტების შესახებ ციტატების ანალიზისას აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ციტატები უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე „თეთრი“ ადამიანების. უფრო მეტიც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ორ შემთხვევაში ციტირებენ: როცა მათი აზრი ემთხვევა „თეთრი ელიტის“ აზრს და საქმე ისეთ ტერმინებს ეხება, როგორებიცაა კულტურა, ემიგრაცია, ეთნიკური პოლიტიკა. ეს ნიშნავს იმას, რომ „თეთრი ელიტის“ პოზიცია უფრო მნიშვნელოვანია, იწვევს ნდობას და მედიასთან წვდომა აქვს.

# თავი 3. მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანია აბორტის და მათ შორის სელექციური აბორტის ფრეიმინგისა და გაშუქების ანალიზი ქართულ საინფორმაციო მედიაში. კვლევა ადგენს, როგორ ასახავს მედია აბორტის, და მათ შორის, სელექციური აბორტის თემას; რა ტიპის ფრეიმები არსებობს აბორტთან მიმართებით; რამდენად განსხვავდება სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი მედია ორგანიზაციების მიერ აბორტის თემის გაშუქება და რომელ საზოგადოებრივ ჯგუფებს (სამთავრობო, არასამთავრობო, ეკლესიის, სამეცნიერო, ჟურნალისტური, მოსახლეობა) უკავშირდება აბორტის ესა თუ ის ფრეიმი. შესაბამისად, ხდება ფრეიმების წყაროების იდენტიფიცირება, რომ დადგინდეს ფრეიმების წარმოშობის მექანიზმი.

კვლევის მიზანია, ასევე ფრეიმების თვისებრივი ანალიზი, რათა მოხდეს იმ ღია, გამოხატული და დაფარული, ლატენტური მნიშვნელობების ანალიზი, რომლებიც უარყოფით, მასტიგმატიზებელ დისკურსს ქმნის აბორტთან და სელექციურ აბორტთან მიმართებაში.

ვინაიდან ფრეიმების ჩამოყალიბებაში, წყაროებთან ერთად, ჟურნალისტებიც მონაწილეობენ და საკუთარ წარმოდგენებსა და ღირებულებებზე დაყრდნობით ირჩევენ გაშუქების კუთხეს, კვლევა შეისწავლის ჟურნალისტების შეხედულებებს აბორტსა და გენდერთან მიმართებაში.

კვლევა შერეული ტიპისაა და შედგება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კომპონენტებისგან:

კომპონენტი 1- რაოდენობრივი კონტენტანალიზი, სწავლობს მედიის მეირ აბორტის და სელექციური აბორტის თემის გაშუქებას, წყაროებს, ასევე სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების (კონსერვატიული, ლიბერალური, ცენტრისტული) მედიაკონტენტს (ფრეიმინგული ანალიზი) აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებით;

კომპონენტი 2 - თვისებრივი კონტენტანალიზი მედია კონტენტში არსებული ფრეიმების თვისებრივ ანალიზს ახდენს;

კომპონენტი 3 - რაოდენობრივი გამოკითხვა შეისწავლის, თუ როგორია საინფორმაციო კონტენტის შემქმნელი ჟურნალისტების და მათი რედაქტორების  გენდერ-სენსიტიურობა და დამოკიდებულება აბორტთან, მათ შორის,  სელექციურ აბორტთან.

## 3.1 რაოდენობრივი კონტენტანალიზის მეთოდოლოგია (კომპონენტი 1)

კომპონენტი 1 რაოდენობრივ კვლევას წარმოადგენს. კვლევა მოიცავს ლიბერალური, ცენტრისტული და კონსერვატიული მედია ორგანიზაციების საინფორმაციო კონტენტის ანალიზს აბორტის, მათ შორის სელექციური აბორტის გაშუქების ჭრილის (ფრეიმის) იდენტიფიცირების მიზნით. კონტენტანალიზი ადგენს ა) აშუქებს თუ არა მედია აბორტს, მათ შორის სელექციურ აბორტს და რა სიხშირით; ბ) რა ფრეიმებს ეყრდნობა მედია აბორტის, მათ შორის სელექციური აბორტის გაშუქებისას; გ) არსებობს თუ არა განსხვავება აბორტის, მათ შორის სელექციური აბორტის ფრეიმების შერჩევის კუთხით სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების, კერძოდ ლიბერალურ, ცენტრისტულ და კონსერვატულ მედიასაშუალებებს შორის დ) რა ტიპის წყაროები მონაწილეობენ ფრეიმების ჩამოყალიბების პროცესში.

### 3.1.1 საკვლევი მედია

კვლევისათვის ამოვირჩიეთ ბეჭდვითი, სატელევიზიო და ონლაინ რესურსების საინფორმაციო კონტენტი. სულ შეირჩა 12 მედია საშუალება: “რუსთავი 2”, “საზოგადოებრივი მაუწყებელი”,  “ერთსულოვნება”, “ალია”, “კვირის პალიტრა”, “ლიბერალი”, “თბილისელები”, ნეტგაზეთი, “ინტერპრესნიუსი”, “ნიუპოსტი”,  “ინფო 9”.

ბეჭდვითი მედიუმებიდან გამოვყავით “რეზონანსი”, როგორც ლიბერალური იდეოლოგიისკენ გადახრილი გამოცემა, “კვირის პალიტრა”, როგორც ცენტრისტული მიმართულების და “ალია”, როგორც ნაციონალისტურ-კონსერვატიული მიმართულების გაზეთი.

ტელევიზიებიდან: “რუსთავი 2”, როგორც ლიბერალური იდეოლოგიის ტელევიზია, “საზოგადოებრივი მაუწყებელი”, როგორც ცენტრისტული და იდეოლოგიურად დაბალანსებული გამოშვება და “ერთსულოვნება”, როგორც კონსერვატიული ღირებულებების მატარებელი საეკლესიო ტელევიზია.

ონლაინ რესურსებიდან ნეტგაზეთი, როგორც ულტრა-ლიბერალური ღირებულების გამოცემა, “ლიბერალი”, როგორც ლიბერალურ-ცენტრისტული და “თბილისელები”, როგორც კონსერვატიული/ტრადიციული ღირებულებების მატარებელი გამოცემა.

სააგენტოებიდან შევარჩიეთ “ინტერპრესნიუსი”, როგორც ლიბერალური,  “ინფო 9”, როგორც ცენტრისტული და „“ნიუპოსტი”“, როგორც კონსერვატიული მიმართულების სააგენტო.

ვინაიდან იდეოლოგიური მიმართულებები ქართულ მედიაში ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების ეტაპზეა, ლიბერალურ, კონსერვატიულ და ცენტრისტულ მედია საშუალებებად დაყოფისას კატეგორიზება მცირედ განსხვავებული იდეოლოგიური პოზიციების მიხედვით, ანუ მეტად თუ ნაკლებად შესამჩნევი ლიბერალური, კონსერვატიული და ცენტრისტული პოზიციების საფუძველზე მოხდა. კატეგორიზების პროცესში მკლევარი დაეყრდნო, როგორც საკუთარ გამოცდილებას, ისე მედია მკვლევრებისა და ექსპერტების მოსაზრებებს, საბოლოოდ კატეგორიზება ექსპერტული კონსესუსის საფუძველზე განხორციელდა.

### 3.1.2 მონაცემების შეგროვება

საძიებო სიტყვის „აბორტი” გამოყებით განხორციელებულმა ძიებამ ონლაინ ბაზაში 2006-2016 წლის განმავლობაში სულ 1159 მასალა მოიძია, ანუ ჯამურად ყველა მედია საშუალებაში (40 მედიასაშუალება) 1159 მასალა შეიცავდა საძიებო სიტყვას - „აბორტი”. მოცემული მასალა გაიფილტრა კვლევისთვის შერჩეული მედიასაშუალებების მიხედვით („რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“,  „ერთსულოვნება“,  „ალია“, „რეზონანსი”, „კვირის პალიტრა“, „ლიბერალი“, „თბილისელები“, „ნეტგაზეთი“,

„ინტერპრესნიუსი“, „ნიუპოსტი“, „ინფო 9“), რის შემდეგაც სულ 322 მასალა დარჩა. სწორედ ეს 322 მასალა წარმოადგენს საკვლევ ნიმუშს.

საკვლევ პერიოდად შეირჩა 2006-დან 2016 წლამდე პერიოდი, ვინაიდან გრძელვადიან პერიოდში მეტი შესაძლებლობაა სიღრმისეული და ცვალებადი პატერნების დადგენის.

შერჩეულ მედიასაშუალებებში მკვლევრებმა ყველა მასალა წაიკითხეს, სადაც სიტყვა აბორტი ფიგურირებდა. მკვლევრებმა მასალაში ფრეიმები და თემატური კატეგორიები წინასწარ მომზადებული კოდირების ანკეტის მიხედვით გაარჩიეს. კოდირების ანკეტა სხვა მკვლევრებთან კონსულტაციების შედეგად და ლიტერატურაზე დაყრდნობით მომზადდა შესაბამისი თეორიული და კონცეპტუალური მოსაზრებების საფუძველზე. კოდირების ანკეტის დახვეწა იმგვარად მოხდა, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კვლევის მთავარი კითხვებისათვის პასუხის გაცემა: რა ფრეიმებს იყენებს ქართული მედია აბორტის/სელექციური აბორტის გაშუქებისას; რომელი წყაროების მეშვეობით ვრცელდება ეს ფრეიმები; როგორ შუქდება (აბორტის/სელექციური აბორტის) თემა სხვადასხვა - ლიბერალურ, ცენტრისტულ და კონსერვატიულ მედიებში.

### 3.1.3 კოდირება

ჩამოყალიბდა საკვლევი ინსტრუმენტი - კოდირების ანკეტა, რომლის საფუძველზე მოხდა იდენტიფიცირებული მედიასაშუალებების ანალიზი ორი მომზადებული კოდერის მიერ.

მასალის კოდირება წინასწარ შედგენილი ანკეტით (იხ. დანართი ბ) ორი სპეციალურად მომზადებული კოდერის მიერ მოხდა. კოდირების პროცესში მონაწილე ორმა პირმა დაადგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ანალიზის ერთეული წინასწარ დადგენილ შინაარსობრივ კატეგორიებს, კოდერების თანხვედრა სტატისტიკური ტესტით შემოწმდა (Intercoder reliability test).

ორმა კოდერმა საბოლოო შეთანხმებას რამდენიმე რაუნდიანი ტრენინგისა და მუშაობის შედეგად მიაღწია. კოდირებათშორისი

სანდოობის შემოწმების პროცედურისას თავდაპირველად კოდერებმა ანალიზს დაუქვემდებარეს 10 სტატია „ალია“დან, შეამოწმეს მუშაობის შედეგების თანხვედრა, შემდეგ 12 „“რეზონანსი”ს” სტატია, ამის შემდეგ გაანალიზეს 20 მასალა სააგენტოებიდან. ბოლოს გააანალიზეს 27 მასალა ყველა შერჩეული მედია საშუალებიდან. სტატისტიკური ტესტით შემოწმებამ მაღალი სანდოობა გამოავლინა. 39 ცვლადიდან 9 შემთხვევაში იყო 96 % თანხვედრა, 6 შემთხვევაში იყო 92 % თანხვედრა, ხოლო დანარჩენი ცვლადების შეფასებისას - 100% თანხვედრა.. ცვლადების უმეტესობის შემთხვევაში, დამთხვევის კოეფიციენტი აღემატებოდა .80 (Knipendorff's alpha) (იხ. დანართი დ).

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის პროგრამის, SPSS-ის მეშვეობით ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების შესაბამისად. ცვლადებს შორის არაშემთხვევითი კავშირის დასადასტურებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი სტატისტიკური ტესტები(chi square test, McNemar test, one way ANOVA).

### 3.1.4 ფრეიმების ჯგუფები

კვლევამ მოიძია: აბორტის გამამართლებელი (Pro-Choice[4]) ფრეიმები, ნეიტრალური, გამამტყუნებელი (Pro-life) და ამბივალენტური ანუ ორაზროვანი ფრეიმები. ფრეიმების ჩამონათვალი შედგა სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტიფიცირებული ფრეიმების საფუძველზე და შეივსო ქართულ კონტექსტთან დაკავშირებული ახალი ფრეიმებით, რომლებიც მედია-კონტენტის წინასწარი კვლევის საფუძველზე იქნა იდენტიფიცირებული.

**გამამართლებელი ფრეიმები (Pro-Choice)** - ტიპის ფრეიმი აბორტის თემატიკას განიხილავს ჭრილში, რომელიც ქალთა უფლებებს ან ემანსიპაციას უკავშირდება. მაგალითად, აბორტზე უფლება ქალების

---

[4] Pro-choice-აბორტთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე მხარეა, რომელიც თავს არჩევანის მომხრეს უწოდებს და ამართლებს აბორტის გადაწყვეტილებას.

კონსტიტუციური უფლებაა; აბორტი ქალის ემანსიპაციის/საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების ნაწილია; ქალებს და კაცებს ერთნაირად შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება ოჯახურ საკითხებზე; ქალის არჩევანი უპირატესია ნაყოფისაზე; კონტრაცეფციის გამოყენება ლეგიტიმური არჩევანია და ა.შ.

**გამამტყუნებელი ფრეიმები (Pro-life[5])** ტიპის ფრეიმები გულისხმობს აბორტის თემის გაშუქებას ნაყოფის სიცოცხლის უპირატესობის, ქალის, როგორც მშობლის, მოვალეობის, დემოგრაფიულ, მორალურ და რელიგიურ ჭრილში. ამ ტიპის მასალებში საუბარია ქალზე, რომელიც პირველ რიგში დედაა, მისი ვალია ბავშვების გაჩენა; ის აბორტის შედეგად მორალურ და ფიზიკურ ტანჯვას განიცდის, მისი ჯანმრთელობა რისკის ქვეშაა, აბორტი იწვევს ქალის სიკვდილს, სისხლდენებს, უშვილობას, დეპრესიას, ფსიქოზს, სხვა გართულებებს; ემბრიონი ადამიანია და აბორტი ცოდვაა, ქრისტიანები იღწვიან, რომ აბორტი აიკრძალოს, ლოცვა დაგვეხმარება აბორტის ცოდვის მონანიებაში. აბორტის გამო ქართველობა გადაშენდება, აბორტი განაპირობებს დემოგრაფიულ პრობლემებს და ა.შ.

**ნეიტრალური ფრეიმები** გულისხმობს მშრალ ფაქტებზე აგებულ მასალებს, რომლებშიც აბორტის გარშემო განვითარებულ სხვადასხვა მოვლენაზე და სიახლეზეა საუბარი. ასეთი მოვლენებია: სხვადასხვა ღონისძიებები, საკანონმდებლო ინიციატივები, კონფერენციები, საპროტესტო გამოსვლები, კამპანიები, პეტიციები, სტატისტიკა (იმატა ან იკლო აბორტების რიცხვმა), აბორტის კრიმინალიზაცია ან ლეგალიზაცია.

**ამბივალენტური ფრეიმი** ეს არის გაურკვევლობის, შინაგანი კონფლიქტის ფრეიმი. ეს ფრეიმი ძირითადად ემთხვევა ჟურნალისტური კონფლიქტის და დრამის ფრეიმს. ეს ფრეიმი აღწერს მომენტებს, სადაც აბორტი წარმოჩენილია, როგორც განსაკუთრებული, წინააღმდეგობრივი

---

[5] Pro-life--აბორტთან დაკავშირებული წინააღმდეგობრივი დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე მხარეა, რომელიც თავს სიცოცხლის მომხრეს უწოდებს და არ ამართლებს აბორტის გადაწყვეტილებას.

საკითხი, მძაფრი სულიერი პრობლემა. ამ ფრეიმში გაერთიანებულია ასევე დრამატული სიტუაციები: აბორტი ოჯახური კონფლიქტის წყაროა, გოგონას აბორტის გაკეთება ოჯახმა აიძულა; ქალმა აბორტი იმიტომ გაიკეთა, რომ ქმარს ბავშვი არ უნდოდა.

ფრეიმების ოთხ ჯგუფში შემდეგი ფრეიმები გაერთიანდა:

**გამამტყუნებელი ფრეიმები**: „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“, „პასუხისმგებლობის“ და „პროგნოზის“ ფრეიმები (მაკრო -საზოგადოებრივი ფოკუსის ფრეიმების ქვე-ჯგუფი), „მორალის“, „რელიგიის“ და „ემბრიონის“ ფრეიმები (მორალური ფოკუსის ფრეიმების ქვე-ჯგუფი); „გენდერის“ და ქალის „უსაფრთხოების“ ფრეიმები (ქალზე ფოკუსირებული ფრეიმების ქვე-ჯგუფი); „სტიგმის“ ფრეიმი (აბორტის მარგინალიზებელი, სიძულვილის ენის შემცველი ფრეიმი);

**გამამართლებელი ფრეიმები**, სადაც გაერთიანდა, „ ქალის უფლების“ (რეპროდუქციული და კონტრაცეფციის უფლების) ფრეიმი;

**ნეიტრალური ფრეიმები**, რომლებშიც გაერთიანდა „ფაქტობრივი“, „ადამიანური ინტერესის“ შემცველი, „პროტესტის“და „სამართლებლივი“ფრეიმები;

**ამბივალენტური ფრეიმები**, „გაურკვევლობის/შინაგანი კონფლიქტის“ ფრეიმები;

### 3.1.5. წყაროები

წყაროების ვინაობას, მათ რაოდენობას, მათ შერჩევას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კონტენტის და ინფორმაციის შექმნაში. მნიშვნელოვანი პირობაა, რომ ჟურნალისტური ნაშრომი რამდენიმე განსხვავებულ წყაროს ეყრდნობოდეს (პირდაპირი წყაროები, ოფიციალური წყაროები, ექსპერტები). უპირველეს ყოვლისა, სტატიაში წარმოდგენილნი უნდა იყვნენ პირდაპირი წყაროები - ადამიანები, რომელთაც უშუალოდ შეეხო ესა თუ ის პრობლემა.

ჟურნალისტი აგრეთვე უნდა გაესაუბროს იმ ადამიანებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამა თუ იმ პრობლემაზე და აგრეთვე ექსპერტებს, რომლებიც აღნიშნულ საკითხში კომპეტენტურ პირებს წარმოადგენენ.

ავტორმა შეადგინა იმ შესაძლო წყაროების სია, რომლებისთვისაც ჟურნალისტებს შეეძლოთ მიემართათ აბორტის/სელექციური აბორტის თემაზე მუშაობის დროს. ეს წყაროებია: საქართველოს პატრიარქი, საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერი, საჯარო მოხელე (ჯანდაცვის სამინისტროს გარდა), პარლამენტის წევრი, ჯანდაცვის სამინისტრო, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, ექოსკოპისტი, სხვა ექიმი, უცხო ქვეყნის ექსპერტი, ფემინისტური ჯგუფის წამომადგენელი, არაქრისტიანული რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, ქრისტიანული რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი, საერთაშორისო ორგანიზაცია (ან მისი წარმომადგენელი), ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (ან მისი წარმომადგენელი), იურისტი, ჟურნალისტი, მედია საშუალება, ოჯახის წევრები (დედა, მამა, და, ძმა, ნათესავი), ქალი, რომელმაც აბორტი გაიკეთა, იმ ქალის ქმარი, ვინც აბორტი გაიკეთა და სხვა.

### 3.1.6. ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები

ლიტერატურის მიმოხილვიდან გამომდინარე, არსებობს მოლოდინი, რომ ქართული მედიის მიერ აბორტი/სელექციური აბორტის თემა უარყოფით, „გამამტყუნებელ“ ჭრილში (ფრეიმში) იქნება გაშუქებული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედია აბორტის მიმართ დადებით ფრეიმებს წამოსწევს, მათი გადაფარვა იმ ასოციაციებით მოხდება, რომლებიც თან ახლავს პრონატალისტურ დისკურსს და აბორტის სტიგმას.

ლიტერატურის მიმოხილვიდან ირკვევა, რომ ხშირია აბორტის დისკურსის აგება ქალის რეპროდუქციული არჩევანის, დემოგრაფიულ, სამართლებლივ ჭრილში. ხშირია დემოგრაფიული ფრეიმიც, მაგრამ, განსხვავებით ამერიკული კონტექსტისაგან, ევროპულის მსგავსად, ქართული მედია დემოგრაფიულ ჭრილში აბორტის თემის განხილვას

დაუკავშირებს უფრო ვრცელ, ნაციონალისტურ დისკურსს და ქართველების დემოგრაფიული გადაშენების საფრთხეს.

ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები:

H1a-c: ქართულ მედია-კონტენტში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები სჭარბობს ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.

H1/S a-c (სელექციური): ქართულ მედიაკონტენტში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები სჭარბობს ნეიტრალურ (a), აბორტის გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.

RQ1: აბორტის კონკრეტულად რა ფრეიმები ჭარბობს ქართულ მედიაკონტენტში?

RQ1/S (სელექციური): სქესთან შეჭიდული აბორტის კონკრეტულად რა ფრეიმები ჭარბობს ქართულ მედიაკონტენტში?

H2a-c: კონსერვატიული მიმართულების საინფორმაციო კონტენტში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.

H2/S a-c (სელექციური): კონსერვატიული მიმართულების მედია საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.

H2 d-f: ლიბერალური მიმართულების საინფორმაციო კონტენტში აბორტის გამამართლებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (d), ამბივალენტურ (e) და გამამტყუნებელ (f) ფრეიმებს.

H2/S d-f (სელექციური): ლიბერალური მიმართულების საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის გამამართლებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (d), გამამტყუნებელ (e) და ამბივალენტურ (f) ფრეიმებს.

H2 g-i: ცენტრისტული ღირებულებების მედიის საინფორმაციო კონტენტში აბორტის ნეიტრალური ფრეიმები სჭარბობს აბორტის

გამამტყუნებელ (g), აბორტის გამამართლებელ (h) და ამბივალენტურ (i) ფრეიმებს.

H2/S g-i (სელექციური) ცენტრისტული ღირებულებების მედიის საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის ნეიტრალური ფრეიმები სჭარბობს აბორტის გამამტყუნებელ (g), აბორტის გამამართლებელ (h) და ამბივალენტურ (i) ფრეიმებს.

RQ2. რომელი მედია (ლიბერალური, ცენტრისტული, კონსერვატიული) აშუქებს უფრო ხშირად აბორტის თემას?

RQ2/S (სელექციური): რომელი მედია (ლიბერალური, ცენტრისტული, კონსერვატიული) აშუქებს უფრო ხშირად სელექციური აბორტის თემას?

RQ3: არსებობს თუ არა კავშირი მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებასა და ფრეიმების გარკვეული ტიპის (გამამტყუნებელი, გამამართლებელი, ნეიტრალური, ამბივალენტური) გამოყენებას შორის?

### 3.2 თვისებრივი კონტენტანალიზის მეთოდოლოგია (კომპონენტი 2)

მედია მასალების ტექსტები თვისებრივი ანალიზი მიზნად ისახავდა მასალაში სხვადასხვა ფრეიმის ფარგლებში გადმოცემული მნიშვნელობების ანალიზს. გაანალიზდა როგორც ღია და ექსპლიციტური, ისე ლატენტური კონტენტი, რომელიც ნაკლებად ექსპრესიული იყო და შესაძლოა, ავტორის მიერ წინასწარი განზრახვით არ ყოფილიყო შედგენილი (Clarke & Everest, 2006).

ყურადღება მიექცა ისეთ მნიშვნელობებს, რომლებიც, აბორტის სტიგმატიზებას იწვევს (გამამტყუნებელი ფრეიმები), ამართლებს აბორტს (გამამართლებელი ფრეიმი), ან ნეიტრალურად ან ამბივალენტურ დისკურს ქმნის აბორტის გარშემო. ასევე, ყურადღება მიექცა რა როლი აქვს ქალს ამ დისკურსში ?

როგორც ლიტერატურიდან არის ცნობილი (Gamson & Modigliani, 1989), ფრეიმი ე.წ. ფრეიმინგული ინსტრუმენტებით ანუ ლინგვისტური

ხერხებით იქმნება. ამრიგად, ავტორმა გამოკვეთა გამომსახველი სიტყვები და გამონათქვამები (loaded words and phrases), რომლებიც მოცემული ფრეიმის ფარგლებში მნიშვნელობას ქმნის. ეს მეთოდი ეყრდნობა გამსონისა და მოდილიანის მოსაზრებას, რომ მედია ტექსტში გამოიყენება ფრეიმინგის ინსტრუმენტები, როგორებიცაა: მეტაფორები (metaphors, მაგალითები (exemplars), ფრთიანი ფრაზები (catchphrases), აღწერითი ფრაზები (depictions), ვიზუალური იმიჯი (visual images), რომლებიც ლინგვისტური ინსტრუმენტების როლს ასრულებს და მაქსიმალური ექსპრესიულობით გამოხატავს სათქმელს (Gamson & Modiliani, 1989).

### 3.2.1 საკვლევი კითხვები

RQ4: რა თემებს უკავშირდება აბორტის/სელექციური აბორტის გამატყუნებელი ფრეიმი?

RQ5. რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის/სელექციური აბორტის გამამტყუნებელ ფრეიმინგს მედია?

RQ6: რა თემებს უკავშირდება აბორტის/სელექციური აბორტის გამამართლებელი ფრეიმი?

RQ7. რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის/სელექციური აბორტის გამამართლებელ ფრეიმინგს მედია?

RQ8: რა თემებს უკავშირდება აბორტის/სელექციური აბორტის ნეიტრალური ფრეიმი?

RQ9. რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის/სელექციური აბორტის ნეიტრალურ ფრეიმინგს მედია?

RQ10: რა თემებს უკავშირდება აბორტის/სელექციური აბორტის ამბივალენტური ფრეიმი?

RQ11. რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის/სელექციური აბორტის ამბივალენტურ ფრეიმინგს მედია?

RQ12. რა როლი აქვს ქალს აბორტის/სელექციური აბორტის დისკურსში?

## 3.3 ჟურნალისტებისა და რედაქტორების გამოკითხვის მეთოდოლოგია (კომპონენტი 3)

ეს კომპონენტი რაოდენობრივ მეთოდს, კერძოდ - გამოკითხვას ეყრდნობა და შეისწავლის, თუ როგორია საინფორმაციო კონტენტის შემქმნელი ჟურნალისტების და მათი რედაქტორების გენდერსენსიტიურობა და აბორტთან დამოკიდებულება (აბორტსენსიტიურობა).

### 3.3.1. საკვლევი ჯგუფი

საკვლევ ჯგუფს (ჟურნალისტებსა და რედაქტორებს) წარმოადგენს ქართულ მედიაში დასაქმებული ჟურნალსიტები და რედაქტორები, რომლებიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში არიან გაწევრიანებული. მათთან დაკავშირება მოხდა ქარტიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, რომელმაც მოგვცა წვდომა ელ. ფოსტის მისამართებზე. ქარტიის ყველა წევრს (N=256) დაეგზავნა ონლაინ კითხვარი (Google Survey) და თხოვნა კვლევაში მონაწილეების შესახებ. კითხვარის გადაგზავნა და შეხსენება 2016 წლის 27 მარტიდან 24 მაისის განმავლობაში ათი დღის შუალედით 6-ჯერ განხორციელდა. შევსებული კითხვარების, ანუ, მიღებული პასუხების რაოდენობამ შეადგინა 113 ერთეული (44%), რაც ონლაინ გამოკითხვისთვის კითხვარის შევსების მაღალ მაჩვენებლად ითვლება (Dommeyer et al, 2004).

კითხვარი სამი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი დემოგრაფიული კითხვებისაგან შედგება, მეორე იკვლევს გამოკითხულთა გენდერსენსიტიურობას და ეყრდნობა სფეროს მკვლევართა მიერ აპრობირებულ სკალებს; მესამე ნაწილი იკვლევს გამოკითხულთა დამოკიდებულებას აბორტის და სელექციური აბორტის მიმართ და ითვალისწინებს სფეროს მკვლევართა მიერ აპრობირებულ სკალებს.

### 3.3.2 ცვლადები და საზომები

ჟურნალისტებისა და რედაქტორების გენდერსენსიტიურობის და აბორტის მიმართ დამოკიდებულების შესაფასებლად შედგა კითხვარი, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: ა) დემოგრაფიულ კითხვების ბლოკი, ბ) გენდერსენსიტიურობის სკალა და კითხვების ბლოკი, გ) აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული კითხვების ბლოკი.

**ა) დემოგრაფიული ბლოკი:** განსაზღვრავს რესპონდენტების ასაკს, სქესს, აღმსარებლობას, ეთნიკურ წარმომავლობას, განათლების ცენზს, შვილების რაოდენობას, ოჯახურ მდგომარეობას, შემოსავალს.

**ბ) გენდერსენსიტიურობის ბლოკი** მოიცავს კითხვებს, რომლებიც რესპონდენტები სხვადასხვა დებულების მიმართ დამოკიდებულებას გამოხატავენ ლიკერტის ხუთბალიან სკალაზე. კითხვების ერთობლიობა გენდერსენსიტიურობის სტანდარტულ სკალას ეყრდნობა (Spence & Helmreich, 1972), რომლის ადაპტირება საქართველოს კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა[6].

კითხვარი 15 დებულებისგან შედგება და მისი მიზანია სოციუმში ქალთა როლების, უფლებების მიმართ მოლოდინების გაზომვა (ქალის, როგორც მშობელი, ქალის განათლება და დასაქმება, ქალისთვის ნორმატული ქცევას, ქორწინება, ა.შ). ეს კითხვარი (Spence & Helmreich, 1972) ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვლევრების მიერ აქტიურად გამოიყენება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გენდერის კვლევაში[7]

---

[6] კითხვარის ადაპტაციის პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა პირველ ეტაპზე გენდერსენსიტიურობის კითხვარი ინგლისურიდან ითარგმნა და შეიქმნა კითხვარის ქართულენოვანი ვარიანტი. ადაპტაციის შემდეგ საფეხურებზე ადგილი ჰქონდა კითხვარის ტესტირებას, მიღებული შედეგების სტატისტიკურად დამუშავებასა და ანალიზს.

[7] Spence და Helmreich -ის მიერ შემუშავებული სკალა თავდაპირველად 55 კითხვისაგან შედგებოდა და 4 ქულიანი Likert ტიპის სკალით -„საერთოდ არ ვეთანხმები - სრულად ვეთანხმები" ფასდებოდა. შედეგების ანალიზის მიხედვით დათვლილი დაბალი ქულები მიანიშნებენ უფრო ტრადიციულ, ანტიფემინისტურ განწყობებზე, მაშინ, როცა მაღალი ქულები მიანიშნებენ ქალთა უფლებების მიმართ უფრო პოზიტიურ და პრო-ფემინისტურ

კითხვების შესაფასებლად გამოიყენებოდა ლიკერტის ტიპის სკალა „1-დან 5-მდე", სადაც „1" შეესაბამებოდა „საერთოდ არ ვეთანხმები"-ს და „5" შეესაბამებოდა „სრულიად ვეთანხმები"-ს. სკალა შედგენილია, როგორც პირდაპირი კითხვების, სადაც მოსაზრებასთან თანხმობა გენდერსენსიტიურობას ნიშნავს, ისე შებრუნებული კითხვების მეშვეობით, როდესაც დებულებას თანხმობა - არაგენდერსიტიურობას ნიშნავს. ეს პრაქტიკა რესპონდენტის მიერ პასუხის დაუფიქრებლად, ავტომატურად მონიშვნის პრევენციას ემსახურება. მიღებული შედეგების ანალიზის მიზნით, მკვლევარმა შებრუნებულ კითხვებს (ცხრილში ვარსკვლავით აღნიშნულ კითხვებს) შეუცვალა შეფასებები, როგორც ეს კვლევით პრაქტიკაშია მიღებული იმგვარად, რომ შედეგად, დაბალი ნიშნული ყოველთვის არაგენდერსენსიტიურ განწყობებს შეესაბამება, ხოლო მაღალი ქულა, კი გენდერსენსიტიურ, უფრო პროფემინისტურ განწყობებზე მიუთითებს.

**გ) აბორტის და სელექციურ აბორტთან დამოკიდებულების ბლოკი და აბორტსენსიტიურობის სკალა**

კითხვების ბლოკი შედგება 19 კითხვისგან, რომელთაგან ათი - საერთო სოციალური გამოკითხვის (GSS) ნაწილია და აბორტის მიმართ დამოკიდებულების საზომ აპრობირებულ სკალას წარმოადგენს (Embree,1998). ამ ბლოკში დამატებით მკვლევარმა 9 კითხვა ჩართო, რომელიც ჰიპოთეზებსა და საკვლევ კითხვებზეა ორიენტირებული და ლიტერატურის მიმოხილვას ეყდნობა.

---

შეხედულებებზე (Spence & Helmreich, 1972). 1978 წელს ავტორებმა კითხვარს გადახედეს და 15 კითხვიანი მოკლე ვერსია შეიმუშავეს, რომლის სანდოობა სხვადასხვა მკვლევრებმა (Augherty & Ambrot, 1986) დაადასტურეს. სკალა 2008 წელს Whatley-მ გადაამოწმა, დამატებით შეისწავლა 15 კითხვიანი მოკლე სკალის ფაქტორთა სტრუქტურა და დაადასტურა მისი ერთგანზომილებიანობა. ამასთან, ხვადასხვა კვლევების მონაცემებმა აჩვენა, რომ კაცები უფრო მეტად ამჟღავნებდნენ უარყოფით დამოკიდებულებებს ქალების მიმართ, ვიდრე ქალები (Fine-Davis, 1983; Nelson, 1988; Öngen, 2006; Whatley & Riggi, 1992).

საერთო სოციალური გამოკითხვის კითხვარის (GSS) შემადგენელი სკალა აბორტის მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად ამერიკაში ყოველწლიურად ატარებს ჩიკაგოს უნივერსიტეტის ნაციონალური საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტი. ამ კითხვარს მაღალი სანდოობა აქვს და მისი ვალიდურობა დადასტურებულია (Embree, 1998). სკალა ითარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე, ქართულენოვანი ვერსია შეფასდა ორი ექსპერტის მიერ და დაკორექტირდა. საერთო სოციალური გამოკითხვის სკალა (10 კითხვა) შედგება დებულებებისგან, რომლებშიც ქალის მიერ აბორტის გაკეთების შესაძლო მიზეზებია ჩამოთვლილი (დედობისთვის მზადყოფნა, გათხოვება, მშობლების გავლენა, შეზღუდული შესაძლებლობა, გაუპატიურება, შემოსავალი, შვილების რაოდენობა, ჯანმრთელობის პრობლემები). რესპონდენტი დებულებების მიმართ დამოკიდებულებას აფიქსირებს ლიკერტის ხუთბალიან სკალაზე, სადაც „1“ შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ ვეთანხმები“, „2“ – „არ ვეთანხმები“, „3“ – „არც უარვყოფ და არც ვეთანხმები“, „4“ - პასუხს „ვეთანხმები“, და „5“ – „სრულიად ვეთანხმები“.

კითხვარის დანარჩენი 9 კითხვის ფორმულირება ჰიპოთეზასა და კვლევით კითხვებზეა ორიენტირებული და ლიტერატურის მიმოხილვას ეყდნობა. კითხვები ეხება სიცოცხლის საწყისსა და ჩასახვის შესახებ წარმოდგენებს, ნაყოფის სქესის დადგენის, სქესის შერჩევის მიზნით აბორტის და ზოგადად აბორტის პრაქტიკას. ამ კითხვების შესაფასებლად რესპონდენტებმა გამოიყენეს ლიკერტის სკალა, ბინარული არჩევანი („კი ან არა“) და მრავლობითი შერჩევა.

### 3.3.3 ჰიპოთეზები და საკვლევი კითხვები

H3: ჟურნალისტები არიან გენდერსენსიტიურები.

RQ13: გენდერსენსიტიურობის როგორი დონე იკვეთება ჟურნალისტებში?

H4: ჟურნალისტები არიან აბორტის მიმართ უარყოფითად განწყობილნი.

RQ14: აბორტის მიმართ დამოკიდებულების როგორი დონე იკვეთება ჟურნალისტებში?

H5: ჟურნალისტები არიან სელექციური აბორტის მიმართ უარყოფითად განწყობილნი.

RQ15: სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულების როგორი დონე იკვეთება?

## თავი 4. რაოდენობრივი კონტენტანალიზის შედეგები - კომპონენტი 1

რაოდენობრივი კონტენტანალიზის მიზანი იყო აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული ფრეიმების ანალიზი. უფრო კონკრეტულად, კვლევა მიზნად ისახავდა აბორტის და სელექციური აბორტის გაშუქებაში დომინანტური ფრეიმების იდენტიფიცირებას და ასევე, სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების მედიასაშუალებების მიერ ფრეიმების გამოყენების ანალიზს.

გამოკვლეული იქნა 2006-2016 წლების განმავლობაში 12 მედია საშუალებაში („რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ერთსულოვნება“, „ალია”, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „ლიბერალი“, „თბილისელები“, „ნეტგაზეთი“, „ინტერპრესნიუსი“, „ნიუპოსტი“, „ინფო 9“) აბორტისა და სელექციური აბორტის საკითხის გაშუქება რაოდენობრივი კონტენტანალიზის მეთოდით.

კლევამ მედია საშუალებები მათში ლიბერალური, კონსერვატიული და ცენტრისტული კონტენტის წილობრივი ოდენობის მიხედვით შეარჩია[8], კერძოდ, ლიბერალური მიმართულების ქვეშ კვლევა მოიაზრებს შემდეგ მედია საშუალებებს (ტელევიზია, გაზეთი, ჟურნალი, ელექტრონული მედია): „რუსთავი 2“, „რეზონანსი“, „ნეტგაზეთი“, „ინტერპრესნიუსი“; ცენტრისტულ მედიაში კვლევა მოიაზრებს შემდეგ მედიას: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „კვირის პალიტრა“, „ლიბერალი“, „ინფო 9“; კონსერვატიულ მედიაში კვლევა მოიაზრებს შემდეგ მედია ორგანიზაციებს: „ ერთსულოვნება”, „ალია“, „თბილისელები“, „ნიუპოსტი“.

---

[8] მედიასაშუალებების კატეგორიზების პროცესში (სარედაქციო მიმართულების და ღირებულებების მიხედვით მედიასაშუალების ლიბერალურ, ცენტრისტულ და კონსერვატიულ გამოცემად კატეგორიზება) მკლევარი დაეყრდნო როგორც მედიასაშუალებების ექსპლორატორულ კონტენტანალიზს, ისე, მედია-მკვლევრებთან და ექსპერტებთან კონსულტაციებს.

მედია მასალების მოძიება ონლაინ ბაზა - http://mediamonitoring.ge/mms-დან მოხდა.

საძიებო სიტყვის „აბორტი" გამოყებით განხორციელებულმა ძიებამ ონლაინ ბაზაში 2006-2016 წლის განმავლობაში სულ 1159 მასალა მოიძია, ანუ ჯამურად ყველა მედია საშუალებაში (40 მედიასაშუალება) 1159 მასალა შეიცავდა საძიებო სიტყვას - „აბორტი". მოცემული მასალა გაიფილტრა კვლევისთვის შერჩეული მედიასაშუალებების მიხედვით („რუსთავი 2", „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „ერთსულოვნება", „ალია", „რეზონანსი", „კვირის პალიტრა", „ლიბერალი", „თბილისელები", „ნეტგაზეთი", „ინტერპრესნიუსი", „ნიუპოსტი", „ინფო 9") რის შემდეგაც მასალების რიცხვი 322 -ით განისაზღვრა.

322 მასალიდან მხოლოდ 69 მასალა (21.4%) შეეხებოდა სელექციურ აბორტს.

შერჩეულ მედია საშუალებებში მკვლევრებმა წაიკითხეს ყველა მასალა, სადაც სიტყვა აბორტი ფიგურირებდა. მასალის კოდირება წინასწარ შედგენილი ანკეტით (იხ. დანართი ბ) ორი სპეციალურად მომზადებული კოდერის მიერ მოხდა. კოდერების თანხვედრა სტატისტიკური ტესტით შემოწმდა (Intercoder reliability test) (იხ. დანართი დ).

ორმა კოდერმა საბოლოო შეთანხმებას რამდენიმე რაუნდიანი ტრენინგისა და მუშაობის შედეგად მიაღწიეს. თავდაპირველად კოდერებმა ერთი მედიასაშუალების („ალია")10 სტატია გააანალიზეს ერთობლივად და შეამოწმეს ცვლადების მნიშვნელობების გააზრება და შედეგების თანხვედრა, შემდეგ დამატებით სხვა მედიასაშუალების („რეზონანსი") 12 სტატია, მნიშვნელობებისა და შედეგების კორექტირების მიზნით. შემდეგ კოდერებმა გაანალიზეს 20 მასალა (საინფორმაციო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული მასალები). ბოლო ეტაპზე, კოდერებმა გააანალიზეს 27 მასალა ყველა შერჩეული მედია საშუალებიდან. სტატისტიკური ტესტით შემოწმებამ მაღალი სანდოობა გამოავლინა. 39 ცვლადიდან 9 შემთხვევაში იყო 96 % თანხვედრა, 6 შემთხვევაში იყო 92 % თანხვედრა, ხოლო დანარჩენი ცვლადების შეფასებისას 100% თანხვედრა. თანხვედრა

შემოწმდა სტატისტიკური ტესტის (Knipendorff's alpha) მეშვეობით. ყველა ცვლადის შემთხვევაში (გარდა ცვლადებისა „ემბრიონის ფრეიმი“, „წყარო-ჟურნალისტი“, „წყარო - სხვა“) თანხვედრის კოეფიციენტი აღემატებოდა .75 -ს.

შედეგები სტატისტიკურად, დაყენებული ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების მიხედვით დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS მეშვეობით. ცვლადებს შორის არაშემთხვევითი კავშირის დასადასტურებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი სტატისტიკური ტესტები (chi square test, McNemar test, one way ANOVA).

## 4.1 აღწერითი სტატისტიკა

საკვლევ ნიმუშს წარმოადგენდა 322 მასალა, რომლებშიც გაშუქებულია აბორტის/ სელექციური აბორტის თემა. 322 მასალიდან 253 (78.3%) აბორტს, ხოლო 69 მასალა (21.7%) სელექციურ აბორტს შეეხებოდა.

რაც შეეხება მასალების ფორმატს, 138 (42,8%) მასალა იყო ვიდეო, ხოლო 184 (57%) ტექსტი. ტექსტური მასალებიდან, 71 (22%) - საგაზეთო მასალაა, 56 (17.4%) - ონლაინ რესურსების მასალა და 57 (17.7%) - სააგენტოს მასალა.

ლიბერალური მიმართულების მედია საშუალებების მიერ გავრცელდა 163 (50%) მასალა („რუსთავი 2" - 65, „ნეტგაზეთი“ - 21, „ინტერპრესნიუსი" - 38 , „რეზონანსი" - 39); ცენტრისტული მედია საშუალებების მიერ გავრცელდა 101 (31%) მასალა („საზ. მაუწყებელი“ - 45, „ლიბერალი“ - 29, „კვირის პალიტრა“ -14, „ინფო 9“ -13); ხოლო კონსერვატიული მედია საშუალებების მიერ გავრცელდა 58 (18%) მასალა („ ერთსულოვნება“ - 28, „ალია“ - 18, „თბილისელები“ - 6, „ნიუპოსტი“- 6).

ქრონოლოგიურად, მასალები შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი მასალა (n=119 ) 2014 წელს დაიბეჭდა. დანარჩენი მასალები წლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 2008 წელს- 3 მასალა, 2009 წელს - 9 მასალა, 2010 წელს - 13 მასალა, 2011 წელს - 30 მასალა, 2012 წელს - 8

მასალა, 2013 წელს - 64 მასალა, 2014 წელს - 119 მასალა, 2015 წელს - 47 მასალა, 2016 წელს - 30 მასალა.

### 4.1.1 წყაროები

სულ 322 მასალაში ინფორმაცია აბორტებზე/სელექციურ აბორტებზე 470 წყაროს ეყრდნობა, ანუ ერთ მასალაში საშუალოდ ორზე ნაკლები წყაროა გამოყენებული.

როგორც ცხრილი N 1 აჩვენებს, წყაროების 38% (n=178) ოფიციალური პირები არიან (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის წევრები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები); ექიმები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები წყაროების 23% (n=102) შეადგენენ.

ლიდერებიდან, ყველაზე ხშირად, მედია, აბორტის თემის გაშუქებისას, საქართველოს პატრიარქის განცხადებებს ეყრდნობა (n=74, 23%). შედარებისთვის, ჯანმრთელობის მინისტრი მხოლოდ 60-ჯერ (18.6%) არის წყაროდ გამოყენებული პრემიერ-მინისტრი - 10-ჯერ (3.1%), ხოლო პრეზიდენტი - ორჯერ (0.6%).

მართლმადიდებელი მღვდლები (n=24, 7,5%) ხშირად გამოხატავენ საკითხზე მოსაზრებას, ძირითადად კონსერვატიული საპატრიარქოს ტელევიზიის - „ერთსულოვნების" ეთერით. რელიგიური პირების განცხადებებს, თუ არ ჩავთვლით პატრიარქის განცხადებებს, არც ერთი სხვა მედია საშუალება არ ავრცელებს, მღვდლები ექსკლუზიურად მხოლოდ საპატრიარქოს ტელევიზიით მიმართავენ საზოგადოებას.

მედია წყაროებად ასევე იყენებს ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენლებს (n=10, 3.1%) იურისტებს (n=2, 0.6%) და ისეთ აქტივისტებს, რომლებიც არ არიან სამღვდელოების წარმომადგენლები, მაგრამ ავრცელებენ რელიგიურ და მორალისტურ განცხადებებს აბორტთან დაკავშირებით (n=6, 1.9%). აბორტის გამოცდილებაზე იშვიათად საუბრობდენ ქალები (n=5, 1.6%) და მათი ოჯახის წევრები (n=2, 0.6%).

**ცხრილი N1: წყაროები**

| წყარო | რაოდენობა | % |
|---|---|---|
| პატრიარქი | 74 | 23.0 |
| პარლამენტის წევრი | 66 | 20.5 |
| ჯანმრთელობის მინისტრი | 60 | 18.6 |
| საჯარო მოხელე | 40 | 12.4 |
| საერთაშორისო ორგანიზაცია | 36 | 11.2 |
| სხვა | 35 | 10.9 |
| ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია | 35 | 10.9 |
| ექიმი | 31 | 9.6 |
| ჟურნალისტი | 26 | 8.1 |
| მღვდელი | 24 | 7.5 |
| ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენელი | 10 | 3.1 |
| პრემიერმინისტრი | 10 | 3.1 |
| არაქრისტიანული ჯგუფის წარმომადგენელი | 6 | 1.9 |
| ქალი, რომელმაც აბორტი გაიკეთა | 5 | 1.6 |
| უცხო ქვეყნის ექსპერტი | 5 | 1.6 |
| ოჯახის წევრი | 2 | 0.6 |
| იურისტი | 2 | 0.6 |
| პრეზიდენტი | 2 | 0.6 |
| ქმარი | 1 | 0.3 |

როგორც ცხრილი N1 აჩვენებს, პატრიარქს, როგორც წყაროს, ყველაზე ხშირად ლიბერალური მედია (n=42,26%) ეყრდნობა, შემდეგ მოდის ცენტრისტული მედია (n=21, 21%) და სულ ბოლოს - კონსერვატიული მედია (n=11, 19%).

მართლმადიდებელი მღვდლები ყველაზე ხშირად მოსაზრებას კონსერვატიულ მედიაში გამოხატავენ (n=15, 26%), შემდეგ - ლიბერალურ მედიაში (n=7,4%) და სულ ბოლოს - ცენტრისტულში (n=2,2%).

ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენლებს ყველაზე ხშირად ცენტრისტული მედია ეყრდნობა (n=6,1.3%), შემდეგ - ლიბერალური (n=4,0.8%) და საერთოდ არ ეკითხება აზრს კონსერვატიული მედია.

**ცხრილი N 2. წყაროების განაწილება ლიბერალურ ცენტრისტულ და კონსერვატიულ მედიაში**

| წყარო | ლიბერალური<br>163 მასალა | ცენტრისტულ<br>ი<br>101 მასალა | კონსერვატიულ<br>ი<br>58 მასალა |
|---|---|---|---|
| პატრიარქი | 42 (26%) | 21 (21%) | 11 (19%) |
| პრეზიდენტი | 2 (1%) | 0 (-) | 0 (-) |
| პრემიერ მინისტრი | 5 (3%) | 5 (5%) | 0 (-) |
| ოფიციალური წყარო | 28 (17%) | 10 (10%) | 2 (3%) |
| პარლამენტის წევრი | 37 (23%) | 18 (18%) | 11 (19%) |
| ჯანმრთელობის მინისტრი | 42 (26%) | 12 (12%) | 6 (10%) |
| ექიმი | 13 (8%) | 11 (11%) | 7 (12%) |
| უცხო ქვეყნის ექსპერტი | 5 (3%) | 0 (-) | 0 (-) |
| ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენელი | 4 2%) | 6 (6%) | 0 (-) |
| არაქრისტიანული ჯგუფის წარმომადგენელი | 3 (2%) | 3 (3%) | 0 (-) |
| მღვდელი | 7 (4%) | 2 (2%) | 15 (26%) |
| საერთაშორისო ორგანიზაცია | 28 (17%) | 6 (6%) | 2 (3%) |
| ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია | 20 (12%) | 6 (6%) | 9 (16%) |
| იურისტი | 0 (-) | 2 (2%) | 0 (-) |
| ჟურნალისტი | 7 (4%) | 10 (10%) | 9 (16%) |
| ოჯახის წევრი | 2 (1%) | 0 (-) | 0 (-) |
| ქალი რომელმაც აბორტი გაიკეთა | 1 (1%) | 3 (3%) | 1 (2%) |
| ქმარი | 0 (-) | 1 (1%) | 0 (-) |
| სხვა | 15 (9%) | 15 (15%) | 5 (9%) |

### 4.1.2.ფრეიმები

გამამტყუნებელი ფრეიმები: აბორტის გამამტყუნებელ ფრეიმებად მივიჩნიეთ: მაკრო-საზოგადოებრივი ფოკუსის („ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“, „პასუხისმგებლობის“ და „პროგნოზის“ ფრეიმები), მორალური ფოკუსის („მორალის“, „რელიგიის“ და „ემბრიონის“ ფრეიმები); ქალზე ფოკუსირებული („გენდერის“ და „უსაფრთხოების“ ფრეიმები); აბორტის მამარგინალიზებელი „სტიგმის“ფრეიმები.

გამამტყუნებელი ფრეიმებიდან ყველაზე ხშირად მედიაში გამოიყენებოდა „პასუხისმგებლობის“ ფრეიმი (n=126, 39.3%), ასევე „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ (n=80, 24.8%) და „უსაფრთხოების“ ფრეიმები (n=76, 23.6%)  (იხ. ცხრილი N3).

გამამართლებელი ფრეიმები: აბორტის მხარდამჭერი ფრეიმების ჯგუფიდან, რომელშიც გაერთიანდა „ქალის უფლებების ფრეიმი“, აღინიშნა 63 (19.6%) მასალაში.

ნეიტრალური ფრეიმები: ნეიტრალური ფრეიმებიდან, რომლებშიც გავაერთიანეთ „ფაქტობრივი“, „ადამიანური ინტერესის“, „პროტესტის“ გამომხატველი და „კანონის/სამართლებლივი“ ფრეიმები, ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა „კანონის/სამართლებლივი“ ფრეიმები (n=162, 50.3%) და „ფაქტობრივი“ ფრეიმები (n=131, 40.7%) .

ამბივალენტური ფრეიმები: ამბივალენტურ ფრეიმად მოცემულ კვლევაში „გაურკვევლობის/შინაგანი კონფლიქტის“ ფრეიმი მიიჩნევა, რომელიც მასალათა 6.2%-ში (n=20) ფიქსირდება.

ცხრილი N3. ფრეიმთა ტიპები

| ფრეიმები | ფრეიმის რაოდენობა | % |
|---|---|---|
| „კანონის/სამართლებრივი“ | 162 | 50.3 |
| „ფაქტობრივი“ | 131 | 40.7 |
| „პასუხისმგებლობის“ | 126 | 39.3 |
| „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ | 80 | 24.8 |
| „უსაფრთხოების“ | 76 | 23.6 |

| | | |
|---|---|---|
| „უფლების“ | 63 | 19.6 |
| „პროგნოზის“ | 59 | 18.3 |
| „მორალის“ | 56 | 17.4 |
| „რელიგიის“ | 45 | 14 |
| „სტიგმის“ | 40 | 12.5 |
| „პროტესტის“ | 29 | 9 |
| „ემბრიონის“ | 24 | 7.2 |
| „გაურკვევლობის/შინაგანი კონფლიქტის“ | 20 | 6.2 |
| „გენდერის“ | 15 | 4.7 |
| „ადამიანური ინტერესის“ | 14 | 4.3 |

**ცხრილი N4.** ფრეიმები, სელექციური აბორტის მასალა

| ფრეიმები | ფრეიმების რაოდენობა | % |
|---|---|---|
| „კანონის/სამართლებრივი“ | 42 | 60.9 |
| „ფაქტობრივი“ | 35 | 50.7 |
| „პასუხისმგებლობის“ | 32 | 46.4 |
| „პროგნოზის“ | 22 | 31.9 |
| „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ | 21 | 30.4 |
| „უსაფრთხოების“ | 18 | 26.1 |
| „უფლების“ | 15 | 21.7 |
| „სტიგმის“ | 10 | 14.5 |
| „რელიგიის“ | 9 | 13 |
| „გენდერის“ | 9 | 13 |
| „მორალის“ | 8 | 11.6 |
| „ემბრიონის“ | 7 | 10.1 |
| „გაურკვევლობის/შინაგანი კონფლიქტის“ | 4 | 5.8 |
| „პროტესტის“ | 3 | 4.3 |
| „ადამიანური ინტერესის“ | 0 | 0 |

## 4.2 ანალიზი ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების მიხედვით

*H1a-c: ქართულ მედია-კონტენტში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები სჭარბობს ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.*

322 მასალის ანალიზით დადგინდა რომ ნეიტრალური ფრეიმები გამოყენებულია მასალათა უმეტეს ნაწილში (n=249, 73.7%), აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები - 238 მასალაში (70.4%), აბორტის გამამართლებელი ფრეიმები - დაახლოებით მეხუთედში (n=63, 19.6%) და ამბივალენტური ფრეიმი - მცირე ნაწილში (n=20, 6.2%).

McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ მთლიანად მედიაში სტატისტიკური ალბათობის კუთხით არ დაფიქსირდა განსხვავება ნეიტრალურ და გამამტყუნებელ ფრეიმებს შორის, იმიტომ, რომ რაოდენობრივად ნეიტრალურ და გამამტყუნებელ ფრეიმებს შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, თუმცა, გამამტყუნებელი ფრეიმის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე გამამართლებელი ფრეიმების ($\chi$=146.26, p=.00) ან ამბივალენტურის ($\chi$=208.35, p=.00).

ჰიპოთეზა H1a არ დადასტურდა. ჰიპოთეზა H1b და H1c დადასტურებულია.

***H1/S a-c (სელექციური): ქართულ მედიაკონტენტში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები სჭარბობს ნეიტრალურ (a), აბორტის გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.***

კვლევამ დაადგინა, რომ 69 სექს-სელექციურ მასალაში იყო 58 ნეიტრალური, 54 აბორტის გამამტყუნებელი, 15 აბორტის გამამართლებელი და 4 ამბივალენტური ფრეიმი.

ჰიპოთეზა H1/Sa არ დადასტურდა; ჰიპოთეზა ჰიპოთეზა H1/Sb და H1/Sc დადასტურებულია.

***RQ1: აბორტის კონკრეტულად რა ფრეიმები ჭარბობს ქართულ მედიაკონტენტში?***

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასალაში დომინირებდა „სამართლის/კანონის“ ნეიტრალური ფრეიმი (n=162,50.3%). რაოდენობრივად „სამართლის/კანონის“ ფრეიმს ჩამორჩება „ფაქტობრივი“ ნეიტრალური ფრეიმი (n=131,40.7%). „ფაქტობრივ“ ფრეიმს რაოდენობრივად ჩამორჩება „პასუხისმგებლობის“ გამამტყუნებელი ფრეიმი (n=126,39.3%), ამ უკანასკნელს - აბორტის გამამტყუნებელი „ ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმი (n=80,24.8%), ამ უკანასკნელს კი - აბორტის გამამტყუნებელი „უსაფრთხოების“ ფრეიმი (n=76,23.6%). „უსაფრთხოების“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამართლებელი ქალის „უფლების“ ფრეიმი (n=63,19.6%). ქალის „უფლების“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „პროგნოზის“ ფრეიმი (n=59,18.3%). „უფლების“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „მორალის“ ფრეიმი (n=56,17.4%). „მორალის“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „რელიგიის“ ფრეიმი (n=45,14%). „რელიგიის“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „სტიგმის“ ფრეიმი (n=40,12.5%). „სტიგმის“ ფრეიმს მოსდევს აბორტის ნეიტრალური „პროტესტის“ ფრეიმი (n=29,9%). „პროტესტის“ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „ემბრიონის“ ფრეიმი (n=24,7.2%). „ემბრიონის“ ფრეიმს მოსდევს აბორტის ამბივალენტური „შინაგანი კონფლიქტის“ ფრეიმი (n=20,6.2%). ამბივალენტურ ფრეიმს მოსდევს აბორტის გამამტყუნებელი „გენდერის“ ფრეიმი (n=15,4.7%). „გენდერის“ ფრეიმს მოსდევს ნეიტრალური „ადამიანური ინტერესის“ ფრეიმი (n=14,4.3%)( იხ. ცხრილი N 3).

საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

***RQ1/S (სელექციური): სელექციური აბორტის კონკრეტულად რა ფრეიმები ჭარბობს ქართულ მედიაკონტენტში?***

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სელექციურ აბორტებზე მასალებში დომინირებდა „კანონის“ ნეიტრალური ფრეიმი (n=42,60.9%). რაოდენობრივად „კანონის“ ფრეიმს ჩამორჩება „ფაქტობრივი“ ნეიტრალური ფრეიმი (n=35, 50.7%). „ფაქტობრივ“ ფრეიმს რაოდენობრივად ჩამორჩება გამამტყუნებელი „პასუხისმგებლობის“ ფრეიმი (n=32,46.4%). რაოდენობის

მიხედვით „პასუხისმგებლობის“ ფრეიმს ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „პროგნოზის“ ფრეიმი (n=22,31.9%). „პროგნოზის“ ფრეიმს ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმი (n=21,30.4%). რაოდენობრივად „ნაციონალისტურ-დემოგრაფიულ“ ფრეიმს ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „უსაფრთხოების“ ფრეიმი (n=18,26.1%). „უსაფრთხოების“ ფრეიმს რაოდენობრივად ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „სტიგმის“ ფრეიმი (n=10,14.5%). „სტიგმის“ ფრეიმს რაოდენობრივად ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „რელიგიის“ ფრეიმი (n=9,13%) და აბორტის გამამტყუნებელი „გენდერის“ ფრეიმი (n=9,13%) „რელიგიის“ და „გენდერის“ ფრეიმებს ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „მორალის“ ფრეიმი (n=8,11.6%). „მორალის“ ფრეიმს ჩამორჩება აბორტის გამამტყუნებელი „ემბრიონის“ ფრეიმი (n=7,10.1%). „ემბრიონის“ ფრეიმს რაოდენობრივად ჩამორჩება ამბივალენტური „შინაგანი კონფლიქტის“ ფრეიმი (n=4,5.8%). ამ უკანასკნელს რაოდენობრივად ჩამორჩება ნეიტრალური „პროტესტის“ ფრეიმი (n=3.4.3%). საერთოდ არ ფიქსირდება ნეიტრალური „ადამიანური ინტერესის“ ფრეიმი (n=0)( იხილე ცხრილი N 4).

საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

***H2a-c: კონსერვატიული მიმართულების საინფორმაციო კონტენტში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.***

კონსერვატიული მიმართულების მედიაში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები (n=51, 87.9%) სჭარბობს ნეიტრალურ ფრეიმებს (n=40, 69%), პოზიტიურს (n=7, 12%) და ამბივალენტურს (n=5, 8.6%), რაც დადასტურდა სტატისტიკურად.

McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ კონსერვატიულ მედიაში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმების არსებობის მეტი ალბათობაა, ვიდრე ნეიტრალური ფრეიმების (p=.035) ან პოზიტიური ფრეიმების ($\chi$=42.023 , p=.00) ან ამბივალენტური ფრეიმების ($\chi$=42.19 , p=.00).

ჰიპოთეზები H2a, H2b, H2c დადასტურებულია.

***H2/S a-c (სელექციური): კონსერვატიული მიმართულების მედია საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (a), გამამართლებელ (b) და ამბივალენტურ (c) ფრეიმებს.***

კონსერვატიული მიმართულების მედიაში სელექციური აბორტის თემა დაფიქსირდა 12 მასალაში. კონსერვატიული მიმართულების მედიაში გამამტყუნებელი ფრეიმები ( n=11, 91.7%) სჭარბობდა ნეიტრალურ ფრეიმებს (n=9, 75%), პოზიტიურს (n=2, 16.7%) და ამბივალენტურს (n=1, 8.3%).

თუმცა, McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ კონსერვატიულ მედიაში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმების მეტი ალბათობა არ არსებობს ნეიტრალურ ფრეიმებთან შედარებით ( p=.62), მაგრამ გამამტყუნებელი ფრეიმები სტატისტიკური ალბათობის გათვალისწინებით აღემატება გამამართლებელი (p=.00) და ამბივალენტური ფრეიმების ( p=.00) რაოდენობას.[9]

ჰიპოთეზა H1/Sa არ დადასტურდა; ჰიპოთეზა ჰიპოთეზა H1/Sb და H1/Sc დადასტურებულია.

***H2d-f: ლიბერალური მიმართულების საინფორმაციო კონტენტში აბორტის გამამართლებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (d), ამბივალენტურ (e) და გამამტყუნებელ (f) ფრეიმებს.***

ლიბერალური მიმართულების მედია ყველაზე ხშირად იყენებს ნეიტრალურ ფრეიმებს (n=133, 82.2%), რაც სჭარბობს მასალებს, რომლებშიც ნეგატიური ფრეიმია გამოყენებული (n=112, 68.7%), ასევე გამამართლებელ ფრეიმებს (n=33, 20.2%) და ამბივალენტურ ფრეიმებს ( n=11, 6.7%).

რაც შეეხება სტატისტიკურ ანალიზს, McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ ლიბერალურ მედიაში აბორტის

---

[9] სტატისტიკური ტესტის გამოყენებას აბრკოლებდა მასალების მცირე რაოდენობა. თუმცა, მასალების რაოდენობის გაზრდის საშუალება ამ კვლევას არ ჰქონია, ვინაიდან სელექციურ აბორტზე მომზადებული მასალების სრულად დაექვემდებარა ანალიზს.

ნეიტრალური ფრეიმების მეტი ალბათობაა, ვიდრე ნეგატიური ფრეიმების ($\chi$=5.80 p=.016), პოზიტიური ფრეიმების ($\chi$=86.9 , p=.00) ან ამბივალენტური ფრეიმების ($\chi$=119.07 , p=.00).

ჰიპოთეზა H2d-f არ დადასტურდა.

***H2/S d-f (სელექციური): ლიბერალური მიმართულების საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის გამამართლებელი ფრეიმები აღემატება ნეიტრალურ (d), გამამტყუნებელ (e) და ამბივალენტურ (f) ფრეიმებს.***

ლიბერალური მიმართულების მედიაში სელექციური აბორტის თემა დაფიქსირდა 36 მასალაში. ნეიტრალური ფრეიმები (n=30, 83.3%), სჭარბობს ნეგატიურ ფრეიმებს (n=25, 69.4%), პოზიტიურს (n=7, 19.4.7%) და ამბივალენტურს (n=2, 5.6%).

McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ ლიბერალურ მედიაში აბორტის ნეიტრალური ფრეიმების მეტი სტატისტიკური ალბათობა არ არსებობს, ნეგატიურთან შედარებით (p=.22). თუმცა, გამამტყუნებელი ფრეიმების სტატისტიკური ალბათობა აღემატება გამამართლებელი (p=.00) და ამბივალენტური ფრეიმების ( p=.00) რაოდენობას.

ჰიპოთეზა H2/S d-f არ დადასტურდა.

***H2 g-i ცენტრისტული ღირებულებები მედიის საინფორმაციო კონტენტში აბორტის ნეიტრალური ფრეიმები ჭარბობს აბორტის გამამტყუნებელ (g), აბორტის გამამართლებელ (h) და ამბივალენტურ (i) ფრეიმებს.***

ცენტრისტულ მედიაში აბორტის ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილი შემდეგი თანაფარდობით: ნეიტრალური (n=76, 75.2 %) და ნეგატიური (n=75, 74.3%). რაც შეეხება პოზიტიურ ფრეიმებს, ის 23 მასალაშია ( n= 23, 33.8%), ხოლო ამბივალენტური ფრეიმები 4 მასალაშია ( n=4, 4%).

McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ ცენტრისტულ მედიაში აბორტის ნეიტრალურ და გამამტყუნებელ ფრეიმებს

შორის სტატისტიკურად ღირებული განსხვავება არ დაფიქსირდა ($\chi$=.0 , p=1.00), თუმცა ნეგატიური ფრეიმები სჭარბობს პოზიტიურ ფრეიმებს ($\chi$=43.35 , p=.00) და ასევე ამბივალენტურ ფრეიმებს ($\chi$=67.12 , p=.00). მსგავსი ტენდენციაა პოზიტიურ ფრეიმებსა და ამბივალენტურ ფრეიმებს შორის: პოზიტიური ფრეიმები ამბივალენტურს სჭარბობს (p=.00).

ჰიპოთეზა H2/g არ დადასტურდა; ჰიპოთეზა H2/h და ჰიპოთეზა H2i დადასტურებულია.

***H2/S g-i (სელექციური) ცენტრისტული ღირებულებები მედიის საინფორმაციო კონტენტში სელექციური აბორტის ნეიტრალური ფრეიმები სჭარბობს აბორტის გამამტყუნებელ (g), აბორტის გამამართლებელ (h) და ამბივალენტურ ფრეიმებს (i).***

ცენტრისტული მიმართულების მედიაში სელექციური აბორტის თემა დაფიქსირდა 21 მასალაში. ცენტრისტულ მედიაში სელექციური აბორტის ნეიტრალური (n=19, 90.5 %) და ნეგატიური (n=18, 85.7%) ფრეიმები თითქმის ერთნაირი რაოდენობით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება პოზიტიურ ფრეიმებს, სულ 6 მასალაში გვხვდება ( n= 6, 28.6%). ხოლო ამბივალენტური ფრეიმები, 1 მასალაშია ( n=1, 4.8%).

McNemar's chi square-სტატისტიკურმა ტესტმა აჩვენა, რომ ცენტრისტულ მედიაში აბორტის ნეიტრალურ და გამამტყუნებელ ფრეიმებს შორის სტატისტიკურად ღირებული განსხვავება არ დაფიქსირდა (p=1.00), თუმცა, ნეგატიური ფრეიმები სჭარბობს პოზიტიურ ფრეიმებს (p=.00) და ასევე ამბივალენტურ ფრეიმებს (p=.00).

ჰიპოთეზა H2/Sg არ დადასტურდა; ჰიპოთეზა ჰიპოთეზა H2/Sh და H2/Si დადასტურებულია.

***RQ2. რომელი მედია (ლიბერალური, ცენტრისტული, კონსერვატიული) აშუქებს უფრო ხშირად აბორტის თემას?***

აბორტის თემას ყველაზე ხშირად ლიბერალური მედია აშუქებს (n=163, 48.2%), შემდეგ რიგითობით მოდის ცენტრისტული მედია ( n= 101, 29.9%), ხოლო სულ ბოლოს - კონსერვატიული მედია (n-58, 17.2%).

საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

*RQ2/S (სელექციური). რომელი მედია (ლიბერალური, ცენტრისტული, კონსერვატიული) აშუქებს უფრო ხშირად სელექციური აბორტის თემას?*

სულ სელექციურ აბორტზე აღმოჩნდა 69 მასალა. აბორტის თემას ყველაზე ხშირად ლიბერალური მედია აშუქებს (n=36, 52.2%), შემდეგ მოდის ცენტრისტული მედია (n= 21, 30.4%), ხოლო სულ ბოლოს კონსერვატიული მედია (n-12, 17.4%).

საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

*RQ3. არსებობს თუ არა კავშირი მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებასა და ფრეიმების გარკვეული ტიპის (გამამტყუნებელი, გამამართლებელი, ნეიტრალური, ამბივალენტური) გამოყენებას შორის ?*

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა (Pearson's chi squre test) რომ არსებობს სტატისტიკური კავშირი მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებასა და ზოგიერთი ჯგუფის ფრეიმების გამოყენებას შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, მეტი ალბათობით გამამტყუნებელი ფრეიმების პროპორციულად მეტი რაოდენობა (n=51, 49.51%) ფიქსირდება კონსერვატიულ მედიაში, ვიდრე ცენტრისტულ (n=75, 42.13%) ან ლიბერალურ მედიაში (n=112, 38.75%). რაც შეეხება ნეიტრალურ ფრეიმებს, მათი გამოყენების ყველაზე მეტი ალბათობაა ლიბერალურ მედიაში (n=133, 46.02%), შემდეგ ცენტრისტულ (n=76, 42.7%) და ყველაზე ნაკლებად კონსერვატიულ (n=40, 38.83%) მედიაში (chi=4.69, p=.09**). რაც შეეხება გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს, კავშირი ამ ჯგუფის გამოყენებას და მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებას შორის არ დაფიქსირდა, კერძოდ, კავშირი გამამართლებელი ფრეიმების და მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებას შორის (chi=2.77, p=.24) და ასევე კავშირი ამბივალენტური ფრეიმების და მედია საშუალების იდეოლოგიურ მიმართულებას შორის (chi=1.54, p=.46) სტატისტიკურად არ დადასტურდა.

## 4.3.რაოდენობრივი კონტენტანალიზის დასკვნა

აბორტის და სელექციური აბორტის თემას ყველაზე ხშირად ლიბერალური მედია აშუქებს. შემდეგ რიგითობით მოდის ცენტრისტული მედია, ხოლო სულ ბოლოს - კონსერვატიული მედია.

ვარაუდის საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა, რომ მთლიანად ქართულ მედია-კონტენტში, გარდა კონსერვატიული მედიისა, აბორტის გამამტყუნებელი და ნეიტრალური ფრეიმები თანაბარი რაოდენობით გამოიყენება, ხოლო გამამართლებელი და ამბივალენტური ფრეიმები - ამ ორზე ნაკლებად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ნეიტრალური ფრეიმებიც თავისი ბუნებით აბორტის მიმართ უარყოფითი შინაარსის მატარებელია, მაგრამ ინფორმაცია ფაქტობრივ, ახალი ამბების ფორმატში, შესაბამისად დაბალანსებულად და ნეიტრალურად გადმოიცემა. რაც შეეხება ამბივალენტურ ფრეიმებს, ამ სათაურის ქვეშ მოქცეული კონტენტი აბორტს წინააღმდეგობრივად ან ბუნდოვნად წარმოადგენს და არ ეხმარება მკითხველს ინფორმირებული დასკვნის გამოტანაში.

კონსერვატიულ მედიაში გამამტყუნებელი ფრეიმების რაოდენობა სჭარბობს ნეიტრალურ, გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმთა რიცხვს, თუმცა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ლიბერალულ მედიაში ჭარბობს არა გამამართლებელი, არამედ ნეიტრალური ფრეიმები, რომლებიც აღემატება გამამტყუნებელ, გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს; ცენტრისტულ მედიაში ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები თანაბრად გამოიყენება, და წილობრივად აღემატება გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს.

არსებობს კავშირი მედიასაშუალების იდეოლოგიურ მიმართულებასა და აბორტის თემის ფრეიმინგს შორის იმგვარად, რომ გამამტყუნებელ ფრეიმებს ყველაზე ხშირად კონსერვატიული მედია იყენებს და ყველაზე იშვიათად - ლიბერალური. ნეიტრალური ფრეიმების გამოყენების ყველაზე დიდი ალბათობა ლიბერალურ მედიაშია და ყველაზე ნაკლები - კონსერვატიულ მედიაში.

რაც შეეხება სელექციური აბორტის გაშუქებას, სამივე ტიპის მედიაში ნეიტრალური და ნეგატიური ფრეიმები თანაბრად გამოიყენება და აღემატება გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმთა რიცხვს.

აბორტზე მასალაში კვლევის შედეგად გამოიკვეთა ხუთი დომინანტური ფრეიმი: „კანონის“ და „ფაქტობრივი“ ფრეიმები (ნეიტრალური ფრეიმების ჯგუფი), „პასუხისმგებლობის“, „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ და ქალის „უსაფრთხოების“ ფრეიმები (გამამტყუნებელი ფრეიმების ჯგუფი). სელექციურ აბორტზე მასალაში კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ხუთი დომინანტური ფრეიმი: „კანონის“ და „ფაქტობრივი“ ფრეიმები (ნეიტრალური ფრეიმების ჯგუფი), „პასუხისმგებლობის“, „პროგნოზის“ და „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმები (გამამტყუნებელი ფრეიმების ჯგუფი).

მედიაში აბორტის/სელექციური აბორტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას სახელმწიფო და ეკლესია ლიდერობენ. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები წამოსწევენ წინ თემებს და შესაბამისად, ყველაზე ხშირად სახელმწიფო მოხელეები და მართლმადიდებელი სასულიერო პირები არიან ინფორმაციის წყაროები. სახელმწიფოს წარმომადგენლები სხვადასხვა ინიციატივების, საკანონმდებლო აქტების შემუშავებისა(რომელიც სელექციური აბორტის აკრძალვას ეხება) და მათი გაჟღერების გზით, რომ გადაჭრან პრობლემა, რომელიც სახელმწიფოსთვის დემოგრაფიულ და ეროვნულ საკითხებთან არის დაკავშირებული. ხოლო ეკლესია აქტიურად იყენებს თავის ტრიბუნას (ეპისტოლეების გავრცელების გზით), რომ შეახსენოს საზოგადოებას აბორტის პრობლემა, როგორც ამორალური და უარყოფითი მოვლენა. ამ ორი ინსტიტუტის აქტიურობა ახალი ამბებისათვის მიმზიდველია, შესაბამისად, მათ მიერ გავრცელებული მესიჯები ყველაზე მეტად დომინირებენ მედიაში.

სელექციური აბორტის გაშუქებისას, მედია აშუქებს რა სხვადასხვა მოვლენებსა და მონაცემებს, სელექციურ აბორტს, ზოგადად, უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. წამყვანი აქტორი აქ სახელმწიფოა, რომელიც სელექციური აბორტის თემის გადაჭრას აქტიურად ცდილობს სხვადასხვა

საკანონმდებლო ინიციატივებით, რაც აკრძალვაზეა ორიენტირებული და ისევ და ისევ ნაციონალური და დემოგრაფიული საკითხებითაა პირობადებული. სელექციური აბორტის მიმართ, აბორტთან შედარებით, ეკლესია ნაკლებად აქტიურობს.

კონსერვატიული მიმართულების მედიაში, აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმების გამოყენების მეტი ალბათობაა, ვიდრე ნეიტრალური, გამამართლებელი და ამბივალენტური ფრეიმების, თუმცა, სქესთან შეჭიდული აბორტის გაშუქებაში გამამტყუნებელი და ნეიტრალური ფრეიმები თანაბრად გამოიყენება და ორივე სჭარბობს გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს. ზოგადად, კონსერვატიული მედიასაშუალებები გაცილებით უფრო იშვიათად ინტერესდებიან თემით, ვიდრე ლიბერალური და ცენტრისტული მედიასაშუალებები საკითხის გამოხატულად ნეგატიურად გაშუქების ფონზე. კონსერვატიული მედიასაშუალებები ბევრად უფრო ნაკლები სიხშირით აშუქებენ თემას, განსხვავებით, ლიბერალური და ცენტრისტული მედიისგან, რომელიც უფრო ხშირად აშუქებენ ამ თემას.

ლიბერალური მიმართულების მედიაში, აბორტის ნეიტრალური ფრეიმების გამოყენების მეტი ალბათობაა, ვიდრე გამამტყუნებელი, გამამართლებელი და ამბივალენტური ფრეიმების. ლიბერალური მედია ყველაზე ხშირად აშუქებს თემას. რაც შეეხება სელექციური აბორტის გაშუქებას, ლიბერალურ მედიაში ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები დაახლოებით ერთნაირი სიხშირით გამოიყენება, და სჭარბობს გამამართლებელი და ამბივალენტური ფრეიმების გამოყენებას.

ცენტრისტული ღირებულებები მედიის საინფორმაციო კონტენტში აბორტის ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები დაახლოებით ერთნაირი სიხშირით გამოიყენება, და სჭარბობს აბორტის გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს. თუმცა, სელექციური აბორტის თემაზე მომზადებულ მასალებში ნეიტრალური ფრეიმები სჭარბობს აბორტის გამამტყუნებელ, აბორტის გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს.

ჩვენ ასევე ვვარაუდობდით, რომ ლიბერალური მედიასაშუალებები უფრო ხშირად გააშუქებდნენ აბორტის გამამართლებელ ფრეიმებს, თუმცა, ვარაუდი არ გამართლდა.

ყველა მასალა, რომლებშიც გვხვდებოდა ნეიტრალური ფრეიმები, მიუხედავად მათი ნეიტრალური (ახალი ამბის ფორმატის), შეფასებისგან დაცლილი ბუნებისა, აბორტს განიხილავდა, როგორც უარყოფით მოვლენას.

აბორტის გამამტყუნებელ ფრეიმებს ყველა მედია საშუალება ავრცელებს, მიუხედავად მისი ლიბერალური თუ ცენტრისტული მიმართულებისა.

ყველა მედიამასალაში (აბორტი/სელექციური აბორტი) აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აბორტის გამამართლებელ ფრეიმებზე მეტია.

# თავი 5. თვისებრივი კონტენტანალიზის შედეგები - კომპონენტი 2

მედია კონტენტის თვისებრივი შესწავლისას მოხდა მედია მასალების თემატური ანალიზი ოთხი ტიპის (გამამტყუნებელი, გამამართლებელი, ნეიტრალური, ამბივალენტური) ფრეიმების ფარგლებში გადმოცემული მნიშვნელობების დასადგენად.

თემატური ანალიზის მიზნით, მოხდა სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ ოთხივე ტიპის ფრეიმში გადმოცეუმული მასალების დაჯგუფება, საერთო დომინანტური თემების იდენტიფიცირება და მნიშვნელობების ინტერპრეტაცია. გამოიკვეთა ფრეიმინგული ინსტრუმენტები, კერძოდ  მეტაფორები (metaphors, მაგალითები (exemplars), ფრთიანი ფრაზები (catchphrases), აღწერითი ფრაზები (depictions), სხვა, რომლებიც ლინგვისტური ინსტრუმენტების როლს ასრულებს და მაქსიმალური ექსპრესიულობით გამოხატავს სათქმელს (Gamson & Modiliani, 1989).

## 5.1  გამამტყუნებელი ფრეიმები

კვლევამ გამამტყუნებელ ფრეიმებთან დაკავშირებით სამი საკვლევი კითხვა დააყენა:  ***რა თემებს უკავშირდება აბორტის/სელექციური აბორტის გამატყუნებელ ფრეიმი (RQ4)? რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის გამამტყუნებელ ფრეიმინგს მედია (RQ5)? რა როლი აქვს  ქალს ამ დისკურსში (RQ12)?***

როგორც ჟურნალიტური მასალების ანალიზი აჩვენებს, გამამტყუნებელი ტიპის ფრეიმებში („ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“, „პროგნოზის“, „პასუხისმგებლობის“, „მორალის“, „რელიგიის“, „ემბრიონის“,„სტიგმის,“ „გენდერის“ და  „უსაფრთხოების,“ფრეიმები) აბორტი უარყოფით მოვლენადაა წარმოჩენილი, მეტიც, მასალათა ნაწილში

აბორტი **„მკვლელობად“** მოიხსენიება. აბორტი ქრისტიანული რელიგიისა და მორალის ნორმებთანაა დაპირისპირებული.

აბორტი ერისთვის, სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველია, ვინაიდან გადაშენებითა და გაქრობით ემუქრება. აბორტთან დაკავშირებული პროგნოზიც უიმედოა.

სელექციური აბორტიც დემოგრაფიულ ჭრილში განიხილება -- როგორც მოსახლეობის კლების და ერის გადაშენების განმაპირობებელი ფაქტორი.

ამ დისკურსის ძირითადი წყაროები სახელმწიფო მოხელეები და რელიგიური ლიდერებია. ხშირია საუბარი სახელმწიფოს დემოგრაფიული სტრატეგიასა და განხორციელებულ ინიციატივებზე. სახელმწიფოს მიერ ინიცირებული რეგულაციები აღმატებულად პოზიტიურად ფასდება. დემოგრაფიული პოლიტიკა და აბორტთან გამკლავების გეგმა ქვეყნის პრიორიტეტული სტრატეგიული განვითარების ნაწილადაა წარმოჩენილი. სელექციური აბორტი სახელმწიფოს მიერ კრიმინალიზებულია.

სახელმწიფოს მიერ აბორტის და სელექციურიო აბორტის საწინააღმდეგო სტრატეგიაში ქალს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი - ერის გამრავლების ინსტრუმენტის. სახელწიფომ უნდა დაიცვას ქალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, რომელიც აბორტის გამო საფრთხეშია. ქალისთვის და მის ნაცვლად სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებებს.

სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ რიტორიკაში აბორტის გამტყუნებასთან ერთად, ამ საკითხთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკა დადებითადაა წარმოჩენილი, რაც წინააღმდეგობრივია; ერთის მხრივ, ყველაფერი ცუდად არის, აბორტის გამო ერს გადაშენება ემუქრება, მაგრამ ამ პირობებშიც კი სახელმწიფოს გატარებულ პოლიტიკას დადებითი შედეგები მოაქვს და „ ჩვენ იმაზე მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა ვყოფილიყავით”(„ინტერპრესნიუსი“, 11.03.2014 ).

აბორტის გაშუქების სტილი სენსაციური და დრამატულია. ფრეიმინგულ ინსტრუმენტებად მეტაფორები და ფრთიანი ფრაზებია გამოყენებული, ან სხვადასხვა მხატვრული ფორმატი, მაგ. ლექსი. ჭარბობს

ისეთი ექსპრესიული სიტყვები და გამოთქმები, როგორებიცაა „მკვლელობა“, „გადაშენება“, „კატასტროფული ვითარება,“ „ნაყოფის სიცოცხლის შეწყვეტა,“ „მძელად მოსანანიებელი ცოდვა,” “ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახე“, „სასიკვდილო განაჩენი მუცლად მყოფი ნაყოფისათვის“, “ჩვილების ... უმოწყალო ხოცვა,” „გამოუცხადებელი ომი საკუთარი შვილების წინააღმდეგ“.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნულ ტიპში გაერთიანებული ფრეიმების უფრო დეტალური ანალიზი და მედიამასალებიდან ამონარიდები კვლევის მიგნებების საილუსტრაციოდ.

### 5.1.1 „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმი

„ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმში აბორტი თემატურად დემოგრაფიულ განვითარებას უკავშირდება. უმეტეს მასალებში, აბორტი დემოგრაფიულ კატასტროფასთან და ერის გადაშენებასთან არის გაიგივებული. გაზეთი „ალია“ აბორტების რიცხვის ზრდას „კატასტროფულ ვითარებად” აფასებს (“ალია”, 12.03.2014), ხოლო “ინტერპრესნიუსი” აცხადებს, რომ „დღეს, ჩვენი ქვეყნისთვის, ეს არის დიდი პრობლემა დემოგრაფიული თვალსაზრისით ("ინტერპრესნიუსი“, 04.05.2015). „ნეტგაზეთიც“ აცხადებს, რომ ქვეყანაში „კატასტროფული ვითარებაა აბორტების თვალსაზრისით" („ნეტგაზეთი“, 11.03.2014);

ამ ტიპის დისკურსში სხვადასხვა ეფექტური ლინგვისტური ფორმების გამოყენებით ხდება დემოგრაფიული საფრთხის გაძლიერება, კერძოდ, აბორტი მკვლელობად მოიხსენიება; ამასთან, გამოიყენება ზმნის პირველი პირი, რაც ემოციას და მიჯაჭვულობას ამძაფრებს. საილუსტრაციოდ,“ინტერპრესნიუსი” აცხადებს, რომ “270-დან 400 აბორტამდე თვეში - ქვეყნის მოსახლეობის 3-4 პროცენტს ჩვენ ყოველ წელს ვკლავთ („ინტერპრესნიუსი“, 11.03.2014). “ალია” კი აცხადებს, რომ აბორტების რიცხვით "ევროპაში პირველები ვართ... ანუ ყველაზე მკვლელი ერი, რომელიც რომელიც საკუთარ შთამომავლებს ამ გზით [აბორტით] ანადგურებს (“ალია”, 22.04.2015).

„ალია“ მოსახლეობის ქვე-ჯგუფების დემოგრაფიულ ვითარებაზეც ამახვილებს ყურადღებას და გვთავაზობს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ ქალებს აბორტის ნებართვა არ უნდა მიეცეს, რაც სავარაუდოდ დევნილობაში მყოფი მოსახლეობის გამრავლებას შეუწყობს ხელს „ორი კვირის წინ ჯანდაცვის პროგრამების ხელმძღვანელმა ვატო სურგულაძემ სამშობიაროს ექიმები თავისთან დაიბარა. თათბირზე ექიმებს ცალსახად მოახსენეს, რომ დევნილი ქალებისთვის აბორტი არ უნდა გაეკეთებინათ” (“ალია”, 11.09.08). ტექსტის სიმცირის და ერთეული მაგალითის გამო შეუძლებელია კონკრეტული და განზოგადებული დასკვნის გაკეთება, თუმცა ეს მაგალითი მკვეთრად მიზოგინისტური შინაარსისაა და განსხვავებული, ქალ უმცირესობათა ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე მიუთითებს.

სელექციური აბორტიც დემოგრაფიულ ჭრილში განიხილება, როგორც მოსახლეობის კლების და ერის გადაშენებიც საფრთხე. ასე, მაგალითად, „ლიბერალი“ აცხადებს:

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ე.წ. შერჩევითი(სელექციური)აბორტები, ანუ სქესის დადგენის შემდეგ არასასურველი სქესის მქონე ნაყოფის სიცოცხლის შეწყვეტა. აბორტების საერთო რიცხვიდან მსგავსი აბორტების ოდენობა თითქმის ნახევარს აღწევს. საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს მსგავსი აბორტები“ (“ლიბერალი”, 03.102015).

იგივე მოსაზრებას სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ შემდეგნაირად ახმოვანებს: „აღსანიშნავია სელექციური აბორტები, როცა გოგონებს სიცოცხლის გაგრძელების უფლებას არ აძლევენ და არჩევანს ბიჭებზე აკეთებენ. ამან გარკვეულწილად დემოგრაფიული პრობლემა შექმნა.“

დემოგრაფიული კატასტროფის საპირწონედ სახელმწიფოს ქმედითი ღონისძიებებია დასახული. ამ თემის გამხმოვანებლები უფრო ხშირად სახელმწიფოს იფიციალური, მაღალი თანამდებობის პირები არიან (პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის უფროსი, პრემიერ-მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი). მათი თქმით, მიუხედავად პრობლემებისა, წინსვლას

მაინც აქვს ადგილი. გაზეთი “ალია”-ს სტატიაში, მაგალითად, აღნიშნულია, რომ „საქართველოს ხელისუფლება დემოგრაფიულ პოლიტიკას ქვეყნის განვითარების მთავარ ნაწილად მიიჩნევს - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება გამოწვეულია ხელისუფლების მხრიდან თანმიმდევრული და ეფექტური პოლიტიკის გატარებით, რაც გამოიხატა შობადობის გაზრდაში, აბორტების შემცირებაში და ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში (“ალია”, 18.09.2014). იმავე გაზეთში, ერთ-ერთი საჯარო მოხელე აცხადებს, რომ „როდესაც ჩვენ დემოგრაფიულ პროგრამაზე მუშაობა დავიწყეთ, შობადობის კოეფიციენტი შეადგენდა - 1.6-ს, 2013 წელს გახდა - 1.7, ხოლო დღეს უკვე ეს მაჩვენებელი საგრძნობლად - 2.0-მდე გაიზარდა“ (“ალია”, 17.04.2015).

მოცემული ფრეიმის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ აბორტის პოლიტიკასთან გატარებული მეთოდები და მოქმედებები პოზიტიურად არის წარმოჩენილი. მედია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბოლო მონაცემებით, საქართველოში აბორტების რაოდენობამ იკლო, რაც გატარებულ დემოგრაფიულ პოლიტიკასთან ასოცირდება:

აბორტების შემცირება გამოიწვია ასევე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობამ, განსაკუთრებით მშობიარობის დაფინანსებამ სახელმწიფოს მხრიდან; ორსულთა უზრუნველყოფამ საჭირო მედიკამენტებით; დეკრეტული შვებულების გაზრდამ და სოციალურმა დახმარებამ შობადობის წახალისების კუთხით რეგიონული პრინციპით, ყოველ მესამე და შემდგომ ახალშობილზე გაიცემა ფულადი დახმარება ბარში - 150, ხოლო მთაში - 200 ლარის ოდენობით. ამ ინიციატივებმა აბორტის გაკეთება ბევრს გადააფიქრებინა („ინტერპრესნიუსი“, 22.04.2015).

ხშირად სახელმწიფოს წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, იმის გამო, რომ მათი წარმატებული პოლიტიკა და საქმეები დაუფასებელია.

დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის ტყვეობაშია. ხალხმა არ იცის, რა კეთდება რეალურად საქართველოში”, ეს ინფორმაცია საერთოდ არ მიწოდებია მოსახლეობას.

უფრო მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგალითად დემოგრაფიაში, ის, რომ შემცირდა აბორტები, გაიზარდა შობადობა, რომ ჩვენ იმაზე მეტნი ვართ, ვიდრე შეიძლებოდა ვყოფილიყავით („ინტერპრესნიუსი“, 11.03.2014).

როგორც აღვნიშნეთ, „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმის ფარგლებში, ხელისუფლება მის მიერ გატარებულ დადებით პოლიტიკაზე საუბრობს. ასე, მაგალითად, „ინტერპრენიუსის“ სტატიაში, რომელშიც წყარო - საჯარო მოხელე სახელმწიფოს წარმატებებს ამგვარად ასახავს:

ნუ გააუფერულებენ ჩვენს ორწლიან შრომას. თავისით არაფერი არ ხდება ცხოვრებაში, ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი და მიზანი. მიზეზი იყო ის, რომ 2004-2012 წლებში დაფიქსირდა აბორტების მყარად ზრდადი დინამიკა, ხოლო 2013-2014 წლებში აბორტების რაოდენობის კლება. ჩვენი მიზანია აბორტების რაოდენობა მინიმუმამდე დავიყვანოთ საქართველოში და ეს ხდებოდეს მხოლოდ სამედიცინო ჩვენების შედეგად. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ოჯახმა არ მიიღოს ეს მძიმე გადაწყვეტილება. ამისთვის მთავრობასთან ერთად ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას („ინტერპრესნიუსი“, 22.04.2015).

დემოგრაფიულ პოლიტიკას საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის განვითარების მთავარ ნაწილად მიიჩნევს და სტრატეგიულად უდგება; „დემოგრაფიული პრობლემა ავიდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში - შეიქმნა სამთავრობო ჯგუფი, რომელსაც თავად პრემიერი უხელმძღვანელებს", აცხადებს “ალია”, (12.03.2014), ხოლო “ინფო 9” აცხადებს, რომ „სიცოცხლის უფლება დაცული უნდა იყოს, ოღონდ დაცული უნდა იყოს არა გაუთვლელი მექანიკური ნაბიჯებით, არამედ სტრატეგიულად გააზრებული სქემით“ ( “ინფო 9”, 10.05.2013).

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება გამოწვეულია ხელისუფლების მხრიდან თანმიმდევრული და ეფექტური პოლიტიკის გატარებით, რაც გამოიხატა „შობადობის გაზრდაში, აბორტების შემცირებაში და ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში“ (“ალია”, 18.09.2014).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ „ნაციონალისტურ-დემოგრაფიული“ ფრეიმი აბორტის პრაქტიკას დემოგრაფიულ კატასტროფას და ქვეყნის გადაშენებას უკავშირებს. ამ დისკურსის გამხმოვანებლები სახელმწიფო ავტორიტეტული პირები არიან, რომლებმაც იციან, როგორ უნდა გადაარჩინონ ქვეყანა ამ განსაცდელისგან, რომელიც უნაყოფობასთან, სიკვდილთან არის ასოცირებული. საინტერესოა, რომ აბორტის რიცხვის მიხედვით ევროპაში და მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე მდგომ სახელმწიფოს, ამასთან, აბორტთან მიმართებაში წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკა აქვს. რომ არა სახელმწიფოს ძალისხმევა, უფრო ცუდად იქნებოდა საქმე. სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას ვერ აფასებს მოსახლეობა, რომელიც მედიის ნეგატიური ინფორმაციის ტყვეობაშია. ამ ფრეიმში გადმოცეულ მასალებში სელექციურ აბორტზეც დემოგრაფიულ ჭრილშია საუბარი. სახელმწიფო აწესებს პოლიტიკას, რომელიც ქალებს სელექციურ აბორტს უკრძალავს, გამრავლების ხელშემწყობი ინიციატივებით, მაგალითად, ფულადი დახმარებით გამრავლებას უწყობს ხელს.

### 5.1.2 „პროგნოზის“ ფრეიმი

„პროგნოზის“ ფრეიმში გადმოცემულ მასალებზე მომავალზე და აბორტის შედეგებზეა აქცენტი. მედია პროგნოზი უარყოფითია, როგორც აბორტის აკრძალვის, ისე მისი დაშვების შემთხვევაში. ერთის მხრივ, აბორტის რიცხვი იზრდება და  მოსალოდნელია დემოგრაფიული კატასტროფა და სქესთა თანაფარდობის დარღვევა („როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის“ - “ალია”, 12.03.2014); მეორეს მხრივ, აბორტის აკრძალვამ შეიძლება უარყოფითი შედეგები მოიტანოს, მაგალითად, „არარეგისტრირებული აბორტების რაოდენობის გაზრდა გამოიწვიოს და შეიძლება სიკვდილიანობამ მოიმატოს” („ინტერპრესნიუსი“, 08.01.2014); “ინტერპრესნიუსი”ს წყარო აღნიშნავს, რომ „ზოგადად, აბორტების

აკძალვასთან დაკავშირებით ასეთი რადიკალური ვერ ვიქნები, რადგან ამან შეიძლება არარეგისტრირებული აბორტების რაოდენობის გაზრდა გამოიწვიოს და შეიძლება სიკვდილიანობამ მოიმატოს („ინტერპრესნიუსი", 08.01.2014)

ამგვარად, „პროგნოზის" ფრეიმში მედია მაშინ საუბრობს, როდესაც აქცენტს აბორტთან დაკავშირებულ სამომავლო პრობლემებზე და უარყოფით შედეგებზე უნდა, რომ გაამახვილოს ყურადღება. პროგნოზი უმეტესწილად უარყოფითად ხასიათდება, მაგალითად სიკვდილთან(„ სიკვდილიანობის მომატება" არის დაკავშირებული.

### 5.1.3 „პასუხისმგებლობის" ფრეიმი

„პასუხისმგებლობის" ფრეიმში გადმოცემული მასალებში, მედია აბორტის და აბორტით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობის დაკისრებას ცდილობს.

„პასუხისმგებლობის" ფრეიმი  აბორტს უარყოფით მოვლენად აღიქვამს და მასზე პასუხისმგებლობას პირველ რიგში, ქალს, დედას აკისრებს, დედას, „რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა („ნიუპოსტი",  07.01.2015). ამ ტიპის დისკურსში ემბრიონი ცოცხალ არსებად არის წარმოდგენილი, აბორტი კი, შესაბამისად, მკვლელობაა, რომელიც დასჯადი უნდა იყოს: „ჩანასახი არის ცოცხალი ადამიანი და მისი მკვლელობა უნდა იყოს დასჯადი" („ლიბერალი", 7.05.2013).

ქალი პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც მიადგება თავად მას,  ნაყოფს, ოჯახს და სახელმწიფოს. ქალის პასუხისმგებლობაა რეპროდუქცია, სიცოცხლის გაგრძელება და ოჯახის კეთილდღეობა. ქალის უმთავრესი პასუხისმგებლობაა აბორტის თავიდან აცილება: „დედამ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე დგას და ამ პრობლემის გადაჭრის რა გზას ირჩევს" („ინტერპრესნიუსი", 10.01.2014). შესაბამისად პრობლემა აღმოიფხვრება, თუ ქალი გადაწყვეტილებას შეცვლის და „თუ თვითონ ქალები არ წავლენ აბორტზე" („ინტერპრესნიუსი", 10.01.2014).

ადამიანს თანამედროვე ცივილიზაციაში შეუძლია თავი აიცილოს არასასურველი ორსულობისგან. ამისათვის ღმერთმა შექმნა ქალის ციკლი, გამოიყენე, შექმნა მექანიკური წინააღმდეგობები, როგორც კაცის მხარეს, ისე ქალის მხარეს, გამოიყენე. გამოიგონა ქალის შიდა მექანიკური წინააღმდეგობები, სპირალები, ქოლგები და უამრავი სხვა რამ და გამოიყენე. რატომ ხარ ამ საკითხში ასეთი ჰარი-ჰარალე („ინტერპრესნიუსი", 10.01.2014). ამ პასაჟში საინტერესოა, რომ ტექსტი ექიმს ეკუთვნის.

ქალს აბორტზე პასუხისმგებლობას ძალიან ავტორიტეტული პირები აკისრებენ: პატრიარქი, პრემიერ-მინისტრი, ექიმები. "ინტერპრესნიუსი" პრემიერ-მინისტრს ღარიბაშვილს ციტირებს, რომელიც ამბობს:

„პირადად მე ვარ წინააღმდეგი აბორტის, თუ რაღაც განსაკუთრებული აუცილებლობა არ არის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, აბორტი არ უნდა გააკეთოს არც ერთმა მოსიყვარულე ოჯახმა, ასე ვუყურებ ამ საკითხს. ცოლ-ქმარს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და რაც მთავარია  უნდა იფიქრონ მატებაზე და შვილებზე და არა მათ მოკვლაზე" ("ინტერპრესნიუსი", 07.01.2015).

პასუხისმგებლობის ჭრილში გადმოცემული დისკურსის მთავარი წყაროები რელიგიური პირები და სახელმწიფო მოხელეები არიან. განსაკუთრებით აქტიურია პატრიარქი, რომელიც ეპისტოლეებში აბორტის თემას ხშირად ეხება და ამით მედიადისკურსს ბიძგს აძლევს:

უნდა მივმართო ყველას, რომ უნდა შეწყდეს აბორტები საქართველოში. უნდა გახსოვდეთ, რომ აბორტი არის შვილის კვლა. ეს არის უდიდესი ცოდვა და განსაკუთრებით მინდა მივმართო ექიმებს, რომლებიც აბორტებს აკეთებენ, რომ ეს არის უდიდესი და საშინელი ცოდვა თქვენთვის, ამიტომ უნდა შეწყდეს აბორტები და ღმერთი რამდენ შვილსაც მისცემთ, იმდენი შვილი უნდა იყოლიონ, - აღნიშნა პატრიარქმა („ინტერპრესნიუსი", 18.05.2015)

პასუხისმგებლობა ექიმსაც ეკისრება. ექიმი, მშობლებთან ერთად „მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა"; აბორტის პროვაიდერები „არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას" („ნიუპოსტი",  07.01.2015).

აბორტი არის მშობლების გადაწყვეტილებითა და მონდომებით სრულიად უსუსური, უდანაშაულო არსების საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის უშუალო თანამონაწილეა ექიმიც. დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, - არც სახელმწიფო და არც საზოგადოება (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 05.05.2013)

პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოსაც. სახელმწიფოს ვალდებულებაა კანონმდებლობის გამკაცრების გზით გადაჭრას აბორტის პრობლემა.

აბორტს და მუცლის მოშლის გამომწვევ საშუალებებს კრძალავდნენ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, ისევე როგორც რომის იმპერიაშიც; მითუმეტეს, ქრისტეს ეკლესია მას განიხილავდა და განიხილავს როგორც უმძიმეს მომაკვდინებელ ცოდვას. დღეს, როდესაც ასეთი მძიმე მდგომარეობაა დემოგრაფიული თვალსაზრისით, ვფიქრობთ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო კანონი აბორტის აკრძალვისათვის. რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც უნდა იყოს გათვალისწინებული (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 05.05.2013).

საინტერესოა მედიის პასუხისმგებლობის დისკურსიც. ხშირად მედიაწყაროები პასუხისმგებლობას მედიასაშუალებებს აკისრებენ. ამ მესიჯებს სახელმწიფო მოხელეები და ექიმებიც ახმოვანებენ. მედიის როლი აბორტის აცილებაში დიდია, ვინაიდან „მასმედიის საშუალებებს შეუძლიათ უდიდესი დადებითი როლი შეასრულონ და დიდი მადლიც მოიპოვონ, თუ შექმნიან სათანადო განწყობას მრავალშვილიანობის წასახალისებლად და აბორტის საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად" („ინტერპრესნიუსი“, 10.01.2014). „ინტერპრესიუსი“ პასუხისმგებლობას როგორც მედიას, ისე მის აუდიტორიას - საზოგადოებას აკისრებს, ამტკიცებს, რომ აბორტის თემას „კარგი გამშუქებელი აკლია, და რაც მთავარია - აკლია ყური, რომელიც ამას მოისმენს“ („ინტერპრესნიუსი“, 10.01.2014).

პასუხისგმებლობის ჭრილში ასევე განიხილება დაბალი რეპროდუქციული წიგნიერება:

ადამიანები დედობისთვის და მამობისთვის უნდა მოემზადნონ. ვნება სხვა არის, ლიბიდო სხვა არის და ოჯახური პასუხიმგებლობა სხვა არის. ეს განასხვავებს ადამიანს ცხოველისაგან. ამიტომ, ჩვენ, დედას- მამას, ბებია-ბაბუას, მოძღვარს, ექიმს, მასწავლებელს, ყველას გვევალება, რომ გოგონას და ვაჟს, რომლებსაც ჩვენს ჩამნაცვებლად ვზრდით, არ უნდა დავიზაროთ ახსნა-განმარტება, რომ ხელოვნური აბორტი ცუდია („ინტერპრესნიუსი“, 10.01.2014).

„პასუხისმგებლობის“ ფრეიმი აბორტს უარყოფით ჭრილში განიხილავს, მთავარი პასუხისმგებლობა ქალს ეკისრება, რომელმაც ერის გადარჩენასა და სიცოცხლის გაგრძელებაზე უნდა იზრუნოს. მესიჯის მთავარი გამხმოვანებლები სახელმწიფო მოხელეები და პატრიარქია. ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა დედას ეკისრება, თუმცა, პასუხისმგებლობა ასევე ნაწილდება ექიმებზე, მედიაზე, საზოგადოებაზე. ყველაზე ხშირად „პასუხისმგებლობის“ ფრეიმში გამოიყენება სიტყვა „უნდა“ რომელსაც უმეტესწილად მამრობითი სქესის და ავტორიტეტული და ძალაუფლების მქონე პირები იყენებენ ყველაზე ხშირად, მიმართვის ადრესატები ქალები არიან.

### 5.1.4 „მორალის“, „რელიგიის“ და „ემბრიონის“ ფრეიმები

„მორალის“, „რელიგიის“ და „ემბრიონის“ ფრეიმი შეესაბამება პრონატალისტურ დისკურსს. ამ ტიპის მასალებში აბორტი წარმოჩენილია, როგორც „ძნელად მოსანანიებელი ცოდვა” („საზოგადოებრივი მაუწყებელი“, 05.05.2013), ამორალური საქციელი და “მალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახე („ნიუპოსტი“, 07.01.2015).

მედია ემბრიონს ცოცხალ არსებად, ხოლო აბორტს - მკვლელობად წარმოაჩენს. აბორტი „სასიკვდილო განაჩენია მუცლად მყოფი ნაყოფისათვის („ინტერპრესნიუსი“, 10.01.2014) და “ჩვილების ... უმოწყალო ხოცვა” („საზოგადოებრივი მაუწყებელი“, 05.05.2013).

ცოცხალი ორგანიზმი ჩასახვის მომენტიდანვე გარკვეული გენის მქონეა. მასში კოდირებულია სქესი, სისხლის ჯგუფი, ხასიათი, თვალის ფერი და ნიჭიც კი. სამყაროში ყველაზე რთული უჯრედი გრძნობს ტკივილს, გააჩნია მიზანმიმართული რეაქციები, გარემო პირობებზე და რაც მთავარია აქვს სიცოცხლის სურვილი“ (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 17.06.2014).

ამ დისკურსის მთავარი გამხმოვანებელი ეკლესიაა. ეკლესია ამტკიცებს, რომ „მუცელში მყოფ ადამიანს აქვს სული”, შესაბამისად, აბორტი უმთავრეს ქრისტიანულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. “ინტერპრესნიუსი”ს წყარო ასე მიმართავს აბორტის გადაწყვეტილების მიმღებ მშობელს: აბორტის გაკეთების გადაწყვეტილების მიმღებს ვეუბნები - შენ ადამიანო, რატომ ამბობ უარს უფლის საჩუქარზე? („ინტერპრესნიუსი, 10.01.2014).

ამიტომ, „ხელოვნური აბორტი ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აკრძალული უნდა იყოს” („ნეტგაზეთი“,03.10.2013). ყველაზე ხშირად ამ ფრეიმის შესატყვისი შინაარსის ტექსტი პატრიარქის ეპისტოლეებში გვხვდება.

პატრიარქი და ეკლესია ებრძვის აბორტს, „როგორც მიუღებელ ფორმას და უდიდეს ცოდვას... უწმინდესის სიტყვებს ძალიან დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე" („ინტერპრესნიუსი“, 22.04.2015).

რელიგიური პირების შეფასებით, მედიკამენტოზური აბორტიც დაუშვებელია, რადგან მისი საბოლოო შედეგი სიკვდილია. რელიგიური პირები ასევე, ეხმიანებიან მატერიალური პრობლემების გამო აბორტს. დედებს მოუწოდებენ გააჩინონ ბავშვები, რადგან „უფალი გვაძლევს მათი რჩენის საშუალებას”. გამოსავალი უიმედოა: „და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მილიონამდე აბორტი კეთდება და ამის შემჩერებელი ჯერჯერობით არავინ არის“ (“ალია”, 12.03.2014).

აბორტის ამორალურობას ნეტგაზეთი შემდეგნაირად გადმოსცემს: „რომ არაფერი ითქვას დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და აქ აბორტის,

როგორც ერთ-ერთი ფაქტორის, უარყოფით როლზე, თავისთავად სიცოცხლის მოსპობა ჩანასახში უმძიმესი ქმედებაა" („ნეტგაზეთი", 03.10.2013).

არის მხოლოდ ერთი გამოსავალი - მონანიება. აბორტის ცოდვა, როგორც საეკლესიო პირები ხსნიან, ადამიანმა აუცილებლად მოძღვართან უნდა მოინანიოს: „თავისი შვილების ხოცვა, ვინც ჩაიდინა ეს ცოდვა, მხურვალედ მოინანიოს, ვინც აპირებს, შეჩერდეს, თითოეულმა ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ხმა აბორტის დამღუპველობის შესახებ ყველას მივაწოდოთ. აბორტი არის დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე" ( "ერთსულოვნება", 03.07.2014).

ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ მაინც მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ („ნიუპოსტი", 07.01.2015)

აბორტი ქალისთვის სირცხვილის სინანულის, დანაშაულის შეგრძნების წყაროა. ეს ემოციები მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგრძელდება, ქალის მომავალ შვილოსნობაზე და ბედნიერებაზე აისახება: „დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს" („ნიუპოსტი", 07.01.2015).

მედია ეკლესიის პრეროგატივად მიიჩნევს აბორტის აკრძალვას ან ლეგალიზებას. აბორტის მომხრეებიც კი აღიარებენ ლიბერალური მედიაარხებით, რომ ისინი ეკლესიას მიიჩნევენ აბორტის საკითხში უმნიშვნელოვანეს აქტორად: „ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ეკლესია არ ეცდება, თავისი გავლენა გამოიყენოს აბორტების ასაკრძალად" ("ლიბერალი", 13.05.201).

პატრიარქის ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებებზე დადებით კომენტარებს საქართველოს ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლები

აკეთებენ. საერთოდ, პატრიარქის ეპისტოლე ხდება საზოგადოებაში აბორტის თემაზე ტონის შემომტანი და დისკუსიის ხელშემწყობი, „საინტერესო, ღრმა და შინაარსობრივად დატვირთული" როგორც ეპისტოლეს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი უწოდებს ("ინტერპრესნიუსი", 05.02.2014).

ხშირად წყაროები პატრიარქის ეპისტოლეს საკუთარი რეფლექსიებით ეხმიანებიან, საიდანაც აზრის გამოტანა რთულია. მაგალითისათვის ეს მასალა გამოგვადგება: „აბორტი შეიძლება მოხდეს თვითნებითად. ქალს ძალიან უნდა შვილის შენარჩუნება, უამრავ წამალს დალევს, ექიმთან ივლის, მაგრამ არ შერჩება გამოაძევებს. ეს ქალებისთვის ტრაგედია და სიკვდილია, სახლში გლოვაა" („ინტერპრესნიუსი",10.01.2014).

ამ ფრეიმის ფარგლებში, ტექნოლოგიური პროგრესი და ლიბერალიზმი ნეგატიურად ფასდება: „მათთვის [აბორტის მომხრეებისთვის] მეცნიერული პროგრესი აბსოლუტიზებულია და მიიჩნევენ, რომ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, უნდა გაკეთდეს. ეს ეთიკური სოფიზმია, რადგან ის, რაც ტექნოლოგიურად მიღწევადია, ყველაფერი როდია მორალური და სასარგებლო" („ინტერპრესნიუსი", 07.01.2014).

„მორალის", „რელიგიის" და „ემბრიონის" ფრეიმის მიხედვით, აბორტი წარმოჩენილია, როგორც მომაკვდინებელი ცოდვა, რომელსაც აქვს უარყოფითი შედეგები, მაგალითად აისახება ქალის შვილოსნობასა და ბედნიერებაზე. საინტერესოა, რომ ამ ფრეიმების ფარგლებში ქალებს მხოლოდ ერთ გამოსავალს უტოვებენ-ეს არის ცოდვის მონანიება, რაც მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი. ამ დისკურსის მთავარი გამხმოვანებელი ეკლესიაა. ის გვეუბნება, რომ მუცლად მყოფი ნაყოფი ადამიანია და მას აქვს სული, შესაბამისად, აბორტი ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აკრძალული უნდა იყოს. ამ ფრეიმის მიხედვით, აბორტის პოლიტიკის გატარება ეკლესიის პრეროგატივაა. გამოიყენება ექსპრესიული ენა.

### 5.1.5 „სტიგმის“ ფრეიმი

სტიგმის ფრეიმის შემცველ მასალებში გადმოცემულია სიძულვილის ენა, ცილისწამებლური, ვულგარული, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები და კლიშეები, ქსენოფობიური განცხადებები და სტერეოტიპები, მუქარა, რომელიც აბორტის სტიგმას ქმნის. ტექსტის მიზანია, რომ დაადანაშაულოს აბორტის ჩამდენი ქალი და შეაშინოს მკითხველი.

„ერთსულოვნების“ ეთერში გასული მასალის ტექსტი საიქიოს აღწერს, სადაც აბორტის ცოდვის ჩამდენი მოხვდება. იქ, „ სასახლის მსგავს შენობაში," სადაც იატაკი მოფენილია „ჩასისხლიანებული", „აბორტით მომწყდარი ბავშვებით".

აბორტის უარყოფითად დასახასიათებლად მიმართავენ ენას, რომელიც განსაკუთრებული ექსპრესიულობით ხასიათდება. ასეთებია: „შემზარავი სტატისტიკა" ("რუსთავი 2", 13.06.2011), „გამოუცხადებელი ომი საკუთარი შვილების მიმართ“, „მკვლელობა", „თოთო ხორცი", „წყალს კვლავაც მიაქვს ჩვილების ნაფლეთები", „საკუთარ ჩვილებს ხოცავენ ისე, რომ დაბადებას არ აცლიან, მუცელში მოწყვეტილთა ნარჩენებს კანალიზაციის ბინძურ წყალს ატანენ“, „აბორტი სატანისადმი გაუცნობიერებელი მსხვერპლშეწირვაა", „ადამიანები თავად უწყობენ თავიანთ დაუბადებელ შვილებს სისხლიან კალოს", „ცოდვების გამოა, რომ გაუსაძლისია ჩვენი ყოფა, თუ არ შევაჩერებთ ყრმათა ძმათა კვლას, უფალი არ შეაჩერებს იმ განსაცდელებს, რომელიც განუწყვეტლივ გვატყდება თავს. ღვთისმშობლის წილხვედრს ვერ ექნება ღვთის იმედი"(„ერთსულოვნება“, 19.06.2016; "ერთსულოვნება", 03.07.2014).

ტექსტის ექსპრესიულობა მიიღწევა შედარებების და უარყოფითი შეფასებების გამოყენებით, როგორც ეს გაზეთ „ალია"-ს მასალაშია: „განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტები კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან“ ("ალია", 08.01.2014)?

აბორტის ცოდვის მეტი ექსპრესიულობით გადმოსაცემად, მედია გრაფიკულადაა აღწერს აბორტის შედეგად დაზიანებულ ნაყოფს, როგორც“

საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ამ რეპორტაჟში: „სულუხიამ ღუდუშაურის კლინიკაში გუშინ იმშობიარა. ბავშვი მკვდარი დაიბადა. ექიმებს ეჭვი აქვთ, რომ ფეხმძიმობა ხელოვნურად იყო შეწყვეტილი, რადგან ჩვილ გოგონას ცალი ფეხი ჰქონდა მოკვეთილი და სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღენიშნებოდა“ (“საზოგადოებრივი მაუწყებელი” , 17.06.2014).

აღსანიშნავია, რომ  აბორტის მასტიგმატიზებელ მასალაში სხვადასხვა მხატვრული ხერხები და ფორმატები გვხვდება, მაგალითად, ლექსი:

ლექსი ემბრიონისგან:

ოცნებაში შემიჩერდა დედა წამი.. ნუთუ ასე გატკინე და გაგაწამე, რომ ქმედება ცხოველური დაგჭირდა?

ძლიერ მინდა იმ ალერსის ერთხელ ნახვა.. ამჩეხეს..

მე ნაცემზე უფრო მეტად ნაცემ ნაგვემს…მეორეჯერ შენს თავს სძლიე, რომ და ძმები არ მიკორტნონ ძერებმა ( “ერთსულოვნება”, 03.07.2014).

სტიგმის ფრეიმში აბორტის მიმართ ენა ვულგარული, ექსპრესიული და სტერეოტიპულია, მაგალითად აღწერს ემბრიონის ნაწილებს. ის სხვადასხვა მხატვრულ ხერხებს მიმართავს მთავარი აზრის მეტი ექსპრესიულობით გადმოსაცემად. სტიგმის ფრეიმი ცდილობს შეარცხვინოს, შეაშინოს, დაადანაშაულოს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდოს ადამიანი. აბორტი დაკავშირებულია სიკვდილთან, სატანისტურ რიტუალთან, მისი შედეგია ჯოჯოხეთში მოხვედრა, უღმერთობა, უიმედობა.

### 5.1.6  „გენდერის“ და „უსაფრთხოების“ ფრეიმები

გენდერულ ფრეიმში გადმოცემულ მასალებში მედია აქცენტს ქალის როლზე და ვალდებულებებზე აკეთებს; უსაფრთხოების ფრეიმში კი გადმოცემულია ქალის ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები.

უსაფრთხოების ფრეიმში ჟურნალისტები ქალის ჯანმრთელობაზე აბორტის უარყოფით გავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას. აბორტი იწვევს

უშვილობას, ფსიქიკურ პრობლემებს, მეტიც, აბორტი ქალის სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებს, მაგალითად, არარეგისტრირებული აბორტების შედეგად „შეიძლება სიკვდილიანობამ მოიმატოს" (ინტერპრესნიუს.ჯი, 08.01.2014). „აბორტი კვლავაც რჩება შობადობის კონტროლის ფართოდ გავრცელებულ მეთოდად, რეგიონში მეორადი უნაყოფობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში", აცხადებს "ინტერპრესნიუსი" („ინტერპრესნიუსი", 13.03.2016).

ქალს საფრთხეს სამედიცინო პერსონალიც უქმის, ვინაიდან არ სთავაზობს საკმარის ინფორმაციას ორსულობის შეწყვეტასთან დაკავშირებულ რისკებზე, საფრთხე ექმნება ქალის ფიზიკურ ჯანმრთელობას. გამოსავალი რეგულირებაშია - სახელმწიფოს შემოაქვს ახალი რეგულაციები ქალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის მასალაშია ნათქვამი, „აბორტი რჩება დედისა და ოჯახის უფლებად, მაგრამ დაემატება წინა საკონსულტაციო პერიოდი, სადაც იქნება მიწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია მოსალოდნელი რისკების შესახებ" ("საზოგადოებრივი მაუწყებელი", 26.07.2014).

ამ ტიპის მასალებში ქალების სისუსტეზეა ხაზი გასმული. ქალები ვერ უმკლავდებიან კონკრეტულ გამოწვევებს. მაგალითად, ორსულობას, ვერ იღებენ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას - გაიკეთონ თუ არა აბორტი, ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის გაზრდას, ხდებიან ძალადობის მსხვერპლი. როგორც "ინტერპრესნიუსი"ს მასალაშია ფორმულირებული: "დედამ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე დგას და ამ პრობლემის გადაჭრის რა გზას ირჩევს"(„ინტერპრესნიუსი", 10.01.2014).

ქალის ჯანმრთელობა უმაღლესი ღირებულებაა. ამის გამო, ზოგიერთ მასალაში აბორტის ერთადერთ გამართლებად ქალის ჯანმრთელობაა დასახელებული. აბორტი დასაშვებია, თუ „ბავშვის გაჩენა დედის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის" („ინტერპრესნიუსი", 07.05.2013). ნეტგაზეთის მასალაში ხაზგასმულია, რომ „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა, გარდა დედისათვის სასიცოცხლო რისკის არსებობის

შემთხვევებისა, ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, აკრძალული უნდა იყოს" („ნეტგაზეთი", 03.10.2013).

აბორტის დაკავშირება იშვიათად ხდება ქალის რეპროდუქციულ ქცევასთან და რეპროდუქციულ განათლებასთან, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც რეპროდუქციული განათლების საკითხი ხშირად სხვადასხვა ლინგვისტური მეთოდების გამოყენებით ისევ და ისევ შობადობას და დემოგრაფიულ პრობლემას უკავშირდება:

რაც შეეხება განათლებას, ოჯახის დაგეგმვის კუთხით, ამ მხრივ ვეთანხმები გაეროს, რომ გასაძლიერებელია მუშაობა და აუცილებელია მეტი განათლების მიცემა ქალბატონებისთვის, თუ როგორ აიცილონ თავიდან არასასურველი ნაყოფი, მაგრამ ამან არ უნდა იმოქმედოს შობადობის მაჩვენებლებზე" („ინტერპრესნიუს", 22.04.20).

ამრიგად, „გენდერისა" და ქალის „უსაფრთხოების" ფრეიმში გაერთიანებულ მასალებში ქალის რეპროდუქციულ როლსა და ჯანმრთელობაზეა აქცენტი. აბორტი საფრთხეს უქმნის ქალის ჯანმრთელობას, პირველ რიგში ისევ იწვევს უშვილობას, შესაბამისად მოქმედებს შობადობასა და ერის დემოგრაფიულ განვითარებაზე. ასევე, იწვევს ქალის სიკვდილს.

## 5.2 გამამართლებელი ფრეიმები

აბორტის გამამართლებელ ფრეიმში გადმოცემული მასალების ანალიზი სამი საკვლევი კითხვის შესაბამისად წარიმართა: ***რა თემებს უკავშირდება აბორტის გამამართლებელი ფრეიმი (RQ6) და რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის გამამართლებელ ფრეიმინგს მედია (RQ7); რა როლი აქვს ქალს ამ დისკურსში (RQ12)?***

აბორტის გამამართლებელ ფრეიმად ქალის „უფლების" ფრეიმი მივიჩნიეთ. ის ერთადერთი ფრეიმია, რომელის აბორტს დადებით კონტექსში აშუქებს. „ უფლების" ფრეიმში გადმოცემულ მასალებში აქცენტი ქალის უფლებაზეა - განკარგოს სხეული და გაიკეთოს აბორტი.

ხშირად, „უფლების“ ფრეიმით აბორტის გამამტყუნებელი დისკურსის დაბალანსება ხდება. ასეთ მასალებში დისკურსი არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების დაპირისპირებაზეა აგებული. მედია ამტკიცებს, რომ „ემბრიონი არ არის ადამიანი“ და რომ „აბორტი არ არის ადამიანის მკვლელობა"(“ლიბერალი”, 27.06.2013). ლინგვისტური ინსტრუმენტებიდან თვალშისაცემია უარყოფითი ნაწილაკების, ნაცვალსახელების და ზმნიზედების (არ, ვერ, არავინ, ნურავინ, ვერსად, ა.შ.) სიჭარბე. გამოიყენება ასევე ნაწილაკი „უნდა“, რომელიც აბორტის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

ამ დისკურსის წყაროები მეტწილად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფემინისტური ჯგუფების წარმომადგენლები და ექიმები არიან. აბორტის გამართლება თავდაცვითი პოზიციიდან ხდება - აბორტის მოწინააღმდეგეთა პოზიციების და არგუმენტების საპირწონედ  წყაროები აბორტს აუცილებელ პროცედურად წარმოადგენენ, მაგალითად, ქალის ან ნაყოფის ჯანმრთელობის ჭრილში, მაგრამ ამასთან ხშირად აბორტის მიმართ საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებასაც აფიქსირებენ.

### 5.2.1 „უფლების“ ფრეიმი

„უფლების“ ფრეიმში გაშუქებული მასალებში აბორტი ქალის უფლებად არის აღიარებული. აბორტის უფლება სხვადასხვა არგუმენტებითაა გამყარებული.

მაგალითად,  “ინფო 9”-ს ქვემოთმოყვანილ მასალაში აბორტი ნაყოფთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საფრთხეებითაა გამართლებული:

ორსულობის მაქსიმალურად პატარა ვადებზე  ნაყოფის გენეტიკური დაავადებებისა და მათი მოსალოდნელი გართულებების გამოვლენა, საშუალებას აძლევს წყვილს თავიანთი შეხედულებისამებრ სპეციალისტების დახმარებით დაგეგმონ ოჯახი და თავიდან აიშორონ ნაყოფის ისეთი გენეტიკური დაავადები, რომელთა მკურნალობის

ეფექტური გზები სამწუხაროდ ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი ( “ინფო 9”, 02.02.2016).

ზოგიერთ მასალაში აბორტი ქალის დემოკრატიულ უფლებად არის მიჩნეული, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოში დაცული უნდა იყოს. “ინტერპრესნიუსი”ს წყარო „აბორტს ქალის უფლებად განიხილავს და დემოკრატიულობის ამბიციის მქონე ქვეყანაში მის შეზღუდვას არ მიესალმება, რადგან ფიქრობს, რომ თითოეულ ქალს აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება“ („ინტერპრესნიუსი“, 07.04.2013).

ეს ფრეიმი ხშირად აბორტის გამამტყუნებელ ფრეიმებთან კავშირში გამოიყენება და აბალანსებს უარყოფით დისკურსს. ლექსიკური ხერხებიდან აღსანიშნავია უარყოფა და უარყოფითი ნაწილაკების, ნაცვალსახელებს და ზმნიზედების (არ, ვერ, არავინ, ვერავინ,  ვერსად) სიჭარბე. აბორტის მომხრეები ხშირად თავდაცვით პოზიციაში არიან და აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტების უარყოფას ახდენენ.  „ლიბერალი“აცხადებს, რომ „ემბრიონი არ არის ადამიანი", „აბორტი არ არის ადამიანის მკვლელობა"(“ლიბერალი”, 27.06.2013). აბორტის შემაკავებელ სტრატეგიასთან დაკავშირებით, „ლიბერალი“აცხადებს, რომ „კრიმინალიზაცია არ იწვევს აბორტების შემცირებას" და რომ „აკრძალვა გამოსავალი არ არის“ (“ლიბერალი”, 03.10.2013)

აბორტის უფლების მომხრეები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ აბორტის პრაქტიკას არ ემხრობიან, მაგრამ მათთვის არჩევანის უფლება უპირატესია. ამ პოზიციას ახმოვანებს “ლიბერალი”, რომელიც აცხადებს: „აბორტების სიმრავლე, რომელიც თავისთავად სულაც არაა სასურველი და სასიამოვნო, იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში სექსუალური განათლების დონე ძალიან დაბალია. აბორტის ალტერნატიულ საშუალებას არავინ ასახელებს“ (“ლიბერალი”, 13.05.201).

მტკიცებითი ხასიათის გამონათქვამებში აბორტის მომხრეები საჭიროებასა და აუცილებლობას უსვამენ ხაზს, ხშირად ნაწილაკ „უნდა“-ს გამოყენებით: „ყველა ქალმა თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა

შვილი და უნდა თუ არა აბორტის გაკეთება", „სექსუალური განათლება ყველა სასწავლებელში უნდა დავნერგოთ" (ლიბერალი, 20.05.2013).

აბორტის გამამართლებელი დისკურსის მთავარი გამხმოვანებლები ექიმები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ფემინისტური ჯგუფებია. ფემინისტურ დისკურსი რადიკალური ხასიათისაა და რელიგიასა და ეკლესიას „წმინდა სხეულთან" შეუთავსებელ, დაპირისპირებულ მხარედ წარმოაჩენს („შორს შენი რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულისგან" ("ინტერპრესნიუსი", 07.04.2013).

ამრიგად, „უფლების ფრეიმში" გადმოცემულ მასალებში საუბარი ქალის რეპროდუქციულ უფლებაზეა -- გადაწყვიტოს, სურს თუ არა შვილის ყოლა. ხაზგასმულია, რომ აბორტის არჩევანი დემოკრატიული, ღია საზოგადოების მახასიათებელია.

## 5.3 ნეიტრალური ფრეიმები

ნეიტრალური ფრეიმების ანალიზით პასუხი გაეცა შემდეგ საკვლევ კითხვებს: ***რა თემებს უკავშირდება აბორტის ნეიტრალური ფრეიმი (RQ8) და რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის ნეიტრალურ ფრეიმინგს მედია (RQ9). რა როლი აქვს ქალს ამ დისკურსში (RQ12)?***

ნეიტრალურ ფრეიმში („ფაქტობრივი", „ადამიანური ინტერესის" , „პროტესტის"და „სამართლებლივი"ფრეიმები) გადმოცემულ მასალებში აბორტის შესახებ საუბარი ნეიტრალურ ტონალობაშია. თემები ძირითადად მიმდინარე ახალ ამბებით და მოვლენებით არის ნაკარნახევი. ასეთი მოვლენებია: ანგარიშებისა და კვლევების პრეზენტაციები აბორტის თემაზე, შეხვედრები და დისკუსიები, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივების განხილვები და სხვა. მედია ნეიტრალურად გადმოსცემს აბორტის საწინააღმდეგო საპროტესტო გამოსვლების ქრონიკას და აბორტთან დაკავშირებულ ადამიანურ ისტორიებს. აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივი და საკანონმდებლო თემაზე მომზადებული მასალები

შედარებით ხშირად გვხვდებოდა, ხოლო, ადამიანური ისტორიების შემცველი და საპროტესტო აქტივობების გამომხატველი - იშვიათად.

უნდა აღინიშნოს, რომ სელექციური აბორტის შესახებ დისკურსი ძირითადად ფაქტობრივ ფრეიმში მიმდინარეობს და მიმდინარე მოვლენებს აღწერს.

რაც შეეხება ფრეიმინგულ ინსტრუმენტებს, გადმოცემის სტილი ნაკლებადმხატვრული და მშრალია, და ახალი ამბის გადმოცემის ჟურნალისტურ კლიშეებზე აგებული.

ქვემოთ მოცემულია აღნიშნული ფრეიმების უფრო დეტალური ანალიზი და ამ ფრეიმების ტექსტებიდან ამონარიდები.

### 5.3.1 „ფაქტობრივი“ ფრეიმი

როგორც სახელწოდება მიგვითითებს, „ფაქტობრივ“ ფრეიმებში გავაერთიანეთ მედიის მიერ ნეიტრალურ ტონალობაში გაშუქებული მიმდინარე მოვლენები და ფაქტები, რომლებიც აბორტს, მათ შორის სელექციურ აბორტს უკავშირდება. ფაქტობრივ ფრეიმში მედია ახალ ამბებს გადმოგვცემს, მაგალითად, როგორც "რუსთავი 2", რომლის რეპორტაჟში აღნიშნულია რომ „ჯიესაის" ქალთა ჯანმრთელობის პროგრამა 2003 წლიდან მუშაობს, რომელიც აბორტის ალტერნატიული გზების დანერგვას ცდილობს. აბორტების უმრავლესობა 20–35 წლის ქალბატონებში აღინიშნება" ("რუსთავი 2", 13.06.2011).

ფაქტობრივ ფრეიმშია ასევე გადმოცემული აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები და ფაქტები. მაგალითად ისევ "რუსთავი 2"-ის ინფორმაცია გამოდგება, რომ „დღეს საქართველოში ერთ დაოჯახებულ ქალზე 3,1 აბორტი მოდის“ ("რუსთავი 2", 13.06.2011). ამ ტიპის მასალებში ხშირია საუბარი აბორტის გავრცელების მასშტაბებსა და სიხშირეზე: „ოფიციალურად 40 ათასი, არაოფიციალური მონაცემებით კი, ყოველწლიურად 100-დან 150 ათასამდე აბორტი კეთდება" („ინტერპრესნიუსი“, 11.03.2014); „2012 წელს ქვეყანაში 40 ათასი აბორტი გაკეთდა“ ("ალია", 12.03.2014).

აღსანიშნავია, რომ „ფაქტობრივი“ ფრეიმი ყველაზე ხშირად გამოიყენება სელექციური აბორტის შესახებ დისკურსში:

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის კომიტეტის თავმჯდომარე .... ვიცე-სპიკერ რუსუდან კერვალიშვილს შეხვდა. საუბარი სელექციური აბორტის თემაზე გაიმართა, რაც ნაყოფის შენარჩუნება-არშენარჩუნების გადაწყვეტილების მიღებას მისი სქესიდან გამომდინარე გულისხმობს. (“რუსთავი 2”, 01.07.2010)

ფაქტობრივ ფრეიმშია გადმოცემული სელექციური აბორტის თემაზე ანგარიშებისა და კვლევების შედეგებიც:

არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების შესახებ სპეციალური კვლევა ჩატარდა. არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელმაც აბორტების სიხშირე და მიზეზები გამოიკვლია დაადგინა, რომ სქესთა შორის ბალანსი ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად დაირღვა. როგორც წესი, საქართველოში გოგონას გაჩენისგან ხშირად თავს იკავებენ. თუ სქესთა ნორმალური განაწილების დროს 100 გოგონაზე 104–107 ბიჭი უნდა მოდიოდეს, ბოლო მაჩვენებელით სტატისტიკა ასეთია: 100 მდედრობითი სქესის ახალშობილზე 128 ვაჟი მოდის. ამ მონაცემებით საქართველომ ჩინეთსაც კი გაასწრო (“რუსთავი 2”, 01.07.2010).

ამრიგად, „ფაქტობრივ“ ფრეიმში მედია აბორტის, მათ შორის სელექციური აბორტის შესახებ ახალ ამბებს აშუქებს ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. ამ ტიპის მასალებში იშვიათია აბორტის შესახებ დისკუსია, მოსაზრებები და შეფასებები.

### 5.3.2 „კანონის/სამართლებლივი“ ფრეიმი

ყველაზე უფრო ხშირად „კანონის/სამართლებლივ“ ჭრილში გადმოცემული მასალები აბორტის კანონმდებლობას შეეხება. მედია აღნიშნავს, რომ საქართველოში ლიბერალური კანონმდებლობაა. ამის მაგალითია გაზეთ „“რეზონანსი”ს” სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ „უკანონო აბორტებთან დაკავშირებით ისეთი ლიბერალური დამოკიდებულება, რაც საქართველოშია, არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ

არსებობს. იმავდროულად, საქართველოში ყოველი ხუთი ორსულიდან სამი აბორტს იკეთებს“ (“რეზონანსი”, 24.09.2014).

„კანონის/სამართლებლივი“ ფრეიმში გადმოცემულია აბორტის შესამცირებლად, მის საწინააღმდეგოდ მიმართული ახალი რეგულაციები. ასე, მაგალითად, “ინტერპრესნიუსის“ მასალაში ნათქვამია, რომ „განხორციელდა სამი ინიციატივა, რომელიც 2014 წელს ამოქმედდა: სელექციური აბორტების აკრძალვა, აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადის 3-დან 5-დღემდე გაზრდა და კრიმინალური აბორტების წინააღმდეგ კანონის გამკაცრება“ („ინტერპრესნიუსი“, 22.04.2015). „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეპორტაჟში კი აღნიშნულია, რომ “ ჯანდაცვის სამინისტროს აქვს მომზადებული სრული პაკეტი ახალი რეგულაციებისა, რომელიც ხელს შეუშლის აბორტის საჭიროებებს” (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 26.07.2014 ).

„კანონის/სამართლებრივ“ ფრეიმში გადმოცემულ მასალებში ასევე ხშირია სხვადასხვა  კანონდარღვევაზე, სისხლის სამართლის დანაშაულზე საუბარი:

ვაზიანის ამბულატორიაში სიტყვიერი დაპირისპირება და ფიზიკური შეურაცხყოფა უკვე წლებია გრძელდება. ყოფილი თერაპევტი მთავარ ექიმს აბორტების კეთებასა და საბუთების გაყალბებაში ადანაშაულებს. ბრალდებას უარყოფს მთავარი ექიმი და ყოფილ თერაპევტს პაციენტებთან უხეშ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს“ (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 29.07.2011);

ტირძნისში მომხდარ საზარელ მკვლელობაზე უკვე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. დედამ აბორტი გაიკეთა და აბორტის გაკეთებაში საკუთარი არასრულწლოვანი ქალიშვილები დაიხმარა“ (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, 29.08.2011).

ამრიგად, „კანონის/სამართლებრივ“ ფრეიმში აბორტზე საუბარი სამართლებლივ ჭრილში მიმდინარეობს, და თემატურად ან ახალ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომელიც უმეტესწილად, აბორტის აკრძალვას გულისხმობს ან კანონის დარღვევებს უკავშირდება.

### 5.3.3 „პროტესტის“ ფრეიმი

„პროტესტის“ ფრეიმი იმ საპროტესტო აქციებს და ღონისძიებებს აღწერს, რომლებიც აბორტთან დაკავშირებით იმართება. ეს ფრეიმი აბორტთან დაკავშირებულ საკითხებს დაპირისპირების ჭრილში ერთი მხარეს აბორტის მომხრეებია, ხოლო მეორე მხარეს - აბორტის მოწინააღმდეგები, თუმცა მედია არც ერთ მხარეს უპირატესად არ წარმოაჩენს. მედია ამ დაპირისპირებაში ნეიტრალური მხარეა. ამ ტიპის დისკურსის ილუსტრაციაა “ინტერპრესნიუსი”ს ეს მასალა: „აბორტის აკრძალვის მომხრე და ნაყოფის აბორტის აკრძალვის შესახებ დისკუსია საქართველოს პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს შემდეგ დაიწყო. აბორტის აკრძალვის მოწინააღმდეგეები ქალთა ჯანმრთელობისა და არჩევნის თავისუფლებაზე საუბრობენ, მომხრეები კი ნაყოფის სიცოცხლის უპირატესობას უსვამენ ხაზს“ („ინტერპრესნიუსი“, 07.04.2013).

საპროტესტო მოძრაობები ქუჩაშიც უპირისპირდებიან ერთმანეთს: მთავრობის კანცელარიასთან აბორტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აქცია მიმდინარეობს. მოქალაქეთა ერთი ნაწილი მოითხოვს აბორტის კრიმინალიზაციას და მთავრობას მიმართავს მოთხოვნით, შემუშავდეს საკანონმდებლო ინიციატივა და აბორტი სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს. აღნიშნული აქციის პარალელურად, ასევე მთავრობის კანცელარიასთან, კიდევ ერთი აქცია იმართება, რომლის მონაწილეებიც აბორტის კრიმინალიზაციას აპროტესტებენ.ამ აქციის მონაწილეები ძირითადად ახალგაზრდა გოგონები არიან. ცოტა ხნის წინ ამ ორი აქციის მონაწილეთა შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა („ინტერპრესნიუსი“, 07.04.2013).

პროტესტის ფრეიმში გადმოცემული მასალების ზოგადი ტონალობა ნეიტრალურია, მიუხედავად იმისა, რომ მასალები აბორტის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაპირისპირებას ასახავს.

### 5.3.4 „ადამიანური ინტერესის“ ფრეიმი

„ადამიანური ინტერესის“ ფრეიმი სულ 14 მასალაში შეგვხვდა. ეს ისტორიები ადამიანების ნეგატიურ გამოცდილებაზე მოგვითხრობენ: მაგალითად, გაუპატიურების ან სხვა ფორმის ძალადობის შესახებ, რომელთა შედეგიც აბორტი იყო. ზოგიერთ ისტორიაში აღწერილია აბორტისთვის განწირული ბავშვის „სასწაულებრივად“ გადარჩენა:

მსახიობ კოტე თოლორდავას მეუღლე განო მელითაურს ექიმებმა უთხრეს, რომ მესამე შვილი, რომელსაც ჯერ კიდევ მეუღლის სიცოცხლეში ელოდებოდა, გარდაცვლილი იყო. როგორც განო მელითაურმა „ნანუკას შოუში“ ისაუბრა, ექიმებმა მას აბორტის გაკეთება და ნაყოფის მოშორება სამჯერ ურჩიეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბავშვი ცოცხალი იყო და ჯანმრთელი დაიბადებოდა. კოტე თოლორდავა ერთი წლის წინ გარდაიცვალა,  თუმცა მისი მესამე შვილი ლოლიტა თოლორდავა ჯანმრთელი დაიბადა და უკვე ექვსი თვისაა ( “ინფო 9”, 27.04.2016).

რომ შევაჯამოთ, ნეიტრალური ფრეიმები („ფაქტობრივი“, „კანონის/სამართლებრივი“, „პროტესტის“ და „ადამიანური ინტერესის“), აბორტის და სელექციური აბორტის თემას მიმდინარე ახალი ამბების ფორმატში განიხილავს. მედია ინტერესს იჩენს საკითხის მიმართ და ცდილობს ნეიტრალურად ასახოს მიმდინარე მოვლენები და აქტორები, რომელიც ამ მოვლენებს ქმნიან. ფაქტობრივი და საკანონმდებლო თემაზე მასალები, რომლებიც აბორტის რიცხვის ზრდასთან და კანონმდებლობის გამკაცრებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს განიხილავს, შედარებით ხშირად გვხვდება, ხოლო, ადამიანური ისტორიების შემცველი და საპროტესტო აქტივობების გამომხატველი ისტორიები უფრო იშვიათად. ამ დისკურსს მეტწილად თავად ჟურნალისტები ახმოვანებენ.

## 5.4 ამბივალენტური ფრეიმი

ამბივალენტური ფრეიმების ანალიზი შემდეგი საკვლევი კითხვების მიხედვით წარიმართა: ***რა თემებს უკავშირდება აბორტის ამბივალენტური***

*ფრეიმი (RQ10) ,რა ფრეიმინგული ხერხებით ახდენს აბორტის ამბივალენტურ ფრეიმინგს მედია (RQ11)? რა როლი აქვს ქალს ამ დისკურსში (RQ12)?*

ამბივალენტურ ფრეიმად მკვლევარმა **„გაურკვევლობის/შინაგანი კონფლიქტის“** ფრეიმი მიიჩნია. ამ ფრეიმში აბორტი წინააღმდეგობრივად, ამბივალენტურ მოვლენად არის წარმოდგენილი. ის განსხვავდება ნეიტრალური ჯგუფის „პროტესტის“ ფრეიმისგან, რომელიც არის გარეგანი კონფლიქტი, ანუ ფიზიკური დაპირისპირება, ფაქტი, დემონსტრაცია, ხოლო კონფლიქტი არის შინაგანი, გაუგებრობიდან გამომდინარე დაპირისიპრება.

ამ ტიპის მასალებში წინააღმდეგობრივი მოსაზრებები ისმის აბორტის თემაზე, აღწერილია დაპირისპირება და კონფლიქტი, საკითხი დრამატიზებულია, ანდაც ადგილი აქვს წყაროს მხრიდან საკითხის მიჩქმალვას, გაურკვეველი პოზიციის დაფიქსირებას.

ამ ტიპის დისკურსში აბორტის თემის გაშუქებისას მედიამ შესაძლოა, წყაროებად ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფების წარმომადგენლები გამოიყენოს, ორი დაპირისპირებული მხარის პოზიციები ისე გადმოსცეს, რომ საკითხი სადავო, გადაუჭრადი დაგვისახოს და კიდევ უფრო მეტად გაამყაროს აბორტის ორაზროვნების იდეა. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში კონფლიქტის ფრეიმი განათლების თემაზე ვრცელდება. ამ მაგალითის მიხედვით, მომხმარებელს გაუჭირდება გაიაზროს და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება აბორტთან მიმართებაში. პრობლემა სახეზეა, მაგრამ გადაჭრის გზა არ ჩანს.

ზევრი ფიქრობს, რომ მოზარდმა ინფორმაცია სქესობრივი ცხოვრების თავად უნდა მოიპოვოს და სულაც არ არის საჭირო ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი.თუმცა, საკითხს განსხვავებულად უყურებს საზოგადოების მეორე ნაწილი. ისინი ფიქრობენ, რომ საჭირო განათლება მოზარდმა სკოლაში უნდა მიიღოს, რაც თუ არ გამორიცხავს, შეამცირებს მაინც სხვა და სხვა პრობლემას… უმეტესობა თვლის, რომ მოზარდმა განათლება უნდა მიიღოს, თუმცა ზუსტი პასუხი არავის აქვს რას მოიცავს ეს განათლება.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდს აქვს უფლება და სურვილი – იცოდეს ("საზოგადოებრივი მაუწყებელი", 30.06.2014.).

ამრიგად, გაურკვევლობის და შინაგანი კონფლიქტის ფრეიმი აბორტთან დაკავშირებულ საკითხებს გაურკვეველ, გადაუჭრელ, ორაზროვან მოვლენად წარმოაჩენს და აუდიტორიას მკაფიო შეფასებას არ სთავაზობს.

## 5.5 თვისებრივი კონტენტანალიზის დასკვნა

აბორტის/სელექციური აბორტის დისკურსში, განსაკუთრებით აბორტის გამამტყუნებელ („ნაციონალისტურ-დემოგრაფიული", „პროგნოზის", „პასუხისმგებლობის", „მორალის", „რელიგიის", „ემბრიონის",„სტიგმის," „გენდერის" და „ უსაფრთხოების,"ფრეიმები) დისკურსში ჭარბობს პატრიარქალური რიტორიკა, რომელშიც მამაკაცი დომინირებს და არ ისმის ქალის ხმა. ამ დისკურსზე უფლება ხელთ უპყრია სახელმწიფოს და ეკლესიას. აბორტი დემოგრაფიულ კატასტროფასთან და ერის გადაშენებასთან არის გაიგივებული. სელექციური აბორტიც დემოგრაფიულ ჭრილში განიხილება, როგორც მოსახლეობის კლების ფაქტორი. მნიშვნელოვანი თემაა აბორტის, როგორც ცოდვის, **მკვლელობის** მორალური სიმძიმე, რომლის გამოსწორებაც მხოლოდ ეკლესიის წიაღშია შესაძლებელი. აბორტი არის სირცხვილის, სინანულის, დანაშაულის შეგრძნების წყარო. ეს ემოციები მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგრძელდება და საიქიოშიც არ მოასვენებს ადამიანს. აბორტი დაკავშირებულია სიკვდილთან, უშვილობასთან, უიმედობასთან და უღმერთობასთან.

ერთადერთი ფრეიმი, სადაც აბორტი გამართლებულია, „უფლების" ფრეიმია. ამ ტიპის მასალებში აქცენტი ქალის უფლებაზეა - განკარგოს სხეული და გაიკეთოს აბორტი. ამ დისკურსის წყაროები მეტწილად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფემინისტური ჯგუფების წარმომადგენლები და ექიმები არიან. ხშირად, აბორტის

მომხრეები თავდაცვით პოზიციაში არიან და საკუთარ დისკურსს აბორტის მოწინააღმდეგეთა არგუმენტების უარყოფაზე, კონტრარგუმენტაციაზე აგებენ. ამგვარად, „უფლების“ ფრეიმით აბორტის გამამტყუნებელი დისკურსის დაბალანსება ხდება.

ნეიტრალურ დისკურსში („ფაქტობრივი“, „ადამიანური ინტერესის“ , „პროტესტის“და „სამართლებლივი“ფრეიმები)ძირითადად მიმდინარე ახალი ამბები და მოვლენებია ასახული, მაგალითად საკანონმდებლო ინიციატივები, ადამიანური ისტორიები, ანგარიშებისა და კვლევების პრეზენტაციები, საპროტესტო აქციები და სხვა. აღსანიშნავია, რომ სელექციური აბორტის შესახებ დისკურსი ძირითადად ფაქტობრივ ფრეიმში მიმდინარეობს და მიმდინარე მოვლენებს აღწერს.

აბორტის გაშუქების სტილი უმეტესწილად სენსაციური, ექსპრესიული და დრამატულია,რაც აბორტის მარგინალიზაციას და სტიგმატიზებას იწვევს.

ფრეიმინგულ ინსტრუმენტებად უარყოფითი კონოტაციის მქონე მეტაფორები და ფრაზები („გადაშენება“, „ჩვილების ...უმოწყალო ხოცვა“) დომინირებს. მეტი ექსპრესიისთვის ხშირად ტექსტში სხვადასხვა მხატვრული ფორმატებია ჩართული, მაგალითად, ლექსი.

ლინგვისტური ხერხებიდან  აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში ჭარბობს უარყოფითი ნაწილაკები, ნაცვალსახელები და ზმნიზედები (არ, ვერ, არავინ, ნურავინ, ვერსად, ა.შ.), რაც კონტრარგუმენტაციის სტილს შეესაბამება. გამოიყენება ასევე ნაწილაკი „უნდა“,რაც  მბრძანებლურ ტონს შეესაბამება.

ტექსტის ექსპრესიულობა მიიღწევა შედარებების, უარყოფითი შეფასებების გამოყენებით, რიტორიკული კითხვების გამოყენებით და მოვლენების ჰიპერბოლიზაციით : „განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტები კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან?“ („ალია“, 08.01.2014).

„ პრობლემა, რომელიც საქართველოშია, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდია: „მეორადი უნაყოფობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში" („ინტერპრესნიუსი", 13.03.2016).

აბორტთან დაკავშირებული დისკურსი, რომელიც ქალთან არის დაკავშირებული, პოზიციონირებას უკეთებს ქალს, როგორც პრობლემატურსა და ნეგატიურს, რადგან ქალის გადაწყვეტილება აბორტის და სელექციური აბორტის  შესახებ ეწინააღმდეგება ქალის მუდმივ ნაყოფიერებას, ძირს უთხრის  ეროვნულობას და იწვევს დემოგრაფიულ კატასტროფას.

აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში, ძალაუფლებისმპყრობელი ჯგუფები ეკლესია და სახელმწიფო ქალს, რომელიც აბორტს იკეთებს (დედობის) იდეალის მოწინააღმდეგედ წარმოაჩენენ. ამ დისკურსში, ქალები ყველაზე ნაკლებად მონაწილეობენ. ისინი არაფერს ჰყვებიან.

# თავი 6. ჟურნალისტების და რედაქტორების გამოკითხვის შედეგები - კომპონენტი 3

მე-3 კომპონენტის ფარგლებში, კვლევამ შეისწავლა, თუ როგორია აბორტთან/სელექციურ აბორტთან დაკავშირებული საინფორმაციო კონტენტის მწარმოებელი ჟურნალისტების და მათი რედაქტორების გენდერსენსიტიურობა და წარმოდგენები აბორტთან/სელექციურ აბორტთან დაკავშირებით.

მკვლევარმა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წევრი ჟურნალისტები და რედაქტორები (N=113) გამოკითხა. ელექტრონული კითხვარი (google survey) და თხოვნა კვლევაში მონაწილეების შესახებ ქარტიის ყველა წევრს - 256 ჟურნალისტს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მკვლევარმა მათ ათი დღის შუალედით ექვსჯერ გაუმეორა თხოვნა კითხვარის შევსების თაობაზე. შევსებული კითხვარების, ანუ, მიღებული პასუხების რაოდენობამ შეადგინა 113 ერთეული (44%), რაც ონლაინ გამოკითხვებისთვის კითხვარის შევსების მაღალ მაჩვენებლად ითვლება.

## 6.1 დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხვის შედეგად მიღებული დემოგრაფიული მონაცემების შესწავლით დადგინდა შემდეგი:

### 6.1.1 სქესი და ასაკი

როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულ 113 ჟურნალისტთა და რედაქტორთა ჯგუფი შედგებოდა 83 ქალისა და 23 კაცისგან, რომელთა საშუალო ასაკი 34 წელია. უფრო კონკრეტულად, მონაწილეთა ასაკი შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

ცხრილი N 5. გამოკითხულთა ასაკი

| ასაკი | n | % |
|---|---|---|
| <25 | 10 | 9.3 |
| 25-30 | 30 | 28 |
| 30-40 | 34 | 31.8 |
| 40-50 | 26 | 24.3 |
| 50-60 | 6 | 5.6 |
| 60> | 1 | 0.9 |

### 6.1.2 აღმსარებლობა

აღმსარებლობის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (79.8%), 1 გრეგორიანელი ქრისტიანი, და 6.7% სხვა აღმსარებლობის რესპონდენტები (რომელთაც არ დაუზუსტებიათ აღმსარებლობა). 12.5% არ არის მორწმუნე.

ცხრილი N 6. აღმსარებლობა

| | n | % |
|---|---|---|
| მართლმადიდებელი ქრისტიანი | 83 | 79.8 |
| არ გამაჩნია | 13 | 12.5 |
| სხვა აღმსარებლობა | 7 | 6.7 |
| გრეგორიანი ქრისტიანი | 1 | 1 |
| კათოლიკე ქრისტიანი | 0 | |
| მუსლიმი | 0 | |

### 6.1.3 რწმენა

რესპონდენტებმა გამოხატეს დამოკიდებულება შემდეგი დებულების მიმართ: „ჩემი რწმენა/ჩემი ღმერთთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია“ და პასუხი ლიკერტის ხუთბალიან სკალაზე დააფიქსირეს, სადაც „1“ - იყო „სრულიად არ ვეთანხმები“ და „5“ – „ვეთანხმები“. გაირკვა, რომ რესპონდენტები „უფრო“ ეთანხმებიან დებულებას, რომ რწმენა მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილად.

საშუალო მაჩვენებელი გადახრილია პასუხისკენ „-4“ - „უფრო ვეთანხმები“ (M=3.45 და SD=1.38).

ცხრილი N 7. ჩემი რწმენა/ღმერთთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია

| *n* | *M* | *SD* |
|---|---|---|
| 107 | 3.45 | 1.38 |

### 6.1.4 ეთნიკური წარმომავლობა

ეთნიკურად, უმრავლესობა (94.3%) ქართველია, 5.7% სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები (სომეხი, აზერბაიჯანელი, სხვა) იყვნენ.

ცხრილი N 8. ეთნიკური წარმომავლობა

| ეთნიკური წარმომავლობა | *n* | % |
|---|---|---|
| ქართველი | 99 | 94.3 |
| სხვა | 6 | 5.7 |

### 6.1.4 განათლება

განათლების მიხედვით გამოკვლეულთა უმრავლესობას (n=101) უმაღლესი განათლება აქვს, საიდანაც 31% -ს ბაკალავრიატი აქვს დამთავრებული, 59.4 %-ს მაგისტრატურა და 6.6 % -ს დოქტორანტურა. გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთს აქვს არასრული საშუალო განათლება და ორს პროფესიული კოლეჯი აქვს დამთავრებული.

ცხრილი N 9. განათლება

| | n | % |
|---|---|---|
| მაგისტრატურა | 63 | 59.4 |

| | | |
|---|---|---|
| ბაკალავრიატი | 33 | 31 |
| დოქტორანტურა | 7 | 6.6 |
| პროფესიული კოლეჯი | 2 | 1.9 |
| არასრული საშუალო | 1 | 0.9 |
| საშუალო | 0 | |

### 6.1.5 ოჯახური მდგომარეობა

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით, 44 გამოკითხული (41.1%) არის ქორწინებაში.13 გამოკითხული (12.1%) იყო ქორწინებაში, ხოლო 50 ადამიანი (46.7%) არ არის და არც ყოფილა დაქორწინებული.

გამოკითხულთა უფრო დიდ ნაწილს- 58 ადამიანს (54.2%) არ ყავს შვილები: 20 ადამიანს (18.7%) ყავს ერთი შვილი; 23 ადამიანს (21.5%) ყავს ორი შვილი, ხოლო 6 ადამიანს (6.6%) სამი შვილი ყავს. ოთხი და მეტი შვილი არც ერთს არ ყავს.

ცხრილი N 10. ოჯახური მდგომარეობა

| | n | % |
|---|---|---|
| არ ვარ და არ ვყოფილვარ დაქორწინებული | 50 | 46.7 |
| ვარ ქორწინებაში | 44 | 41.1 |
| ვიყავი ქორწინებაში | 13 | 12.1 |

### 6.1.6 ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი

გამოკითხულთა უმეტესობის (37.1%) შემოსავალი 1000-დან 2000-მდე მერყეობს; 29.5% -ს 2000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვს; 24.8%, აღნიშნავს, რომ მისი შემოსავალი 500-1000 ლარია, ხოლო ყველაზე უფრო მცირე პროცენტს (8.6) შემოსავალი 500 ლარამდე აქვს.

ცხრილი N 11. ოჯახის შემოსავალი

| საშუალო თვიური შემოსავალი ლარში | n | % |
|---|---|---|
| <500 | 9 | 8.6 |

| | | |
|---|---|---|
| 500-1000 | 26 | 24.8 |
| 2000> | 31 | 29.5 |
| 1000-2000 | 39 | 37.1 |

### 6.1.7 აბორტი და სელექციური აბორტი გამოკითხულთა პირად ცხოვრებაში

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქალ რესპონდენტებს (n=84) დავუსვით კითხვები აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებით მათ პირად ცხოვრებაში. კითხვებზე „გაგიკეთებიათ თუ არა აბორტი" და „გაგიკეთებიათ თუ არა სელექციური აბორტი", გამოკითხულ ქალთა 78.8% -მა ( 67 ადამიანი) განაცხადა, რომ მათ არ გაუკეთებიათ აბორტი; 21.2% -ს (18 ადამიანი) გაუკეთებია აბორტი. გამოკითხულთაგან არც ერთს არ გაუკეთებია სელექციური აბორტი (84 ადამიანი).

### 6.1.8 გამოკითხულთა შეხედულებები და დამოკიდებულება აბორტებისა და სელექციური აბორტების მიმართ

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების შედეგად დადგინდა შემდეგი:

### 6.1.9 წარმოდგენა სიცოცხლის საწყისზე

გამოკითხულთა დიდი ნაწილი (61.7 %) ფიქრობს, რომ სიცოცხლე იწყება მაშინ, როცა მოხდება ჩასახვა, ან როცა დედა ნაყოფის მოძრაობას შეიგრძნობს (13.1%), ან მას მერე, როცა ქალი შეიტყობს, რომ ორსულადაა (8.4%).

გამოკითხულთა მხოლო მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ სიცოცხლე იწყება მას შემდეგ, რაც ბავშვი დაიბადება (0.9), ან როცა ბავშვს ქალის სხეულის გარეშე ცხოვრება შეუძლია (3.7%). გამოკითხულთა 12.1 %-მა არ იცის როდის იწყება სიცოცხლე.

ცხრილი N 12. სიცოცხლის საწყისი

| სიცოცხლის საწყისი | n | % |
|---|---|---|
| როცა ბავშვი დაიბადება | 1 | 0.9 |
| როცა ბავშვს შეუძლია ქალის სხეულის გარეშე ცხოვრება | 4 | 3.7 |
| როცა ქალი შეიტყობს, რომ ის ორსულადაა | 9 | 8.4 |
| არ ვიცი | 13 | 12.1 |
| როცა დედა ნაყოფის მოძრაობას შეიგრძნობს | 14 | 13.1 |
| როცა მოხდება ჩასახვა | 66 | 61.7 |

### 6.1.10 აბორტის მიმართ დამოკიდებულება

კითხვაზე „ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას „არ არსებობს მდგომარეობა, რომლის დროსაც აბორტი დასაშვებია," პასუხების საშულო მაჩვენებელი (M=2.51, SD=1.35) ხუთბალიან სკალაზე, სადაც „1" ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები" და „5" – „სრულიად ვეთანხმები", შეესაბამება ნიშნულს „2"- ს („უფრო არ ვეთანხმები") და „3" -ს („არც ვეთანხმები და არც უარვყოფ") შორის, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა დამოკიდებულება აბორტის გადაწყვეტილების მიმართ იხრება ნეგატიურისკენ.

### 6.1.11 სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულება

კითხვაზე „ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას „მაინტერესებს, ვიცოდე ჩემი შვილის სქესი დაბადებამდე", პასუხების საშულო მაჩვენებელი (M=3.14, SD=1.48) ხუთბალიან სკალაზე, სადაც „1" ნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები" და „5" – „სრულიად ვეთანხმები", შეესაბამება ნიშნულს „3"- ს („არც ვეთანხმები და არც უარვყოფ") და „4"-ს („უფრო ვეთანხმები") შორის, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულთა დამოკიდებულება სელექციური აბორტის გადაწყვეტილების მიმართ უფრო პოზიტიურისკენ არის გადახრილი.

კითხვაზე „ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას - „ნაყოფის სქესის შერჩევის მიზნით აბორტის გაკეთება მიუღებელია," პასუხების

საშულო მაჩვენებელი (M=4.54, SD=.95). ეს ნიშნავს, რომ რესპონდეტებისთვის ნაყოფის სქესის შერჩევის მიზნით აბორტის გაკეთება მეტწილად მიუღებელია.

რესპონდენტების პასუხი შემდეგ მოსაზრებასთან დაკავშირებით - „ნაყოფის სქესის განსაზღვრა (მაგალითად, ექოსკოპიით) უნდა ისჯებოდეს" საშუალოდ დაფიქსირდა მაჩვენელზე (M= 1.86, SD=1.13), რომელიც განლაგებულია ნიშნულებს „2" - „სრულიად არ ვეთანხმები" და „3" - „უფრო არ ვეთანხმები" შორის. ეს ნიშნავს, რომ გამოკითხულების სქესის განსაზღვრა დასჯად ქმედებად არ მიაჩნიათ.

რესპონდენტთა დამოკიდებულება დებულების „ნაყოფის სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტი უნდა ისჯებოდეს" გამოიხატება საშუალო მაჩვენებლით (M=3.55, SD=1.36), რომელიც განლაგებულია ნიშნულებს „3" - „არც ვეთანხმები და არც უარვყოფ" და „4"- უფრო ვეთანხმები" შორის. ეს ნიშნავს, რომ გამოკითხულებს უფრო მიაჩნიათ, რომ სელექციური აბორტი (ქმედება) უნდა ისჯებოდეს.

## 6.2 ანალიზი ჰიპოთეზებისა და საკვლევი კითხვების მიხედვით

### 6.2.1 გენდერსენსიტიურობა

კვლევის მიერ დაყენებული ჰიპოთეზის მიხედვით, **ჟურნალისტები არიან გენდერსენსიტიურები (H3)**.

ჰიპოთეზის გასამყარებლად მკვლევარმა სამეცნიერო ლიტერატურაში აპრობირებული გენდერსენსიტიურობის სკალა გამოიყენა. სკალა 15 კითხვისგან შედგება, რომლებშიც რესპონდენტები თავიანთ დამოკიდებულებას სხვადასხვა დებულებების მიმართ ლიკერტის ხუთბალიან სკალაზე აფიქსირებენ (იხ. ცხრილი N9).

სკალის სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ სტატისტიკური ტესტი (Cronbach's alpha test). შედეგად დადასტურდა, რომ 15-კითხვიანი სკალის სანდოობა მაღალია (α=.86, M=4.42, SD=.57).

15 კითხვის დაჯამებით შეიქმნა ახალი ცვლადი - „გენდერსენსიტიურობა[10]“, რომლის საშუალო მაჩვენებელი (M= 4.42, SD=.57)” ადასტურებს, რომ გამოკითხულთა გენდერსენსიტიურობა საშუალოზე მაღალია. ჰიპოთეზა დადასტურებულია.

ამ კომპონენტის საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: ***გენდერსენსიტიურობის როგორი დონე იკვეთება ჟურნალისტებში (RQ13)?***

დაჯამებული ცვლადის „გენდერსენსიტიურობა“ საშუალო მაჩვენებელი (M= 4.42, SD=.57)” მდებარეობს ნიშნულებს „4“ - უფრო ვეთანხმები” და „5“ – 'სრულიად ვეთანხმები“ ანუ, ახლოსაა გენდერსენსიტიურობის უმაღლეს მაჩვენებელთან, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტებსა და რედაქტორებში გენდერსენსიტიურობის მაღალ დონე დაფიქსირდა.

აღსანიშნავია, რომ კითხვარის ყველა დებულებასთან დაკავშირებული პოზიცია საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. ყველაზე მაღალი თანხმობის მაჩვენებელი (M=4.84, SD= .46) დაფიქსირდა შემდეგ დებულებასთან მიმართებაში - „ქმარი და ცოლი გაყრისას თანაბარი პირობებით უნდა სარგებლობდნენ”. თუმცა, ამავდროულად რესპონდენტები ნაკლები გენდერსენსიტიურობას აფიქსირებენ შემდეგი დებულებების მიმართ: „გინება და უწმაწური სიტყვები ქალის პირიდან უფრო საძაგელი მოსასმენია, ვიდრე კაცის” „ბევრი ისეთი სამუშაოა, სადაც კაცებს დასაქმებისას მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოთ, ვიდრე ქალებს” და „ქალებმა ქორწინებამდე სქესობრივი/ინტიმური ურთიერთობებისგან თავი უნდა შეიკავონ”. პასუხების საშუალო მაჩვენებლები ამ დებულებებთან მიმართებაში განლაგებულია ნიშნულებს „3“ - „არც ვეთანხმები და არც ვუარყოფ“ და „4“ - უფრო არ ვეთანხმები“ შორის. საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

---

[10] შედეგებში გენდერსენსიტიურობის სკალის შეჯამებული ახალი ცვლადი აღინიშნება ტერმინით “გენდერსენსიტიურობა”, შესაბამისად, ტერმინი “გენდერსენსიტიურობა” შედეგებში ცვლადის მნიშვნელობით გამოიყენება.

ცხრილი N 13. გენდერსენსიტიურობის სკალა

| N | კითხვები | *n* | *M* | *SD* |
|---|---|---|---|---|
| 1 | *„გინება და უწმაწური სიტყვები ქალის პირიდან უფრო სამაგელი მოსასმენია, ვიდრე კაცის." | 107 | 3.92 | 1.37 |
| 2 | **„ქმარი და ცოლი გაყრისას თანაბარი პირობებით უნდა სარგებლობდნენ." | 107 | 4.84 | 0.46 |
| 3 | *„ქალის სიმთვრალე კაცის სიმთვრალეზე ბევრად უარესია." | 107 | 4.04 | 1.34 |
| 4 | **„თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში, როცა ქალი აქტიურია შინ და გარეთ, საყოფაცხოვრებო საქმიანობა (მაგ. ჭურჭლის და სარეცხის რეცხვა) ქალებთან ერთად კაცებმა უნდა გადაინაწილონ." | 107 | 4.56 | 0.77 |
| 5 | **„ადამიანების დასაქმება უნდა ხდებოდეს თანაბარი კონკურენციის პირობებში რომელიმე სქესისთვის უპირატესობის მინიჭების გარეშე." | 106 | 4.72 | 0.72 |
| 6 | *„ქალებმა ნაკლებად უნდა იფიქრონ საკუთარ უფლებებზე და მეტად იმაზე, თუ როგორ გახდნენ კარგი ცოლები და დედები." | 107 | 4.49 | 0.92 |
| 7 | **„ქალის ადგილი ბიზნესშიც და სხვა პროფესიაშიც ისეთივე, როგორც კაცის." | 107 | 4.77 | 0.52 |
| 8 | *„ბიჭებს მეტი ხელშეწყობა სჭირდებათ განათლების მისაღებად, ვიდრე გოგოებს." | 107 | 4.74 | 0.62 |
| 9 | *„შეუფერებელია, როცა კაცი წინდებს რეცხავს და ქალი კი მანქანას ატარებს." | 107 | 4.59 | 0.86 |
| 10 | *„ზოგადად, ბავშვების აღზრდისას მამა მეტი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს, ვიდრე დედა." | 106 | 4.61 | 0.78 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | *„ქალებმა ქორწინებამდე სქესობრივი/ინტიმური ურთიერთობებისგან თავი უნდა შეიკავონ." | 107 | 3.95 | 1.31 |
| 12 | *„კანონი ქმარს უნდა ანიჭებდეს უპირატესობას ქონების ან შემოსავლის გაყოფისას." | 107 | 4.3 | 1.38 |
| 13 | *„საზოგადოების ინტელექტუალური წინამძღოლობა კაცის ხელში უნდა იყოს." | 107 | 4.67 | 0.77 |
| 14 | *„ბევრი ისეთი სამუშაოა, სადაც კაცებს დასაქმებისას მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოთ, ვიდრე ქალებს." | 107 | 3.92 | 1.19 |
| 15 | **„თანამედროვე გოგო ისეთივე თავისუფალი უნდა იყოს კონტროლისა და მართვისგან, როგორც თანამედროვე ბიჭი." | 106 | 4.38 | 1.03 |

*კითხვები 1, 3, 6, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 ეყრდნობა ლიკერტის ხუთბალიან სკალას, სადაც „1" ="სრულიად ვეთანხმები", „2"= „უფრო ვეთანხმები", „3"= „არც ვეთანხმები და არც უარვყოფ," „4" = „უფრო არ ვეთანხმები" „5"= „საერთოდ არ ვეთანხმები"

**2, 4, 5, 7, 15 კითხვების შემთხვევაში, „1"= „საერთოდ არ ვეთანხმები", „2"= „უფრო არ ვეთანხმები", „3"= „არც „3" არც ვეთანხმები და არც უარვყოფ," „4" "უფრო ვეთანხმები", „5"= „სრულიად ვეთანხმები"

6.2.1.1 სქესი და გენდერსენსიტურობა

გენდერსენსიტიურობასა და სქესს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი დადასტურდა, იმგვარად, რომ ქალები მეტი გენდერსენსიტიურობით გამოირჩევიან (ამასთან, ორივე სქესის გენდერსენსიტიურობის მაჩვენებლები მაღალია).

სტატისტიკური ტესტი (One-way ANOVA) ადასტურებს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას ქალის (M=4.81, SD=.51) და

მამაკაცის (M =4.22, SD=.76) გენდერსენსიტიურობის საშუალო მაჩვენებლებს შორის; (t(102) =-1.92, p=.057). რაც ადასტურებს, რომ მიუხედავად ორივე სქესის გენდერსენსიტიურობის მაღალი მაჩვენებლებისა, ქალები უფრო გენდერსენსიტიურები არიან, ვიდრე კაცები.

6.2.1.2 განათლება და გენდერსენსიტიურობა

განათლების დონეებსა და გენდერსენსიტიურობას შორის კავშირის დასახასიათებლად ჩავატარეთ სტატისტიკური ტესტი (One-way ANOVA), რომელმაც აჩვენა, რომ ამ ჯგუფების გენდერსენსტიურობის მაჩვენებლები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება ($F(4,98) = 3.26$, $p = .02$).

ტესტის მიხედვით, დოქტორანტები ნაკლებად გენდერსენსიტიურები გამოჩნდნენ, ვიდრე მაგისტრანტები და ბაკალავრები. თუმცა, მოპასუხეთა რაოდენობა ცალკეულ ჯგუფებში არ არის საკმარისი დასკვნების გასაკეთებლად, ამიტომ, შედეგების გასამყარებლად შემდგომი კვლევაა საჭირო.

6.2.1.3 სხვა დემოგრაფიული ცვლადები და გენდერსენსიტიურობა

სხვა დემოგრაფიულ ცვლადებს (ასაკი, აღმსარებლობა, შემოსავალი, ოჯახური მდგომარეობა, შვილების რაოდენობა) და გენდერსენსიტიურობას შორის კავშირი არ დადასტურდა სტატისტიკური ტესტით.

**6.2.2 აბორტის მიმართ დამოკიდებულება (აბორტსენსიტიურობა)**

კვლევის მიერ დაყენებული ჰიპოთეზის მიხედვით, **ჟურნალისტები არიან აბორტის მიმართ უარყოფითად განწყობილნი (H4).**

ჰიპოთეზის გასამყარებლად მკვლევარმა 10 კითხვიანი კითხვარი გამოიყენა, რომელიც ეყრდნობა აპრობირებულ სკალას და საერთო სოციალური გამოკითხვის (GSS) ნაწილია (Embree,1998).

კითხვარი სხვადასხვა დებულებებისგან შედგება, რომლებიც აბორტის გაკეთების სხვადასხვა მიზეზებს აღწერს. ამ დებულებების

მიმართ თავიანთი დამოკიდებულება რესპონდენტებმა ხუთბალიან ლიკერტის სკალაზე დააფიქსირეს, სადაც „1“ შეესაბამება პოზიციას „სრულიად არ ვეთანხმები,“ ხოლო „5“- პოზიციას „სრულიად ვეთანხმები’. (იხ. ცხრილი N13).

სკალის სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ სტატისტიკური ტესტი (Cronbach’s alpha test). შედეგად დადასტურდა, რომ 10-კითხვიანი სკალის სანდოობა მაღალია (α=.88, M=2.41, SD=.85).

აბორტის მიმართ დამოკიდებულების გამოსაკვლევ კითხვებზე (ცხრილი N13) პასუხების დაჯამებით მიღებულ იქნა ახალი ცვლადი აბორტსენსიტიურობა (ასი). ცვლადის „აბორტსენსიტიურობა“ საშუალო მაჩვენებელი (M=2.41, SD=.85) აჩვენებს, რომ აბორტის მიმართ სენსიტიურობა, ანუ აბორტის გამართლების ინდექსი საშუალოზე დაბალია. ჰიპოთეზა დადასტურებულია.

ამ კომპონენტის საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: ***აბორტის მიმართ დამოკიდებულების როგორი დონე იკვეთება ჟურნალისტებში (RQ14)?***

დაჯამებული ცვლადის „აბორტსენსიტიურობა“ საშუალო მაჩვენებელი (M=2.41, SD=.85) მდებარეობს ნიშნულებს „2“ - უფრო არ ვეთანხმები” და „3“ – „არც ვეთანხმები და არც ვუარყოფ“ შორის ანუ, ახლოსაა საშუალო, ნეიტრალურ მაჩვენებელთან. ეს ნიშნავს, რომ ჟურნალისტებსა და რედაქტორებში დაბალი, მაგრამ ნეიტრალურ პოზიციასთან მაქსიმალურად დაახლოებული დონე დაფიქსირდა. ადამიანები უფრო არ ამართლებენ ქალის აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებას, ანუ უფრო სიცოცხლის მომხრეები არიან (Pro-life), ვიდრე არჩევანის (Pro-choice) მომხრეები.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ აბორტის რიგი მიზეზების (ქალის ჯანმრთელობა, ზიანი, გაუპატიურება ა.შ. ) მიმართ რესპონდენტებს უფრო ტოლერანტული დამოკიდებულება აქვთ, სხვა მიზეზებს, როგორებიცაა სქესის შერჩევა, მშობლების სურვილი შვილმა გაიკეთოს აბორტი, გათხოვების თავიდან არიდება, საკითხისადმი ფილოსოფიური

დამოკიდებულება, ფინანსური შესაძლებლობა, რესპონდენტები ნაკლებად ტოლერანტულად უდგებიან (იხ. ცხრილი N13).

აღსანიშნავია, რომ ათი კითხვიდან ყველაზე უარყოფითად რესპონდენტები სწორედ სქესის შერჩევის მიზნით აბორტის გადაწყვეტილებას ეხმიანებიან (M=1.32, SD=.73), კერძოდ დამოკიდებულება დებულების მიმართ „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ნაყოფი გოგოა და ქალს ბიჭის გაჩენა სურს" საშუალოდ პასუხი ნიშნულ „სრულიად არ ვეთანხმები" და „უფრო არ ვეთანხმები"-ს შორის ფიქსირდება. მსგავსი პოზიცია დაფიქსირდა შემდეგი დებულებისადმი: „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მის მშობლებს სურთ, რომ აბორტი გაიკეთოს"( M1.35, SD=.67).

რესპონდენტების აზრი ქვემოთ მოყვანილ დებულებებიდან დაკავშირებით მერყეობს პოზიციებს „უფრო არ ვეთანხმები" და „არც ვეთანხმები და არც უარვყოფ" შორის, ანუ სკალის შუა ნიშნულზე: „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მას არ უნდა ცოლად გაყვეს ბავშვის მამას" (M 2.21, SD=1.18); „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ის ფიქრობს, რომ ორსულობის შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერი მიზეზით, ორსულობის ნებისმიერ დროს" (M=2.26, SD=1.22); კერძოდ, გამოკითხულთა 64.1% არ ეთანხმება ქალის გადაწყვეტილებას, რომ მან შეწყვიტოს ორსულობა ნებისმიერი მიზეზით და ნებისმიერ დროს, ხოლო 21, 4% კი ეთანხმება. მსგავსი რეაქციაა დებულებაზე „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ოჯახს დაბალი შემოსავალი აქვს და ბავშვის რჩენა არ შეუძლია" (M=2.38, SD=1.19). შუა ნიშნულთან ყველაზე ახლოსაა, ანუ ნაკლებად ნეგატიური განწყობაა აბორტის გაკეთების შემდეგი მიზეზის მიმართ: „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მაღალი შანსია, რომ ბავშვს სერიოზული შეზღუდულობა/ნაკლი ექნება" (M=2.63, SD=1.32) და „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ის მზად არ არის შვილის ყოლისთვის" (M=2.71,SD=1.42).

ყველაზე ახლოს საშუალო ნიშნულთან „3" – „არც ვეთანხმები და არც ვუარყოფ" განლაგდა რესპონდენტების დამოკიდებულება დებულებისადმი: „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ორსულობა გაუპატიურების შედეგია" (M=2.96, SD=1.4).

რესპონდენტები უფრო ეთანხმებიან აბორტის გადაწყვეტილებას, გამოხატულს შემდეგ დებულებაში: „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ორსულობის გაგრძელება დააზიანებს მის ჯანმრთელობას" (M=3.65, SD=1.32).

ცხრილი N 14. აბორტის გამართლების სკალა

| N | კითხვები | *n* | *M* | *SD* |
|---|---|---|---|---|
| 1 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ის მზად არ არის შვილის ყოლისთვის." | 101 | 2.71 | 1.42 |
| 2 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მას არ უნდა ცოლად გაყვეს ბავშვის მამას." | 102 | 2.21 | 1.18 |
| 3 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მის მშობლებს სურთ, რომ აბორტი გაიკეთოს." | 102 | 1.35 | 0.67 |
| 4 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მაღალი შანსია, რომ ბავშვს სერიოზული შეზღუდულობა/ ნაკლი ექნება." | 106 | 2.63 | 1.32 |
| 5 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ორსულობა გაუპატიურების შედეგია." | 103 | 2.96 | 1.4 |
| 6 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ოჯახს დაბალი შემოსავალი აქვს და ბავშვის რჩენა არ შეეძლებათ." | 103 | 2.38 | 1.19 |
| 7 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ის ფიქრობს, რომ ორსულობის შეწყვეტა შეუძლია ნებისმიერი მიზეზით, ორსულობის ნებისმიერ დროს." | 103 | 2.26 | 1.22 |
| 8 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ მას აღარ უნდა მეტი შვილი." | 103 | 2.61 | 1.31 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ნაყოფი გოგოა და ქალს ბიჭის გაჩენა სურს.” | 103 | 1.32 | 0.73 |
| 10 | „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ორსულობის გაგრძელება დააზიანებს მის ჯანმრთელობას.” | 107 | 3.65 | 1.32 |

*„1”= “საერთოდ არ ვეთანხმები”, „2”= “უფრო არ ვეთანხმები”, „3”= „არც ვეთანხმები და არც უარვყოფ,” „4” = „უფრო ვეთანხმები” „5”= „სრულიად ვეთანხმები”*

6.2.2.1 აღმსარებლობა და „ასი”

ცვლადების შედარებითმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ აღმსარებლობასა და აბორტსენსიტიურობას შორის კავშირის დასადგენად ჩავატარეთ სტატისტიკური ტესტი (One way ANOVA). კავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია *F*= 2,94=6.57, p= .002. დამატებით, Post-Hoc-ტესტმა გვაჩვენა, რომ განსხვავება შესამჩნევია მხოლოდ ორ ჯგუფს შორის („მართლმადიდებელი ქრისტიანები” და აღმსარებლობა „არ გამაჩნია”).

ცხრილი N 15. აღმსარებლობა და „ასი”

| | n | M | SD |
|---|---|---|---|
| მართლმადიდებელი ქრისტიანი | 78 | 2.28 | 0.84 |
| გრეგორიანი ქრისტიანი | 1 | 2.5 | |
| სხვა | 6 | 2.4 | 0.4 |
| არ გამაჩნია | 13 | 3.15 | 0.59 |
| სულ | 98 | 2.4 | 0.84 |

6.2.2.2 სხვა დემოგრაფიული ცვლადები და აბორტსენსიტიურობა

სხვა დემოგრაფიულ ცვლადებს (ასაკი, სქესი, განათლება, შვილების რაოდენობა, შემოსავალი) და აბორტსენსიტიურობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოიკვეთა.

## 6.3 კორელაცია გენდერსენსიტიურობასა და აბორტსენსიტიურობას შორის

როგორც კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, გენდერსენსიტიურობასა და აბორტსენსიტიურობას შორის არსებობს სუსტი პოზიტიური კორელაცია ($r=.2$, $p=.058$), რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ცვლადის ზრდა ან შემცირება იწვევს შესაბამისად მეორის ზრდას ან შემცირებას. ანუ, რაც უფრო მაღალია გენდერსენსიტიურობა, მით უფრო მაღალია აბორტის გამართლების ინდექსი.

## 6.4 სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულება

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, **ჟურნალისტები არიან სელექციური აბორტის მიმართ უარყოფითად განწყობილნი (H5).**

ჰიპოთეზის გასამყარებლად მკვლევარი დაეყრდნო საერთო სოციალური გამოკითხვის (GSS) აპრობირებული სკალის (Embree,1998) კითხვას, რომელიც რესპონდენტების დამოკიდებულებას ზომავს შემდეგი დებულების მიმართ „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ნაყოფი გოგოა და ქალს ბიჭის გაჩენა სურს." ამ დებულების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება რესპონდენტებმა ხუთბალიან ლიკერტის სკალაზე დააფიქსირეს, სადაც „1" შეესაბამება პოზიციას „სრულიად არ ვეთანხმები," ხოლო „5"- პოზიციას „სრულიად ვეთანხმები"(იხ. ცხრილი N13).

კითხვაზე პასუხების საშუალო მაჩვენებელი ($M=1.32$, $SD=.73$) საშუალოზე დაბალია. რესპონდენტები უარყოფითად აფასებენ ქალის გადაწყვეტილებას სქესის შერჩევის მიზნით აბორტი გაიკეთოს. ჰიპოთეზა დადასტურებულია.

ამ კომპონენტის საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: სელექციური აბორტის მიმართ დამოკიდებულების როგორი დონე იკვეთება ჟურნალისტებში RQ15 ?

საკვლევ კითხვაზე საპასუხოდ მკვლევარი დაეყრდნო საერთო სოციალური გამოკითხვის (GSS) აპრობირებული სკალის (Embree,1998) კითხვას, რომელიც რესპონდენტების დამოკიდებულებას ზომავს შემდეგი დებულების მიმართ „ქალი აბორტს იკეთებს იმიტომ, რომ ნაყოფი გოგოა და ქალს ბიჭის გაჩენა სურს." ამ დებულების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება რესპონდენტებმა ხუთბალინ ლიკერტის სკალაზე დააფიქსირეს, სადაც „1" შეესაბამება პოზიციას „სრულიად არ ვეთანხმები," ხოლო „5"- პოზიციას „სრულიად ვეთანხმები' (იხ. ცხრილი N13).

კითხვაზე პასუხების საშუალო მაჩვენებელი (M=1.32, SD=.73) მდებარეობს ნიშნულებს „1" - საერთოდ არ ვეთანხმები" და „2" - უფრო არ ვეთანხმები" შორის. ადამიანები უფრო არ ამართლებენ ქალის გადაწყვეტილებას აბორტი ნაყოფის სქესიდან გამომდინარე გაიკეთოს.

### 6.5 ჟურნალისტების და რედაქტორების გენდერსენსიტიურობის კვლევის დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ ჟურნალისტთა უმრავლესობა, განურჩევლად სქესისა - გენდერსენსიტიურია. გენდერსენსიტიურობის მაჩვენებელი მაღალია. ქალების გენდერსენსიტიურობა კაცების გენდერსენსიტიურობაზე უფრო მაღალია.

ამასთან, ჟურნალისტები და რედაქტორები აბორტის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი. კვლევის მიხედვით, აბორტსენსიტიურობის ინდექსი საშუალოზე დაბალი აღმოჩნდა, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალისტები არიან უფრო სიცოცხლის მომხრეები, ვიდრე არჩევანის მომხრეები.

ჟურნალისტები და რედაქტორები განსაკუთრებით არ ამართლებენ სელექციურ აბორტს. ამ ტიპის აბორტის მიმართ რესპონდენტებმა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირეს.

აბორტის მიმართ დამოკიდებულების ჭრილში, სქესი უმნიშვნელო ფაქტორია.

კვლევის დროს განათლებას და აბორტსენსიტიურობასა და აღმსარებლობასა და აბორტსენსიტიურობას შორის საყურადღებო კავშირები გამოიკვეთა, რაც ამ საკითხების შემდგომ კვლევას საჭიროებს. კერძოდ, „მართლმადიდებელ ქრისტიანებში" აბორტსენსიტიურობის ინდექსი გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე რესპონდენდენტებში, რომლებსაც „აღმსარებლობა არ გააჩნიათ", რაც ლოგიკურია. თუმცა, მაღალი საგანმანათლებლო ცენზის ადამიანები ნაკლებად გენდერსენსიტიურები გამოჩნდნენ, ვიდრე მაგისტრანტები და ბაკალავრები, რაც მოულოდნელი შედეგი აღმოჩნდა.

გენდერსენსიტიურობა და აბორტსენსიტიურობა სუსტ, მაგრამ დადებით კორელაციურ კავშირშია იმგვარად, რომ მეტად გენდერსენსიტიური ჟურნალისტები შესაძლოა მეტად განიხილავდნენ აბორტს, როგორც ქალის არჩევანს.

# თავი 7. დისკუსია

წინამდებარე კვლევა საშუალებას გვაძლევს თვალყური მივადევნოთ, თუ როგორ აშუქებს მედია სელექციური აბორტის პრაქტიკას და რა როლს თამაშობს ის საზოგადოებრივი აზრის და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში.

სელექციური აბორტი, სქესობრივი უთანასწორობის და დისკრიმინაციის ერთ-ერთი რადიკალური ფორმაა, რომელიც საქართველოშია გავრცელებული. ბოლო მონაცემებით, საქართველოში 2017 წელს სქესთა შორის თანაფარდობა ნორმას აჭარბებს; მამრობით და მდედრობით ახალშობილთა თანაფარდობის ნორმაა 105:100, საქართველოში კი ყოველ პირველ 100 ახალშობილ გოგონაზე 107 ვაჟი ჩნდება. შეფარდება იცვლება მომდევნო შვილების შემთხვევაში და, მაგალითად, მესამე შვილის შემთხვევაში, მამრობითი და მდედრობითი ახალშობილების თანაფარდობაა 114:100 (საქსტატი, 2018).

საქართველომ სელექციური აბორტის პრობლემის გადაჭრა მისი აკრძალვით სცადა: 2014 წლიდან ქართულმა კანონმდებლობამ ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენება სქესის შერჩევის მიზნით აკრძალა.

ცნობილია, რომ მედიას შეუძლია ჩვენი დამოკიდებულების შეცვლა რაიმე საკითხის მიმართ, მაგალითად, მეტი ან ნაკლები სიხშირით საკითხის გაშუქებით, გაშუქების კუთხის, ე.წ. ფრეიმის და ტონის შერჩევით (Hester and Gibson, 2003). შესაბამისად, უფრო ნეგატიური ტონით და გამამტყუნებელ კონტექსტში ამა თუ იმ ფენომენის გაშუქება ამცირებს მის მხარდაჭერას, ხოლო პოზიტიური გაშუქება საპირისპირო ეფექტს იწვევს.

აღსანიშნავია, რომ აბორტისა და სელექციური აბორტის თემებს ქართული მედია ნაკლებ ყურადღებას აქცევს. კვლევამ 2007 წლიდან 2014 წლამდე 12 მედისაშუალების მიერ შექმნილ საინფორმაციო კონტენტში მხოლოდ 322 მასალა გამოავლინა, რომელიც აბორტის და სელექციური აბორტის თემას ეხება. სელექციური აბორტის თემას ზოგადად აბორტის შესახებ მომზადებული მასალების მხოლოდ მესამედი (69) ეხება. ეს მიგნება

თანხვედრაშია ამერიკის შეერთებული შტატების მედიასაშუალებების კვლევასთან (Woodruff, 2019), რომელმაც აჩვენა, რომ აბორტის თემა უპირატესად ახალი ამბების ფორმატში შუქდება, როგორც პოლიტიკური, და არა ჯანრთელობის საკითხი, შესაბამისად, ამ საკითხის სიღრმისეული განხილვა არ ხდება. ამ კვლევის მიხედვით, უსაფრთხო აბორტის უსაფრთხოების და ზოგადად აბორტის შესახებ აუცილებელი სამედიცინო ინფორმაცია მედიაში არ მოიძიება, რაც ნიშნავს, რომ ახალი ამბები არ წარმოაჩენს აბორტს, როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის აუცილებელ მომსახურებას.

აბორტის და სელექციური აბორტის თემას ყველაზე ხშირად ლიბერალური მედია აშუქებს, ნაკლებად - ცენტრისტული მედია, ყველაზე იშვიათად - კონსერვატიული მედია. ლიბერალური მედია აბორტის თემას და ნეიტრალურ ფაქტობრივ ჭრილში აშუქებს საკითხს. კონსერვატიული მედია გამატყუნებელ ფრეიმებს იყენებს ყველაზე ხშირად, ცენტრისტული მედია კი - თანაბრად იყენებს გამამტყუნებელ და ნეიტრალურ ფრეიმებს. რაც შეეხება სელექციურ აბორტებს, სამივე ტიპის მედია ნეიტრალურ ან გამამტყუნებელ ფრეიმებს იყენებს.

ჯამურად, ქართულ მედია-კონტენტში აბორტის და სელექციური აბორტის გამამტყუნებელი და ნეიტრალური ფრეიმები ჭარბობს გამამართლებელი და ამბივალენტურ ფრეიმებს. ეს მიგნება ეხმიანება სხვა კვლევების შედეგებს; დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ნეგატიური გაშუქების და მასტიგმატიზებელი ენის ხშირი გამოყენება აბორტთან მიმართებით (Purcell, Hilton, & McDaid, 2014). ამასთან, რაც უფრო სიღრმისეული იყო აბორტის გაშუქება, მით უფრო მეტად მასტიგმატიზებელი ენის შემცველი იყო ის (Nixon et al, 2016).

აბორტისა და სელექციური აბორტის შესახებ არსებულ მედიადისკურსში ინიციატივას სახელმწიფო და ეკლესია ფლობს. ცნობილია, რომ მედია აშუქებს იმ მოვლენებს, რომლითაც კონკრეტულ პერიოდში პოლიტიკური და სხვა მმართველი ძალები დღის წესრიგში ხვდებიან. სახელმწიფო თავისი საკანონმდებლო ინიციატივებით

(სელექციური აბორტის კრიმინალიზაცია) და დემოგრაფიული პოლიტიკის წამახალისებელი ინიციატივებით ცდილობს დაამკვიდროს საკითხის საკუთარი ხედვა. სახელმწიფოს სურს გადაჭრას პრობლემა, რომელიც, მისი აზრით, სახელმწიფოს დემოგრაფიულ განვითარებას აფერხებს და ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება.

ეკლესია თავის ტრიბუნას და მედიაარხებს (მაგალითად, საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებს) სტაბილურად იყენებს აბორტის, როგორც ცოდვილ და ამორალურ ქცევად და უარყოფით მოვლენად წარმოსაჩენად. მსგავსი შედეგი დადგა უგანდაში ჩატარებულ მედიაკვლევაში, რომლის მიხედვით, აბორტი გაშუქებაში ჭარბობდა რელიგიური დისკურსი და კათოლიკური ეკლესიის ზეგავლენა. მთლიან მედიადისკურსში, პოლიტიკური სტეიკჰოლდერების განცხადებების სიმცირე დაფიქსირდა (Larsson et al, 2015). ეს სურათი განსხვავდება საქართველოში არსებული მდგომარეობისგან, სადაც როგორც სახელმწიფოს, ისე ეკლესიის აქტიურობა და მათ მიერ შექმნილი გზავნილები ახალი ამბებისათვის მიმზიდველია და მედია, მათ შორის, ლიბერალური მედიაც, ხელს უწყობს სახელმწიფოს და ეკლესიის მიერ ინიცირებული დისკურსების გავრცელებას.

საზოგადოებრივმა დისკურსმა აბორტის შესახებ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სახელწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე აბორტის მიმართ (Coleman, Thorson, & Wilkins, 2011; Gamson). ფრეიმინგის კვლევების მიხედვით დადგენილია, რომ ის, თუ როგორ ხდება საკითხის აღწერა, ვინ არის წყარო, რომელი პერსპექტივა არის მეტად გაშუქებული, განსაზღვრავს საკითხის რომელ მხარეს მიიჩნევს საყურადღებოდ აუდიტორია, და რომელი მხარე გაქრება დისკურსიდან (Altheide, 1987; Gamson & Modigliani, 1989). ის ფაქტი, რომ ეკლესია და სახელმწიფო დომინანტურ დისკურსს ქმნიან აბორტის და სელექციური აბორტის ირგვლივ, მედია კი უპირობოდ ავრცელებს დომინანტურ დისკურსებს, ხელს უწყობს ძალაუფლების მპყრობელი ჯგუფების მიერ ინიცირებული პოლიტიკის ფორმირებას.

აბორტის და სელექციური აბორტის გაშუქებაში ქალები, როგორც ჯგუფი, ასოცირდება ნეგატიურ სტერეოტიპებთან, პრობლემასთან და

საფრთხესთან. აბორტზე პასუხისმგებლობა ქალებს, როგორც ჯგუფს ეკისრება. („კარგი იქნება, თუ თვითონ ქალები არ წავლენ აბორტზე"; „დედამ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე დგას და ამ პრობლემის გადაჭრის რა გზას ირჩევს" (*ინტერპრესნიუსი, 10.01.2014).* ასეთმა მედიაგაშუქებამ შესაძლოა უფრო შეამციროს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა ქალზე ორიენტირებული პოლიტიკის მხარდაჭერისადმი (Gilliam & Luengar, 2000)

მედიამ, განსაკუთრებით ლიბერალურმა მედიამ, მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს აბორტის შესახებ უფრო სრული სურათის წარმოსადგენად, არ შემოიფარგლოს მხოლოდ იმ სტეიკჰოლდერებისთვის ტრიბუნის მიცემით, ვინც აქტიურია და მეტი ინფორმაცია მოიძიოს გარეთ: დაეყრდნოს კვლევით ინსტიტუტებს, სამეცნიერო ჯგუფებს, რომ დომინანტური გაშუქება დააბალანსოს. როგორც სისონი, ჰეროდი და ვუდროფი (2017) აღნიშნავენ, ჟურნალისტებმა, აბორტის გაშუქებისას უნდა გადმოსცენ პერსონალური ისტორიები, რომ გაადამიანურონ ის პრობლემატიკა, რომელსაც ეხებიან (Sisson, Herold & Woodruff, 2017).

როგორც წინამდებარე კვლევაში გამოჩნდა, აბორტი და სელექციური აბორტი წარმოდგენილია, როგორც საშიში, ამორალური, კატასტროფული მოვლენა. სახელმწიფო სელექციური აბორტის თემის გადაჭრას ცდილობს სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებით, რომლებიც აბორტის აკრძალვასა და კრიმინალიზაციაზეა ორიენტირებული, და ამ პოლიტიკას აბორტის ეროვნულ - დემოგრაფიულ საფრთხედ წარმოჩენით ამართლებს. ამ პოლიტიკის გასააზრებლად გასათვალისწინებელია ბიო-ძალაუფლების ფუკოსეული კონცეფცია. ბიო-ძალაუფლებას ფუკო (Foucault, 1998) განიხილავს, როგორც დისციპლინირებულ ძალაუფლებას, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს მოსახლეობის კონტროლისათვის ძალაუფლების სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით. ის ისეთი ბიოლოგიური პროცესების დარეგულირებას გულისხმობს, როგორიცაა შობადობა, კვდომა, ჯანმრთელობა. ფუკოს აზრით, ეპოქა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ადამიანების, მათი სხეულების მართვის ხანა.

ფუკოს თეორიის ჭრილში განხილული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას ინსტრუმენტალიზებული აქვს აბორტის პოლიტიკა ძალაუფლების გასატარებლად. აბორტის გაშუქებაში ჭარბობს დემოგრაფიული და მორალური კატასტროფის ფრეიმები, რომელთა ყველაზე ხშირი წყაროებია სახელმწიფო მოხელეები და ეკლესიის მეთაური არიან. ამ ტიპის დისკურსს ქმნის სახელმწიფო და ეკლესია, როგორც ორი ყველაზე ძლიერი ძალაუფლებისმპყრობელი ჯგუფი, მოსახლეობის და კონკრეტულად ქალის კონტროლის მიზნით. ეს პოლიტიკა პატრიარქალური კონტროლის მექანიზმია, რასაც მედია უწყობს ხელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური მედიაც ყველაზე ხშირად სახელმწიფო მოხელეებს და პატრიარქს ეყრდნობა, ქალის პოზიციას დისკურსში არ ასახავს და ამით ხელს უწყობს ფუკოსეული ბიო-ძალის განხორციელებას.

## 7.1 ქრონოლოგია

სახელმწიფოს და ეკლესიის როლს აბორტის და სელექციური აბორტის თემის კომუნიკაციაში ადასტურებს მასალების ქრონოლოგიური განაწილებაც. მასალები საკვლევი პერიოდის მანძილზე არაერთგვაროვნად არის გადანაწილებული. კვლევაში იდენტიფიცირებული 332 მასალის მესამედზე მეტი (119) 2014 წელს დაიბეჭდა. სწორედ 2014 წლიდან აიკრძალა ქართული კანონმდებლობით ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენება სქესის შერჩევის მიზნით, რაც ადასტურებს, რომ მედიას თემებს პოლიტიკური ისტაბლიშმენტი კარნახობს. 2014 წლამდე მედია ყურადღებას არ იჩენდა საკითხის მიმართ, რაც პოლიტიკური ელიტების და მთლიანად საზოგადოების მხრიდან საკითხის მიმართ ნაკლები ინტერესით აიხსნება. სელექციური აბორტის ფენომენის მცირედი გაშუქება საქართველოს მედიაში მხოლოდ 2009 წლიდან ჩნდება (ცომაია, 2009, 1 ივნისი). 2011 წელს 30 მასალა დაიბეჭდა, რაც პოლიტიკურ მოვლენას, კერძოდ 2011 წელს ევროსაბჭოს მიერ გამოცემულ სპეციალურ

რეზოლუციას უკავშირდება. რეზოლუციაში ევროსაბჭო საქართველოს მთავრობასაც მოუწოდებს ყურადღება მიაქციოს სელექციური აბორტის პრობლემას, როგორც გენდერული ძალადობის უკიდურეს ფორმას. ამ პერიოდშივე გავრცელდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოწოდებაც, რომ საქართველომ შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრისკენ, მათ შორისაა პატრიარქალური დამოკიდებულებები, გენდერული სტერეოტიპები, ადრეული ქორწინების ფაქტები და სელექციური აბორტი (CCPR/C/GEO/CO/4, გვ. 4). მსგავსი მოწოდებები პოლიტიკოსების დაინტერესებასა და გააქტიურებას იწვევს, და აბორტსა და სელექციურ აბორტს პოლიტიკის და მედიის დღის წესრიგში აყენებს.

მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა ქვეყნების მაგალითზეც. აბორტის საკითხის გაშუქებაში პოლიტიკა დომინირებს, რასაც ადასტურებს საპრეზიდენტო არჩევნების წინ აბორტის მეტი ინტენსიურობით გაშუქება (Perse et al., 1997). მკვლევრებმა (Cappella & Jamieson, 1997) აჩვენეს, რომ აბორტის თემა ელექტორალური საკომუნიკაციო სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ისეთ საკითხებთან ერთად, როგორიცაა ჯანდაცვის სისტემის რეფორმა, კლიმატური ცვლილება და განათლება, იმ მხრივ, რომ საკითხი პარტიული სტრატეგიული კომუნიკაციის ნაწილია და არა თავისთავადი პოლიტიკის საკითხი. შესაბამისად, ასეთმა ფოკუსმა სტრატეგიაზე და არა თავად საგანზე, შესაძლებელია დააზიანოს მოქალაქეების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი სხვადასხვა პოლიტიკის საკითხებზე და გამოიწვიოს ხმის მიმცემთა აპათია (Cappella & Jamieson, 1997; Patterson, 2005).

### 7.2 ფრეიმები

როგორც აღვნიშნეთ, აბორტი და სელექციური აბორტი მეტწილად ასახულია გამამტყუნებელ კონტექსტში, პატრიარქალურ ღირებულებრივ

ჭრილში, შესაბამისი სტრუქტურითა და ენით, რასაც ჟურნალისტური მასალების რაოდენობრივი კონტენტანალიზი და თემატური ანალიზი ადასტურებს. ამ დისკურსს აკონტროლებს სახელმწიფო და ეკლესია.

### 7.2.1 „დემოგრაფიულ-ნაციონალისტური“ ფრეიმი

განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოს და ეკლესიის მხრიდან დემონსტრირებული ზრუნვა ერის გადაშენების შესამცირებლად, გამოხატული დემოგრაფიულ-ნაციონალისტურ ფრეიმში. ამ ფრეიმის ფარგლებში, აბორტი და სელექციური აბორტი წარმოდგენილია, როგორც დემოგრაფიული პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს და ქართველ ერს, რისთვისაც  პასუხისმგებლობა ქალს ეკისრება.

მედია საშუალებებისათვის აბორტის და სელექციური აბორტის, როგორც დემოგრაფიული პრობლემის წარმოჩენა დომინანტური და უპირატესია. ჩვენს კვლევაში  ერთ-ერთი დომინანტური ფრეიმი - „დემოგრაფიულ-ნაციონალისტური“ ფრეიმია. მას, როგორც აღვნიშნეთ, აქტიურად ახმოვანებს ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი - სახელმწიფო და ეკლესია.

აბორტის დემოგრაფიული კრიზისის კონტექსტში განხილვა არ წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს მედიისთვის დამახასიათებელ სურათს. ასეთი გაშუქება დამახასიათებელია ევროპული დისკურსისათვისაც, სადაც კავშირი აშკარაა აბორტის სტიგმატიზაციას, ქალთა რეპროდუქციულ გადაწყვეტილებებსა და ნაციონალისტურ დისკურსს შორის (Kirkham, 2013). აქაც აბორტი ხშირად განიხილება დემოგრაფიული კრიზისის პრიზმაში. ასეთი დისკურსი დამახასიათებელია ცენტრალური და დასავლეთ ევროპული ქვეყნებისათვის, მაგალითად რუსეთისთვის (Rivkin-Fish, 2003), უკრაინისთვის (Zhurzhenko, 2012) და პოლონეთისთვის (Mishtal, 2012). დემოგრაფიული კრიზისი ძლიერ რეზონანსს იწვევს რეგიონში და აბორტის, დედობისა და გამრავლების გარშემო არსებული დებატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

დემოგრაფიულ ჭრილში განიხილება სელექციური აბორტის თემაც. მედია სელექციურ აბორტს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს, მაგრამ არა როგორც გენდერულ დისკრიმინაციას ან "გენდერციდს" (Lee, 2017), არამედ როგორც დემოგრაფიულ საფრთხეს. სელექციურ აბორტთან დაკავშირებული უკანასკნელი დებატების ანალიზის მიხედვით, ლიმ დაასკვნა, რომ სელექციური აბორტის პრობლემა სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც გენდერული დისკრიმინაცია და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ანუ „გენდერციდი" (Lee, 2017). ამის საპირისპიროდ, საქართველოში, სელექციური აბორტების თემა, ისევე, როგორც ზოგადად აბორტის თემა, გამამტყუნებელ კონტექსტშია წარმოდგენილი, მაგრამ არა როგორც გენდერული დისკრიმინაციის ფორმა, არამედ, როგორც ერის გადაშენების წინაპირობა და საფრთხე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „გენდერციდი" ქართულ მედიაგაშუქებაშიც შეგვხვდა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მასალაში. სელექციური აბორტის ამგვარმა ინტერპრეტაციამ ვერ ჰპოვა ფართე გავრცელება.

თუ მედიაში - როგორც ლიბერალურში, ასევე, კონსერვატიულში - ჭარბობს აბორტის, როგორც ერის დემოგრაფიული განვითარების საფრთხის თემა, რაზეც პასუხისმგებელი ქალია, სელექციური აბორტის გაშუქებაშიც ჭარბობს გამამტყუნებელი ფრეიმინგი, დემოგრაფიული თემა და ქალის მასტიგმატიზებელი დისკურსი. ის რომ სელექციური აბორტი ქალების დისკრიმინაციაა, ამ დისკურსში არ არის ასახული. ამის ცნობიერება არ არის არც ჟურნალისტებში და არც წყაროებში. აქცენტი არ კეთდება სელექციურ აბორტთან დაკავშირებულ მთავარ სოციალურ ფაქტორზე - გენდერულ უთანასწორობაზე.

ამგვარად, სელექციური აბორტის მედიაგაშუქების ფოკუსში სახელმწიფოა და არა ქალი. ქალი ამ შემთხვევაში გვევლინება პრობლემის სათავედ, ხოლო პრობლემის გადაჭრად -- ის, რომ სახელწიფო ქალს აბორტის გაკეთებას აუკრძალავს. სახელმწიფო ქალს აკისრებს პასუხისმგებლობას დემოგრაფიულ კატასტროფაზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სტიგმას. მკვლევრები ეკლუნდი და პურვალი სელექციურ

აბორტებზე მსჯელობისას ავითარებენ აზრს, რომ სელექციური აბორტის კრიმინალიზაცია დევიაციას და სტიგმას გააძლიერებს. სხვა მკვლევრებიც თავიანთ ნაშრომებში ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა და ინტერვენცია უნდა ეხებოდეს თავად სოციალურ ფაქტორს და არა მის გამოვლინებას და შესაბამის ამკრძალავ მექანიზმებს (Hatzenbuehler, Phelan, & Link, 2013).

ნაციონალისტურ-დემოგრაფიული ფრეიმი აქტუალურია ეკლესიის დისკურსში. ეკლესია ეყრდნობა დემოგრაფიულ, მორალისა და ცოდვის ფრეიმებს. იგივე ფრეიმებს იყენებს ეკლესია სელექციურ აბორტზე საუბრისას, თუმცა უფრო ნაკლები სიმძაფრითა და ინტენსივობით. შესაძლოა, ეს აიხსნას იმით, რომ სელექციური აბორტი, სქესობრივი უთანასწორობის და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა, ამ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება კი ეკლესიისათვის პრიორიტეტული არ არის. ზოგადად, აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში პატრიარქალური - აკრძალვებზე, დისციპლინასა და შიშზე აგებული კომუნიკაცია ჭარბადაა. ფუკოს (1998) ბიო-ძალის კონცეფციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ეს კომუნიკაცია მოსახლეობის კონტროლის მიზნით ინერგება. სახელმწიფო ამგვარად პასუხობს იმ სოციალურ დინამიკას, რომელიც აბორტის, მათ შორის სელექციური აბორტის გადაწყვეტილების მიღებას უდევს საფუძვლად და ქალის კეთილდღეობის სოციალურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგენელებს უგულებელყოფს პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

### 7.2.2 „პასუხისმგებლობის“ ფრეიმი

აბორტთან დაკავშირებულ დისკურსში მნიშვნელოვანია „პასუხისმგებლობის“ ფრეიმი.

„პასუხისმგებლობის“ ფრეიმი აბორტის ან სელექციური აბორტის გადაწყვეტილებას არა საზოგადოებრივი მოვლენის (დემოგრაფიული საფრთხე), არამედ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ჭრილში წარმოადგენს. „პასუხისმგებლობის“ ფრეიმი აბორტთან დაკავშირებულ მორალურ-ეთიკურ ასპექტებზე აკეთებს აქცენტს.

სხვადასხვა დისციპლინებში ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტები მრავალგვარი და ცვალებადია (Trumpy, 2014, Savell, 2008). ეს ეხება „პასუხისმგებლობის" ფრეიმსაც, რომელიც ქალს პასუხისმგებლობას სხვადასხვა მიზეზის გამო აკისრებს.

კონსერვატიულ მედიაში რელიგიური პირები პირდაპირ საუბრობენ აბორტზე, როგორც ქალის მიერ შვილის მკვლელობაზე: „დღემდე დაუბრკოლებლად ხორციელდება ჩვილების ეს უმოწყალო ხოცვა და მათ აქტიური დამცველი არავინ ჰყავთ, არც სახელმწიფო და არც საზოგადოება… უნდა მივმართო ყველას, რომ უნდა შეწყდეს აბორტები საქართველოში" (I არხი, 05.05.2013). აბორტზე პასუხისმგებლობის გასამძაფრებლად მედია განსაკუთრებული ექსპრესიულობის ლინგვისტური ინსტრუმენტებით სარგებლობს ("გამოუცხადებელი ომი საკუთარი შვილების მიმართ", „თოთო ხორცი", „ჩვილების ნაფლეთები" - ტელევიზია "ერთსულოვნება"19.02.2016).

მედია მასალებში გვხვდება ქალის პასუხისმგებლობის კულტურულ ჭრილში გააზრებაც. ქალი პასუხისმგებელია ბავშვის გაჩენაზე და მასზე ზრუნვაზე. ქალი პასუხისმგებელია ფიზიკურ რეპროდუქციაზე, რაც კულტურული ნორმაა (Biesel and Kay, 2004; Lesthaege & Surkyn, 1988), როცა ქალები ირჩევენ აბორტს, ამ იდეალურ მდგომარეობას და ნორმას ეხებიან. წინამდებარე კვლევის მიხედვითაც, ქალების პირველადი მოვალეობა დედობაა. ქალის პასუხისმგებლობაა გამრავლება, როგორც ეს ამ ტექსტიდანაც ჩანს: "დედამ უნდა იცოდეს, რა პრობლემის წინაშე დგას და ამ პრობლემის გადაჭრის რა გზას ირჩევს" (ინტერპრესნიუსი, 10.01.2014).

საყურადღებოა, რომ პასუხისმგებლობა ხშირად არა მარტო დედას, არამედ ექიმსაც ეკისრება, როგორც, მაგალითად, ნიუპოსტის ამ პასაჟში: „დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს" (ნიუპოსტი, 07.01.2015). ექიმების პასუხისმგებლობის თემა საერთაშორისო მედიაშიც აქტუალურია. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ექიმები და აბორტის მიმწოდებლები

წარმოდგენილი იყვნენ, როგორც არაეთიკური, ხარბი და ფულზე ორიენტირებული ადამიანები (Lee, 2017). ექიმები დადანაშაულებული იყვნენ ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობისათვის, განსაკუთრებით აზიური წარმოშობის ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობისათვის. ექიმების ასეთი ხატის დახატვა საფრთხილო საქმედ მიაჩნია ლის და მათ, ვინც აბორტზე ხელმისაწვდომობას უჭერს მხარს, ახსენებს, რომ საკითხი მეტ შესწავლას საჭიროებს. მე ვეთანხმები ლის ამ მოსაზრებას და ვფიქრობ, რომ ექიმების და სამედიცინო მუშაკების გაშუქება მეტ ძალისხმევას საჭიროებს მედიის მხრიდან.

### 7.2.3 „უსაფრთხოების“ ფრეიმი

„უსაფრთხოების“ ფრეიმი აბორტისა და სელექციური აბორტის გაკიცხვისა და გამტყუნების სხვა, გენდერულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ეს ფრეიმი ქართულ მედიაში საერთაშორისო დისკურსიდან შემოვიდა, და ფოკუსირებულია აბორტზე, როგორც საფრთხეზე ქალის ჯანმრთელობისთვის (Kelly, 2014; Rose, 2011; Saurette & Gordon, 2013; Trumpy, 2014). როუზი (Rose, 2011) დეტალურად ხსნის თუ როგორ მოხდა ამერიკული აბორტის საწინააღმდეგო მოძრაობის ფრეიმის გაფართოება: რადგან მოძრაობამ საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა ნაყოფის სიცოცხლის დასაცავად, აქტივისტთა ის ჯგუფი, რომლებიც თავის თავს ქალის და სიცოცხლის მომხრეებს უწოდებენ, იბრძვიან, რომ ამერიკული აბორტის დებატები დახვეწონ და შეცვალონ იმგვარად, რომ დღის წესრიგში დადგეს, რა უფრო მეტად წარმოადგენს ქალის ინტერესებს, მის ჯანმრთელობას და უფლებებს - სიცოცხლის მომხრეობა თუ არჩევანის მომხრეობა (Trumpy, 2014). მსოფლიოში აქტუალური ტრენდის - აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტაციის სეკულარიზაციის კვალდაკვალ, წინ წამოიწია ნაყოფის, როგორც დაუბადებელი ბავშვის კონსტრუქტმა (Savell, 2008).

ჩვენი აზრით, ეს სტრატეგიები ქართულ მედიაშიც არსებობს, მათი კვალი აშკარაა, როგორც აბორტის, ისე განსაკუთრებით, სელექციური

აბორტის გაშუქებაში. ქალის „უსაფრთხოების“ ფრეიმი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, აბორტის როგორც არჩევანის საწინააღმდეგო არაპირდაპირი, დახვეწილი სტრატეგია. ამ ტიპის დისკურსში აბორტი წარმოჩენილია, როგორ იძულებითი ქმედება, რომელიც ჯანმრთელობის სერიოზულ რისკებთანაა დაკავშირებული; ქალს არ უკრძალავენ, არამედ აფრთხილებენ, რომ აბორტი იწვევს უშვილობას, ფსიქიკურ აშლილობას, დეპრესიას, მუმუს კიბოს, და რომ აბორტის გამო ქალები არ არიან ბედნიერები(Cannold, 2002). ქართული მედიაც აფრთხილებს ქალებს, რომ აბორტის გამო საქართველოში “მეორადი უნაყოფობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში (ლიბერალი, 15.03.2016).

„დემოგრაფიულ-ნაციონალისტური“, „პასუხისმგებლობის“ და „უსაფრთხოების“ ფრეიმები გამამტყუნებელი ფრეიმების ჯგუფს მიეკუთვნება. გამამტყუნებელი ჯგუფის ფრეიმებში აბორტი და სელექციური აბორტი ნეგატიურ, გამამტყუნებელ კონტექსტშია წარმოჩენილი.

### 7.2.4 ნეიტრალური ფრეიმები

რაც შეეხება აბორტების ნეიტრალურ გაშუქებას, ის ძირითადად „ფაქტობრივი“ და „კანონის/სამართლებლივ“ ფრეიმებში ხდება. თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ „ფაქტობრივ“ ფრეიმში წარმოდგენილი აბორტის თემა მშრალი ფაქტების, ხშირად სტატისტიკის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო „კანონის/ სამართლებლივ“ ფრეიმში - სამართლებლივი განმარტების ან საკანონმდებლო ინიციატივის გახმოვანების ფორმით(რაც უფრო ხშირად აბორტის აკრძალვას შეეხება). ნეიტრალური ფრეიმების ჯგუფის ორივე ფრეიმი სელექციურ აბორტზე მომზადებულ მასალებშიც გამოიკვეთა.

### 7.2.5 გამამართლებელი ფრეიმები

კვლევამ დაადგინა, რომ აბორტის გამამართლებელი დისკურსი ერთადერთი ფრეიმით - ქალთა „უფლების" ფემინისტური ფრეიმით შემოიფარგლება. ამ დისკურსის გამხმოვანებელი ფემინისტური ჯგუფების წარმომადგენლები მხოლოდ რეაქტიულ პოზიციას იჭერდნენ და არა პროაქტიულს. ისინი დამოუკიდებლად იშვიათად ქმნიდნენ მოვლენებს, მათ დღის წესრიგში არ იდგა არც აბორტი, და არც სელექციური აბორტის საკითხი.

როგორც აღვნიშნეთ, „უფლების" ფრეიმის ფარგლებში აბორტის და კონტრაცეფციის გამამართლებელი მტკიცებითი ხასიათის გამონათქვამები მოიაზრება: „ყველა ქალმა თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა შვილი და უნდა თუ არა აბორტის გაკეთება", „სექსუალური განათლება ყველა სასწავლებელში უნდა დავნერგოთ", აბორტის მომხრე განცხადებების ნაწილი ექსტრემისტული ხასიათისაა და ადამიანის სხეულის რელიგიისა და ეკლესიისგან გათავისუფლების მოწოდებაა („შორს შენი რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულისგან" (ინტერპრესნიუს.ჯი, 07.04.2013). ასევე, ხშირია აბორტის საწინააღმდეგო დისკურსის უარმყოფელი განცხადებებიც („კრიმინალიზაცია არ იწვევს აბორტების შემცირებას", „ემბრიონი არ არის ადამიანი", „აბორტი არ არის ადამიანის მკვლელობა").

ნიშანდობლივია, რომ „უფლების" ფრეიმის ფარგლებში ექსპერტები, მართალია, აღნიშნავენ, რომ მათთვის არჩევანის უფლება უპირატესია, მაგრამ იმავდროულად, ხაზს უსვამენ, რომ აბორტს არ ემხრობიან და არ მოსწონთ: „აბორტების სიმრავლე, რომელიც თავისთავად სულაც არაა სასურველი და სასიამოვნო, იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში სექსუალური განათლების დონე ძალიან დაბალია. აბორტის ალტერნატიულ საშუალებას არავინ ასახელებს"(ლიბერალი, 13.05.2013).

საყურადღებოა, რომ „უფლების" ფრეიმის ფარგლებში, ფემინისტების სენსიტიურობა სელექციური აბორტის მიმართ გაიზარდა. სელექციური აბორტის განხილვა უფლებებისა და ავტონომიურობის ჭრილში დაიწყო, რამაც წინააღმდეგობრივი ხასიათი მიიღო. ერთის მხრივ, ლიბერალური

ლოგიკით, ქალი თავისუფალია თავის არჩევანში, გაიკეთოს აბორტი ნებისმიერი მიზეზით, ხოლო, მეორეს მხრივ, სელექციური აბორტი წინააღმდეგობაში მოდის არამარტო ფემინისტურ პერსპექტივასთან, არამედ გენდერის ინტერსექციურ (ჩაგვრის სხვადასხვა ფორმების გადაკვეთა) მიდგომასთან. იგივე წინააღმდეგობაა აბორტის, როგორც ქალის არჩევანის ინტერპრეტაციასა და ნაყოფის ანომალიით განპირობებული აბორტის ქეისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნაყოფის უფლებას შორის.

აბორტის უფლების დამცველების კრიტიკოსები ამბობენ, რომ იქამდე, სანამ ქალს არ ექნება არჩევანზე ინსტიტუციური და კულტურული მხარდაჭერა, აბორტზე უფლება აზრს კარგავს (Smart, 1989). ფემინისტმა კრიტიკოსებმა კიდევ უფრო შემდგომ, სელექციური აბორტის პრაქტიკა, დააფრეიმეს, როგორც ძალადობის აქტი და ყურადღება გოგონა ნაყოფის უფლების მიმართულებით გადაიტანეს. ეს უფლებები უფრო ხშირად გახმოვანებული იყო, როგორც აბორტის საწინააღმდეგო არგუმენტები (Goodkind, 1999).

ის, რომ აბორტისა და სელექციური აბორტების გაშუქებისას დომინანტური ფრეიმები მსგავსია, გასაკვირი არ არის, რადგან ამ საკითხებს ერთი და იგივე გამხმოვანებლები - სახელმწიფო და ეკლესია ჰყავთ. ბესტი (Best, 2008) ხსნის, რომ ინიციატივა ეს არის ძალისხმევა, სხვები დაარწმუნო, მხარი დაუჭირონ წინადადებას, რომ რაღაც აუცილებლად შესაცვლელია არსებულ სოციალურ ნორმაში და შესაბამისად, ინიციატივის გამომჩენი პასუხობს ან მოქმედებს, რომ შეიცვალოს კონტექსტი და გამოცდილება. ვინაიდან ინიციატივას სახელმწიფოს და ეკლესიის წარმომადგენლები იჩენენ, მათი ძალისხმევით იქმნება დისკურსი, რომელიც აყალიბებს აბორტის და სელექციური აბორტის კონტექსტს, აჩენს სტიგმას და ახორციელებს აბორტის კრიმინალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკას.

ერთგვაროვანი ფრეიმინგი მედიაში ერთგვარად ამარტივებს კომპლექსურ სოციალურ დინამიკას, რომელიც აბორტის/სელექციური აბორტის გადაწყვეტილების მიღებას ახლავს თან. აბორტი და სელექციური

აბორტი ან ზედაპირულად, ახალი ამბების ფორმატშია წარმოჩენილი ან მკვეთრად ნეგატიურ კონტექსტში.

### 7.3 სარედაქციო პოლიტიკა და იდეოლოგია აბორტის გაშუქებაში

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს განსხვავებები სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულების მედიის მიერ აბორტთან და სელექციურ აბორტთან დაკავშირებული თემატიკის გაშუქებაში. კვლევამ აჩვენა, რომ კონსერვატიულ მედიაში აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმები აღემატებოდა ნეიტრალურ, გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს. ეს შესაძლოა, აიხსნას კონსერვატიული ღირებულებებით, როგორც მედიის სარედაქციო პოლიტიკაში, ისე მათი მფლობელებისა და ჟურნალისტების მსოფლმხედველობაში. უარყოფითი ტონი ასევე განპირობებულია იმ აქტორებით, რომლებიც ყველაზე აქტიურები არიან კონსერვატიულ მედიაში, კერძოდ, სახელმწიფო და ეკლესია. აქვე აღსანიშნავია, რომ კონსერვატიულ მედიაში სელექციური აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმების მეტი ალბათობა არ არსებობს ნეიტრალურ ფრეიმებთან შედარებით, მაგრამ გამამტყუნებელი ფრეიმები სტატისტიკური ალბათობის გათვალისწინებით, აღემატება გამამართლებელ და ამბივალენტურ ფრეიმებს.

ლიბერალური მიმართულების მედიაში, აბორტის ნეიტრალური ფრეიმების მეტი ალბათობაა, ვიდრე გამამტყუნებელი, გამამართლებელი და ამბივალენტური ფრეიმების. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ლიბერალური და ცენტრისტული მედია უფრო მეტი ინტერესით და სიხშირით აშუქებს აბორტის თემას. ეს საკითხი მისთვის ნაკლებად ტაბუირებულია, რაც განსხვავდება კონსერვატიული მედიის სტრატეგიისგან, რომელიც თავშეკავებულად, გაცილებით ნაკლები ინტენსივობით აშუქებს თემას.

ცენტრისტულ მედიასაშუალებებში თანაბარი რაოდენობითაა ნეიტრალური და გამამტყუნებელი ფრეიმები.

### 7.4 სენსაციურობა და ნეგატივიზმი აბორტის მედიაგაშუქებაში

უნდა აღინიშნოს, რომ გამამტყუნებელი ტონი აბორტის და სელექციური აბორტის გაშუქებაში დაკავშირებულია მედიაგაშუქებაში გავრცელებულ ფენომენთან - ნეგატიური ამბების უპირატეს გაშუქებასთან, რაც მედიამომხმარებლის მოზიდვის და მონეტიზაციის სურვილს უკავშირდება. ცნობილია, რომ მედიასაშუალებები მედიამოხმარების მონეტიზაციას ახდენს (მაგალითად, რეკლამის გაყიდვით), რაც მათი შემოსავლის უმთავრესი წყაროა. ვინაიდან კვლევაში განხილული მედიასაშუალებების უმეტესობა (საზოგადოებრივი მაუწყებლის გარდა) მოგებაზეა ორიენტირებული, ისინი იხრებიან ნეგატიური ამბების თხრობისკენ. მომხმარებლის რაოდენობის გასაზრდელად კონტენტის აგების ამ სტრატეგიას ასახავს ფრაზა „If it bleeds, it leads" („სისხლი ყურადღებას იქცევს") ( Pruitt & Mullen, 2005). ნეგატიური ისტორიები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს საფრთხეზე, შიშსა და წინააღმდეგობრიობაზე, დრამისა და სენსაციის ხარჯზე ცდილობს მკითხველთა რაოდენობა გაზარდოს (Kitzinger J., 1990).

ჩვენ მიერ განხილულ მასალებში მედია ხშირად წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს, სენსაციას და დრამას ანიჭებს უპირატესობას, ეყრდნობა არა მეცნიერებსა და მედიკოსებს, არამედ კანონმდებლებს, პოლიტიკურ აქტივისტებს და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს. ასე, მაგალითად, ფოკუსი აბორტების რიცხვის მაღალ მაჩვენებელზე შეიძლება დაკავშირებული იქნას თემის სენსაციურ ჭრილში წარმოდგენასთან („აბორტი კვლავაც რჩება შობადობის კონტროლის ფართოდ გავრცელებულ მეთოდად და რეგიონში მეორადი უნაყოფობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში - (ინტერპრესნიუსი, 13.03.2016; „ოფიციალურად 40 ათასი, არაოფიციალური მონაცემებით კი, ყოველწლიურად 100-დან 150 ათასამდე აბორტი კეთდება, ესაა უზარმაზარი ციფრი. 270-დან 400 აბორტამდე თვეში - ქვეყნის

მოსახლეობის 3-4 პროცენტს ჩვენ ყოველ წელს ვკლავთ" (ინტერპრესნიუსი, 13.03.2016 ).

ზოგადად, როგორც ამას ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგია ადასტურებს, ადამიანები ნეგატიური მოვლენების მიმართ უფრო დიდ ყურადღებას იჩენენ, ვიდრე პოზიტიური მოვლენების მიმართ (Schwartz & Andsager, 2007). მედიის სენსაციურობა მაინც და მაინც უარყოფით მოვლენად არ უნდა მივიჩნიოთ. ასეთი გაშუქება შეიძლება სასარგებლო იყოს პრობლემის აქტუალიზაციის კუთხით.

მეორეს მხრივ, აბორტის ან სელექციური აბორტის, როგორც ნეგატიური მოვლენის, რომელიც თავისთავად ერის გადაშენებასთან ასოცირდება, დაკავშირება ქალებთან, როგორც სოციო-გენდერულ ჯგუფთან, ზიანს აყენებს მათ.

### 7.5 წყაროები

მასალებში საშუალოდ ორზე ნაკლები წყარო იყო გამოყენებული, რაც მიუთითებს მედიის მიერ საკითხის ზედაპირულ გაშუქებაზე.

წყაროები მეტწილად ოფიციალური პირები არიან (პრეზიდენტი, პრემიერ- მინისტრი, პარლამენტის წევრები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები), ასევე საქართველოს პატრიარქი, რომელიც მასალათა მესამედში ფიგურირებს. სხვა ლიდერებიდან, ყველაზე ხშირად მედია ჯანმრთელობის მინისტრს, ეყრდნობა, უფრო იშვიათად - პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს. ექიმები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მასალათა მეოთხედშია წარმოდგენილი. არც თუ იშვიათად, აბორტისა და სელექციური აბორტის თემაზე მართლმადიდებელი მღვდლები გამოხატავენ მოსაზრებას, ძირითადად კონსერვატიული საპატრიარქოს ტელევიზიის - „ერთსულოვნების“ ეთერით. მედია წყაროებად ხანდახან იყენებს ფემინისტური ჯგუფის წარმომადგენლებს, იურისტებს და ისეთ აქტივისტებს, რომლებიც არ არიან სამღვდელოების წარმომადგენლები,

მაგრამ ავრცელებენ რელიგიურ და მორალისტურ განცხადებებს აბორტთან დაკავშირებით. აბორტის გამოცდილებაზე ყველაზე იშვიათად საუბრობენ ქალები და მათი ოჯახის წევრები.

აბორტის და მათ შორის სელექციური აბორტის დისკურსზე დომინირებს სახელმწიფო და ეკლესია. ამ ორი ჯგუფის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად ახერხებენ საკუთარი მესიჯების მედიაში გავრცელებას. ისინი ადგენენ და ავრცელებენ ფრეიმებს, წარმოადგენენ არგუმენტებს და აბორტის საწინააღმდეგო მოძრაობას ენერგიას აძლევენ. მართალია, მედიასივრცეში სხვა აქტორებიც არიან, მაგრამ მათი დაბალი აქტიურობისა და სუსტი როლის გამო, ორ დომინანტურ მოქმედ პირს - სახელმწიფოს და ეკლესიას უადვილდება მანევრირება.

სელექციური აბორტის გაშუქებისას წამყვანი აქტორი სახელმწიფოა, რომელიც სელექციური აბორტის თემის გადაჭრას აქტიურად ცდილობს სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სელექციური აბორტის მიმართ, აბორტთან შედარებით, ეკლესია ნაკლებ ყურადღებას იჩენს.

აბორტისა და სელექციური აბორტის თემებზე დისკურსში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობის სპეციალისტებსა და ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელების მიერ გავრცელებულ ფრეიმებს (Seale, 2003). კვლევამ აჩვენა, რომ ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელები აქტიურად ქმნიან დისკურსს აბორტის შესახებ და ეს დისკურსი არის ნაციონალისტური, ერის გამრავლებაზე ორიენტირებული, პრონატალისტური და თავისი შინაარსით აბორტის გამამტყუნებელი.

ზედაპირული გაშუქების გარდა, მედია მიკერძოებულია წყაროების შერჩევის დროს. მედიას შეუძლია ფრეიმის ფორმირება წყაროების შერჩევის და ინტერვიუდან ცალკეული გამონათქვამების ციტირების გზით (Scheufele & Tewksbury, 2006). სხვადასხვა იდეოლოგიისა და სარედაქციო მიმართულების მედიასაშუალებებში აბორტის/სელექციური აბორტის თემის გაშუქებისას წყაროების შერჩევა განსხვავებულია; თუ კონსერვატიული მედია საშუალებები ხშირად ეყრდნობიან რელიგიურ

პირებს, ლიბერალურ და ცენტრისტულ მედიაში პატრიარქის გარდა, ვერცერთ რელიგიურ პირს ვერ ნახავთ. ფემინისტების წარმომადგენლებს არ წყალობენ კონსერვატიულ მედია საშუალებებში, და პირიქით, ეყრდნობიან ლიბერალურ მედიასაშუალებებში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მორალური კონსერვატორები და რელიგიური ჯგუფები, ყველაზე ხშირად კონსერვატიულ მედია საშუალებებში არიან წარმოდგენილი. მედიასაშუალებები ნაკლებად აძლევდნენ ტრიბუნას ფემინისტური ჯგუფების წარმომადგენლებს, შესაბამისად, გაშუქება დაუბალანსებელია. იგივე უნდა ითქვას ლიბერალურ და ცენტრისტულ მედიასაშუალებებზე. ეს უკანასკნელნი, მაგალითად, რელიგიურ პირებს არ ეკითხებოდნენ აზრს და პირიქით, ფემინისტური ჯგუფების წარმომადგენლებს ციტირებდნენ. შესაბამისად, არც ამ მედიასაშუალებების მასალა იყო ამ მხრივ დაბალანსებული.

## 7.6 ჟურნალისტები და რედაქტორები

ფრეიმების ჩამოყალიბების თეორიის მიხედვით, წყაროების გარდა, თავად ჟურნალისტებიც მონაწილეობენ ფრეიმების ფორმირებაში. კვლევა დაინტერესდა, რა წარმოდგენები და ღირებულებები გააჩნიათ ჟურნალისტებს, რამდენად არიან ისინი გენდერსენსიტიურები, და რა დამოკიდებულება აქვთ მათ აბორტისა და სელექციური აბორტის მიმართ.

## 7.7 გენდერსენსიტიურობა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ ჟურნალისტთა უმრავლესობა, განურჩევლად სქესისა - გენდერსენსიტიურია. ჟურნალისტების გენდერსენსიტიურობის მაჩვენებელი მაღალია და ახლოსაა მაქსიმალურ მაჩვენებელთან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმომწერი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, რამაც, შესაძლოა განაპირობა

გენდერსენსიტიურობის მაღალი მაჩვენებელი. სავარაუდოდ, სურათი განსხვავებული იქნება ყვითელ პრესაში მომუშავე ჟურნალისტებში.

ქალებს გენდერსენსიტიურობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

### 7.8 განათლება და გენდერსენსიტიურობა

ჩვენს კვლევაში ჟურნალისტების განათლების ცენზსა და გენდერსენსიტიურობას შორის საყურადღებო კავშირები გამოიკვეთა, რაც ერთის მხრივ, ადასტურებს ამ თემაზე ჩატარებული სხვა კვლევების შედეგებს და მეორეს მხრივ, ამ საკითხების შემდგომი კვლევის საჭიროებას აჩვენებს. ტესტის მიხედვით, დოქტორანტები ნაკლებად გენდერსენსიტიურები გამოჩნდნენ, ვიდრე მაგისტრანტები და ბაკალავრები. ერთის მხრივ, ჩემი კვლევის შედეგი ეხმიანება ერთ-ერთი კვლევის შედეგებს, რომელიც ნიგერიაში ქალთა აბორტის მიმართ სტიგმას იკვლევდა, აღმოჩნდა, რომ ქალები, რომლებსაც ჰქონდათ უმაღლესი განათლება, მათთან შედარებით, ვისაც ჰქონდა საშუალო განათლება უფრო მეტად გამოხატავდნენ აბორტის მიმართ სტიგმას (Oginni, Ahmadu, Okwesa, Adejo & Shekarau, 2018) თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევაში მოპასუხეთა რაოდენობა ცალკეულ ჯგუფებში არ იყო საკმარისი დასკვნების გასაკეთებლად, და შედეგების გასამყარებლად შემდგომი კვლევაა საჭირო.

### 7.9 აბორტის მიმართ დამოკიდებულება

კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტებს და რედაქტორებს აბორტის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ, როგორც ამას აბორტსენსიტიურობის ინდექსის საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი ადასტურებს.

გამოკითხულ ჟურნალისტებს აბორტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, და ამ მხრივ, დომინანტურ საზოგადოებრივ აზრს გამოხატავენ. ცნობილია, რომ აბორტის მიმართ საზოგადოებრივი აზრი

ყოველთვის ნეგატიურია, თუ არ ჩავთვლით გაუპატიურების, ნაყოფის ანომალიების ან ქალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხით განპირობებულ აბორტის შემთხვევებს (Alvarez & Brehm, 1995; Cook et al, 1992; Craig et al, 2002; Strickler & Danigelis, 2002). კვლევები აჩვენებს აბორტის მხარადაჭერას „რთულ სიტუაციებში" აბორტის გაკეთების, ანუ მატრავმირებელ სიტუაციებში (Tedrow & Mahoney, 1979, cited in Jelen, 1984) და სუსტ ან ამბივალენტურ მხარდაჭერას „ჩვეულებრივ" შემთხვევებში (Bernas & Stein, 2001; Hall & Feree, 1986; Jelen, 1984; Scott, 1989).

ჩვენს კვლევაში აბორტის მიმართ დამოკიდებულების ჭრილში, სქესი უმნიშვნელო ფაქტორი იყო. ქალებს, ისე როგორც კაცებს, აბორტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სქესისა და აბორტის მიმართ დამოკიდებულების კავშირი დადასტურებული არ არის, და ცვალებად შედეგებს იძლევა. ამ კვლევების უმეტესობაში სქესი არ არის ერთადერთი დამოუკიდებელი ცვლადი (Basow and Esposito, 1995; Finlay, 1981; Walzer, 1994; Wan 2003), რაც შეიძლება განაპირობებდეს წინააღმდეგობრივ შედეგებს (Johns & Patel, 2009; Wang, 2003). სქესი უმნიშვნელო განმაპირობებელ ფაქტორად იქნა მიჩნეული აბორტის მიმართ დამოკიდებულებაში მრავალცვლადიანი მონაცემების ანალიზისას (Walzer, 1994), მაშინ როცა ფინლის კვლევაში (Finley, 1981) მამრობითი და მდედრობითი სქესის კოლეჯის სტუდენტების აბორტის მიმართ დამოკიდებულებები მკაფიოდ განსხვავდებოდა. მკვლევრის (Finley, 1981) მონაცემებით, კაცები აბორტს ნაკლებად განიხილავდნენ, როგორც ქალის უფლებას; კაცები ასევე ნაკლებად განიხილავდნენ საკითხს ფილოსოფიურ ან მორალურ ჭრილში. როჯერსის კვლევაში (Rogers, 1987) კაცებს უფრო ლიბერალური დამოკიდებულება ჰქონდათ აბორტის მიმართ, ვიდრე ქალებს.

ჩვენი ანალიზით, ჟურნალისტები, რომლებიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევენ, ნაკლებად ტოლერანტულები არიან აბორტის მიმართ ვიდრე ის ჟურნალისტები, რომლებიც თავს არ თვლიან მორწმუნედ.

კვლევამ არ გამოავლინა კავშირი განათლებასა და აბორტის მიმართ დამოკიდებულებას შორის, მიუხედავად ლიტერატურაში არსებული ადრეული შედეგებისა; განათლებასა და აბორტის დამოკიდებულებას შორის პოზიტიური ასოციაციები ნაპოვნი იყო პატელისა და ჯონის (Patel & Johns, 2009) კვლევებში. ვალზერის (Walzer, 1994) კვლევაშიც უმაღლესი განათლება მუდმივი წინაპირობა იყო რეპროდუქციული არჩევანის მომხრეობისა. განათლებას ჰქონდა ძლიერი პოზიტიური გავლენა აბორტის მიმართ დამოკიდებულებაზე ქალების ჯგუფში, განსხვავებით კაცების ჯგუფისგან, რომელშიც ეს კავშირი არ გამოვლინდა (Walzer, 1994). ასევე, ფინლის კვლევაშიც (Finley, 1981) მამრობითი და მდედრობითი სქესის კოლეჯის სტუდენტების აბორტის მიმართ დამოკიდებულებები მკაფიოდ განსხვავდებოდა.

### 7.10 გენდერსენსიტიურობა და აბორტსენსიტიურობა

გენდერსენსიტიურობის მიუხედავად, ჟურნალისტები და რედაქტორები ქალის არჩევანს - გაიკეთოს აბორტი, არ იზიარებენ. გამოკითხულები უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებენ, როგორც აბორტის, ისე სელექციური აბორტის მიმართ. ჟურნალისტების და რედაქტორების აბორტსენსიტიურობის დაბალი მაჩვენებელი განაპირობებს მედიაში აბორტის გამამართლებელი ფრეიმინგის სიმცირეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მედიაკონტენტის დიდი ნაწილი ნეიტრალურ, ფაქტობრივ გაშუქებას წარმოადგენს, რაც მედიაპროფესიონალიზმზე მიუთითებს.

კვლევის შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალისტთა და რედაქტორთა დამოკიდებულებები მათ მიერ შექნილ კონტენტზე აისახება, კერძოდ, განაპირობებს საინფორმაციო კონტენტში აბორტის/სელექციური აბორტის თემის მიმართ ინტერესს. ამასთან, ჟურნალისტების უარყოფითი დამოკიდებულება აბორტის მიმართ ხსნის ქართულ მედიაკონტენტში გამამტყუნებელი ფრეიმების სიჭარბეს გამამართლებელ ფრეიმებთან

შედარებით. ჟურნალისტები არა არჩევანის მომხრეთა (pro-choice), არამედ სიცოცხლის მომხრეთა (pro-life) პოზიციაზე არიან. მეტწილად, ჟურნალისტები აბორტს აშუქებენ როგორც ცოდვას, ამორალურ საქციელს, რომელმაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე შეიძლება დააყენოს ერი.

გენდერსენსიტიურობა და აბორტსენსიტიურობა კორელაციური მოვლენებია. რაც უფრო მაღალი გენდერსენსიტიურობით გამოირჩევა ჟურნალისტი და რედაქტორი, მით მეტი ალბათობით ამართლებს აბორტის გადაწყვეტილებას. თუმცა, აბორტის გამართლების ინდექსი გენდერსესიტიურობაზე ბევრად დაბალია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გენდერსენსიტიურობა არ არის ერთადერთი ფაქტორი, რაც აბორტსენსიტიურობას განაპირობებს.

## 7.11 სელექციური აბორტი

სელექციური აბორტის მიმართ ჟურნალისტებს ისევე უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, როგორც ზოგადად აბორტის მიმართ.

ქალი და მამაკაცი ჟურნალისტები ერთნაირად არ ამართლებენ გენდერული ნიშნით ნაყოფის სქესის შერჩევას და სელექციურ აბორტს. ჩვენი კვლევის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული ჟურნალისტები და რედაქტორები, რომელთათვის სელექციური აბორტი მიუღებელია, საკმაოდ რადიკალურ პოზიციას იკავებენ, მაგალითად მხარს უჭერენ „ნაყოფის სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებული აბორტის დასჯას".

ასეთი რადიკალური პოზიცია, თავის მხრივ, ეხმიანება სქესის სელექციის საწინააღმდეგოდ მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს გოგონების დაბადების ხელშეწყობას და სელექციური აბორტის კრიმინალიზაციას. ასეთი პოლიტიკა უფრო დისციპლინურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ტრანსფორმაციული ეფექტის მქონეს ( Purewal, 2014). ჟურნალისტები და რედაქტორები ამ ბიოპოლიტიკის შექმნას უწყობენ ხელს. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ საზოგადოებაში ხშირია „ჩვენიანებად" და „სხვისიანებად" დაყოფა (რაც

დამახასიათებელია ტრადიციული, წინა-მოდერნისტული საზოგადოებებისთვის) (ზედანია, 2007), სელექციური აბორტი „სხვების" პრობლემად არის წარმოჩენილი, ხოლო, „ჩვენ", საზოგადოების უმეტეს ნაწილს, შეგვიძლია გამოსავალის მოძებნა დასჯის სახით.

ანალიზის სისრულისათვის სასურველია ჟურნალისტური გამოკითხვის შედეგები დავინახოთ ჩვენი საზოგადოების ღირებულებების პრიზმაში. როგორც ღირებულებათა კვლევის მონაცემები აჩვენებს, საქართველოში წამყვანი ტრადიციული და გადარჩენაზე ორიენტირებული ღირებულებებია(WVS,2015). ღირებულებების ჩამოყალიბებაზე რელიგია და ეკლესია ახდენს გავლენას. საბჭოთა კავშირის დაშლას ღირებულებათა მკვეთრი გადაფასება მოჰყვა. რღვევას და გაურკვევლობას მოჰყვა

ავტორიტეტის ძიება, და ეს ავტორიტეტული ინსტიტუტი ეკლესია აღმოჩნდა, რომლის მიმართ ნდობა ყველაზე მაღალია სხვა ინსტიტუტებთან შედარებით (IRI, 2017). შესაბამისად, რელიგიურობა და ეკლესიისადმი ნდობა გავლენას ახდენს აბორტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე, მათ შორის ჟურნალისტებში, რადგანაც აბორტის მიმართ, ტრადიციულად, რელიგიას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს.

კვლევები ადასტურებს, რომ კათოლიკურ ეკლესიას დიდი გავლენა აქვს ქალების აბორტზე ხელმისაწვდომობაზე იმგვარად, რომ ქვეყნებში, სადაც დიდია კათოლიკური მოსახლეობა, უფრო მკაცრია აბორტის კანონები (Miller, 2014). მსგავსი ტენდენცია იკვეთება საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის შემთხვევაში. ჩვენმა კვლევამაც აჩვენა, რომ ორ ჯგუფში, მართლმადიდებელ ქრისტიანებსა და აღმსარებლობის არმქონე ადამიანებში, აბორტის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება მნიშვნელოვანი იყო: კერძოდ, მართლმადიდებლებში აბორტის მიმართ ნაკლები მიმღებლობაა აღმსარებლობის არმქონე ადამიანებთან შედარებით.

რომ შევაჯამოთ, ჟურნალისტების და რედაქტორების გენდერსენსიტიურობა მაღალია, რაც სავარაუდოდ განაპირობებს მათი აბორტის და სელექციური აბორტის თემით დაინტერესებას და მედიის მიერ ამ თემის გაშუქებას (თუმცა, არასაკმარისი მოცულობით).

გამოკითხულთა გენდერსენსიტიურობით შეიძლება ასევე აიხსნას ქართულ მედიაში უარყოფითი, აბორტის გამამტყუნებელი ფრეიმების სიჭარბე გენდერული ნიშნის მიხედვით გაკეთებული სელექციური აბორტის მიმართ, თუმცა, მეორეს მხრივ, სელექციური აბორტის მიმართ ასეთი დამოკიდებულება აბორტების მიმართ ზოგადი ნეგატიური პოზიციითაც აიხსნება.

# თავი 8. დასკვნა

ეს ნაშრომი გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის საკითხთან დაკავშირებით იმ სოციალური და კულტურული წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების გაგებას ემსახურება, რომლის ფორმირებაზეც მედია ახდენს გავლენას. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მედიის მიერ აბორტი სტიგმატიზებულია, მედია უფრო მეტად ხელს უწყობს გენდერული დისკრიმინაციის დისკურსს, ვიდრე ამცირებს მას. მართალია, მედია ფაქტობრივ ჭრილში აშუქებს მოვლენებს, მაგრამ ზედაპირულად - არ ეძიებს მრავალფეროვნებას. ასეთი გაშუქება შეზღუდულია და არ ემსახურება საზოგადოების უპირატეს ინტერესებს, მიიღოს სრული ინფორმაცია იმ სოციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოწვევების შესახებ, რომლებიც სელექციურ აბორტთან არის დაკავშირებული და ქალების და ზოგადად საზოგადოების წინაშე არსებობს.

კვლევამ ასევე გამოკვეთა, რომ გამოკითხულ ჟურნალისტთა უმრავლესობა, განურჩევლად სქესისა - გენდერსენსიტიურია. ქალების გენდერსენსიტიურობა კაცების გენდერსენსიტიურობაზე უფრო მაღალია. ჟურნალისტები ზოგადად აბორტის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი. ისინი განსაკუთრებით არ ამართლებენ სელექციურ აბორტს.

ჩვენი კვლევის მიხედვით, ორი ინსტიტუტი - სახელმწიფო და ეკლესია განსაზღვრავს მედიადისკურსს ქალების, მათი რეპროდუქციული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. სხვა ინსტიტუციები და ჯგუფები, ამ ორის გარდა, არ ჩანს, ან თუ ჩნდება, ნაკლებად განსაზღვრავს ტონს და ძირითად მიმართულებებს. ყველაზე მეტ ლეგიტიმაციას მედია ამ ორ ინსტიტუციას ანიჭებს. ქალების ხმა ან სხვა ჯგუფების ხმები, რომელთაც განსხვავებული დისკურსი აქვს, იშვიათად გვხვდება მედიაში.

პატრიარქალურ სახელმწიფოსა და ეკლესიას, და არა ქალებს აქვთ მათთვის მნიშვნელოვან თემებზე და კითხვებზე, მათ შორის აბორტსა და სელექციურ აბორტთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი.

ჩვენი კვლევის მიხედვითაც ქალების პირველადი მოვალეობა დედობაა. ქალი პასუხისმგებელია ბავშვის გაჩენაზე და მასზე ზრუნვაზე. ქალი პასუხისმგებელია ფიზიკურ რეპროდუქციაზე, რაც კულტურული ნორმაა. ქალები, რომლებიც ირჩევენ აბორტს, ამ ნორმას არღვევენ, ძირს უთხრიან ერის წინსვლას, იწვევენ "დემოგრაფიულ კატასტროფას".

მედიამასალებში ქალებს მიუთითებენ როგორ მოიქცნენ, წერენ მათთვის კანონებს, გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს ქალის როლთან დაკავშირებით, ზრუნავენ მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ქალების ხმა კი არ ისმის. იმ ქალების ხმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ აბორტი დასაშვებია, ან ვინც გაიკეთა აბორტი - მარგინალიზებულია.

წნეხი, რომ იყოლიონ ვაჟები, სელექციური აბორტის პრაქტიკას უკავშირდება. ეს წნეხი, როგორც კულტურული, ისე ეკონომიკური, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი დისბალანსი გაჩენილიყო სქესებს შორის საქართველოში. ამ პრობლემის საპასუხოდ მიმართული ბიო პოლიტიკა, როგორც პოპულაციის კონტროლის მექანიზმი, მედიაგაშუქებაში აისახა.

სელექციური აბორტის ფენომენის პრობლემა მის არასაკმარის აღიარებასა და ცოდნასთან არის დაკავშირებული. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მედიაში მთავარი დისკურსი სელექციურ აბორტთან მიმართებით არის პატრიარქალური, აკრძალვებზე, დისციპლინასა და შიშზე აგებული კომუნიკაცია. ეს კომუნიკაცია, რომელიც ქალის როლს მხოლოდ დედობაში ხედავს, იმავდროულად ვერ პასუხობს იმ სოციალურ დინამიკას, რომელიც აბორტის/სელექციური აბორტის გადაწყვეტილების მიღებას ახლავს თან. მედიაკონტენტში სრულიად იგნორირებულია მრავალი სოციალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც აბორტის თანმდევია. მედია უგულებელყოფს გენდერული უთანასწორობის, უფლებების ჭრილში აბორტის თემის გაშუქებას. ქართული მედიის მიერ აბორტის და სელექციური აბორტის თემატიკის ნეგატიური ფრეიმინგი და

სტერეოტიპული გაშუქება არ შეესაბამება ადამიანების ინფორმირების და გათვითცნობიერების უპირველეს ჟურნალისტურ ამოცანებს.

